ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი. კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 6ა. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის [illegible] პარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის 14—76, მდივნის 10—68, ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ. № 24. ტელეფონი № 8-81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 [illegible], დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებანი: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. [illegible] ტექსტის შემდეგ—1 მ. 60 კ. საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 20 კ. ტექსტში—3 მ. [illegible] 10% [illegible]

ლენინის გარდაცვალების დღე

შაბათი, 21 იანვარი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 17 (2060)

ბელადის გარდაცვალებიდან ოთხი წლის თავზე

ულენინოთ—ლენინის გზით

ოთხი წელი შესრულდა, რაც კომუნისტური პარტია არსებობს და განაგრძობს სოციალისტურ მშენებლობას ულენინოთ. განვლილი დრო სრულიად საკმაოა იმისათვის, რომ ჩვენ შევაფასოთ, რამდენათ სწორათ და მტკიცეთ ატარებს პარტია ლენინის ანდერძს. ეს საკითხი განსაკუთრებით ცხოველმყოფელია დღეს, როცა პარტიამ მისთვის ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულა ბრძოლა ტროცკისტულ ოპოზიციასთან.

ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით და მეთაურობით შეიქმნა და განვითარდა საკავშირო კომუნისტური პარტია, ლენინის წინამძღოლობით მოახდინა პროლეტარიატმა დიდი ოქტომბრის რევოლიუცია. და დღეს, ამ რევოლიუციის ათი წლის თავზე, გამოჩნდენ „ურწმუნო თომები", რომელთაც კითხვის ქვეშ დააყენეს პროლეტარიატის დიქტატურის მთელი არსებობა, რომელთაც იერიში მიიტანეს მთელ პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობის წინააღმდეგ. ყველაზე უფრო აღსანიშნავი აქ ის არის, რომ ოპოზიცია, როგორც ეს სჩვევია საერთოთ ყოველ რენეგატის ბუნებას, თავის არსებითად წვრილ-ბურჟუაზიულ კრიტიკას ნათლავდა ულტრარევოლიუციონური ფრაზებით. ოპოზიცია ეფარებოდა ლენინის დიდ სახელს და ასე ილაშქრებდა ლენინის პარტიისა და ლენინის მიერ დაწყებულ საქმის წინააღმდეგ.

მაგრამ ოპოზიცია სასტიკად დამარცხდა. ეს მოხდა უმთავრესად იმიტომ, რომ საკავშირო კომუნისტურ პარტიას მაღლა უჭირავს ლენინიზმის დროშა, ისე მტკიცეთ მისი წინ ლენინის მიერ დასახული გზით.

როცა პარტიამ იგრძნო, რომ ტროცკისტული ოპოზიციის გამარჯვება არსებითად ნიშნავს ლენინიზმის ტროცკიზმით შეცვლას, როცა პარტიულ მასისათვის ნათელი შეიქნა, რომ ოპოზიციის ბრძოლა პარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ, ესაა არსებითად ისტორიული ბრძოლა ტროცკიზმისა და ლენინიზმის შორის. მას აქ არჩევანისათვის ფიქრი არ დასჭირვებია. პარტიის დიდი უმრავლესობა, მეტი 99 პროცენტი ერთსულოვნად და მტკიცეთ დადგა ლენინიზმის სადარაჯოზე, პარტიამ ერთხმად დაჰგმო და უარყო ტროცკიზმი, როგორც ლიკვიდატორობის ახალი სახე, როგორც ლენინური პარტიის ნეომენშევიკური პარტიათ გარდაქმნის უსაზიზღრესი ცდა. და ეს მოხდა იმიტომ, რომ ლენინიზმის იდეა, რაც დრო გადის, მით უფრო ღრმად იკიდებს ფესვებს ფართე მშრომელ მასებში, მით უფრო მტკიცე და ურყევი ხდება.

საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობა, სადაც ტროცკისტულ ოპოზიციამ უკანასკნელი და საბოლოო მარცხი განიცადა, ლენინიზმის გამარჯვების იშვიათ დემონსტრაციათ დარჩება ჩვენი პარტიის ისტორიაში.

ყრილობამ დისკუსია დასრულებულათ გამოაცხადა. მან მოუწოდა პარტიას და მთელ მშრომელ მასებს სოციალისტური მშენებლობის კვლავინდებური ენერგიით გაგრძელებისაკენ. მან დასახა ჩვენს წინაშე მთელი რიგი პრაქტიკული ამოცანები, რომელნიც, როგორც ყოველი ჩვენი ყრილობის დადგენილება, გამსჭვალულნი არიან ლენინიზმის სულით და რომელნიც მიმართული არიან ლენინის მიერ დასახულ იდეათა განხორციელებისაკენ

ამ ამოცანათა შორის მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის საკითხს. საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობამ მოახდინა პირველ მოღვაწეთა შემოწმება ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე. ინდუსტრიალიზაციის ამოცანა მთელი თავისი სიმწვავით წამოიჭრა მე-14 ყრილობაზე, როცა ჩვენ ვუახლოვდებოდით აღორძინებითი პერიოდის დასასრულს და პარტიისა და ხელისუფლების წინაშე ისახებოდა ახალ, სრულიად დამოუკიდებელ სამეურნეო აღმშენებლობის პერსპექტივა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მიუხედავად მრავალ სიძნელეთა, პარტია მტკიცეთ ანხორციელებდა მე-14 ყრილობის ამოცანებს.

საკავშირო კომუნისტურ პარტიამ არა მარტო მოგვცა ინდუსტრიალიზაციის მორიგი ამოცანები, არამედ მან დასახა ამ ამოცანის განსახორციელებლათ განსაზღვრული ჩარჩოები, მან მოგვცა სამეურნეო განვითარების ხუთწლიანი გეგმაც. ეს იმას მოწმობს რომ პარტია სულ უფრო და უფრო ანხორციელებს გეგმიან მშენებლობას, რაიც სოციალისტური მეურნეობის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს.

ლენინიზმის ერთ-ერთ მთავარ დებულებას პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, როგორიცაა ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი, წარმოადგენს, მჭიდრო კავშირი პროლეტარიატსა და გლეხკაცობას შორის. საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობის დღის წესრიგში სოფლად მუშაობის საკითხებს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობის კოლექტივიზაცია, ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის პოლიტიკური და ორგანიზაციული დარაზმვა კულაკობის შემდგომი იზოლიაციის მიზნით, ასეთია ყრილობის დირექტივის ძირითადი აზრი სოფლად მუშაობის დარგში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობის დადგენილებებში თავისი გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე ლენინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ანდერძმა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის გამარტივება-გაჯანსაღების შესახებ. ბრძოლა ჩვენი აპარატის მოუქნელობის, ბიუროკრატიზმისა და ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ისევ რჩება როგორც ერთ-ერთი საპასუხისმგებლო და უაღრესი მნიშვნელობის მორიგი ამოცანა მუშაობის დღის წესრიგში.

ჩვენ უკვე გადავიხადეთ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი. აქედან ოთხ წელზე მეტი პარტიამ ულენინოთ განვლო. პარტიის მტკიცეთ და წმინდათ აქვს დაცული ლენინიზმის დროშა. ის კიდევ უფრო მედგრათ დაიცავს მას მომავალში. ამის საფუძველია ის ურყევი ბოლშევიკური საფუძველი, რომელიც ჩაეყარა ლენინის ხელით ჩვენს პარტიას.

ოთხი წელი შესრულდა ლენინის გარდაცვალების დღიდან. ეს ოთხი წელი იყო დაუნდობელი ბრძოლა ლენინის სახელისათვის, ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის. რაც უფრო უკან გვრჩება ჩვენ ლენინის სიცოცხლის დღეები, მით უფრო იზრდება პროლეტარიატის უდიდეს მასწავლებლის და ბელადის ისტორიული სახე, მით უფრო მტკიცდება მშრომელ მასებში უსაზღვრო სიყვარული ლენინისა და ლენინურ კომუნისტური პარტიისადმი. არიან ადამიანები, რომელნიც, წინააღმდეგ ჩვეულებრივ კანონისა, გარდაცვალების შემდეგ, ჟამთა მსვლელობაში არა თუ დავიწყებას ეძლევიან, არამედ იზრდებიან ისტორიულათ. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ლენინი, რომლის სახელსაც უკვდავყოფენ თვით საუკუნეები.

ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება. ჩვენ ვცხოვრობთ ლენინის ეპოქაში და ვმოღვაწეობთ ლენინის დიად იდეების განხორციელებისათვის. ყოველი თანამედროვე მოწინავე ადამიანის ამოცანაა მტკიცეთ დაიცვას და მომავალ თაობას გადასცეს ლენინიზმის უკვდავი იდეები, ყოველნაირად ხელი შეუწყოს ამ იდეათა უკვე დაწყებულ პრაქტიკულ განხორციელებას, რაიც მიზნათ ისახავს კაცობრიობის საუკეთესო მომავალის, სოციალიზმის დამყარებას.

სახლი სადაც დაიბადა ლენინი

ოთხი წელი უილიჩოთ

სრული ოთხი წლის წინად მოგვშორდა ოქტომბრის გამარჯვების ბელადი და საბჭოთა ხელისუფლების მჭედელი.

მძიმე და წარუხოცელია დღემდე მწუხარება არა მარტო მისი ახლო მოწაფეთათვის, თანამშრომლებისა და თანამებრძოლთათვის, არამედ მთელი კომინტერნისათვისაც.

დაუვიწყარი საუკეთესო რევოლიუციონერი-მარქსისტი და გენიალური მოაზროვნე ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინი ჩვენგან ფიზიკურად განშორების შემდეგაც რჩება საერთაშორისო პროლეტარიატისა და ყველა ხალხების, მათ შორის კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ხალხების ულარიბეს და საერთოდ მშრომელი გლეხობის „ფიქრთა მპყრობელად", მათ განუწყვეტელ განმანთავისუფლებელ ბრძოლაში თანამედროვე ძირმომპალ კაპიტალსა და მტაცებლურ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ლენინიზმი, როგორც რევოლიუციონური მარქსიზმი, არის საკავშირო კომპარტიისა (ბ) და კომინტერნის ყველა სექციების ბრძოლის დროშა. ის არის მთელ ქვეყნის კომუნისტ-ბოლშევიკების ბრძოლის მეთოდიც, მთელი ფილოსოფიური სისტემაც, პრაქტიკული მსოფლმხედველობაც და პროგრამაც.

შორს საკავშირო კომპარტიისა (ბ) და კომინტერნის რიგებიდან ყველა უკლონისტები და ოპოზიციონერები, რომლებიც მხოლოდ სიტყვებითა და ფრაზებით გამოხატავენ „მემარცხენეობის ბავშურ სენს", ხოლო საქმით კი იშვებიან საძაგელ ოპორტიუნიზმისა და ნეომენშევიზმის ჭაობში იმ დროს, როცა გადამწყვეტი ბრძოლაა გამართული მსოფლიო იმპერიალიზმსა და მსოფლიო ბოლშევიზმ-კომუნიზმს შორის.

გაუმარჯოს ლენინურ ბოლშევიკ-კომუნისტს, რევოლიუციონერ-მარქსისტს

დეე, მუდამჟამ სცოცხლობდეს ლენინიზმი ჩვენს ბრძოლაში— კომინტერნის ყველა სექციებში.

ძვირფასო მეგობარო, უკვდავო პროლეტარული რევოლიუციის საყვარელო ბელადო, ჩვენ შენ არასოდეს და არსად არ დაგივიწყებთ.

რაც უფრო წინ წავალთ სოციალისტურ მშენებლობის გზაზე, ჩვენს დიად მუშურ-გლეხურ, საბჭოთა ქვეყანაში —საბჭოთა კავშირში,—მით უფრო ძლიერი იქნება ჩვენი სიყვარული და ყურადღება შენდამი. ვინაიდან შენ, ძვირფასო ილიჩ, ხორცი შეასხი ჩაგრულ მშრომელი კაცობრიობის დამცველთა ძველ ჭეშმარიტებას და გაამართლე რევოლიუციონური მარქსიზმი.

ჩვენ განვაგრძობთ იმ წინანდელი რევოლიუციონერების საქმეს, რომელსაც მარქსი მეთაურობდა და რომელიც შენი გენიალური პრაქტიკულ-თაოსნობით,—რევოლიუციის შეუდარებლად გაბედულო და მამაცო ბელადო ტაქტიკოსო და სტრატეგო, დღეს უკვე ცხოვრებაში ტარდება.

გაუმარჯოს პროლეტარების, უღარიბეს გლეხებისა და იმპერიალიზმით დაჩაგრულ ყველა კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ხალხების საერთაშორისო რევოლიუციას!

ძირს ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მტაცებლური საერთაშორისო იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

ძირს მუშათა კლასის მოღალატე მეორე ინტერნაციონალი, მენშევიკ-სოციალ-დემოკრატები!

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნიზმს, რევოლიუციონურ მარქსიზმს, ლენინიზმს!

დეე, მუდამ იცოცხლოს ჩვენთან ერთად ჩვენმა ლენინმა!

მიხა ცხაკაია.

ილიჩის ხსოვნას

„ცეკას პლენუმზე ვართ. ხალხი ბლომად არის. ბევრია ახალი, ნაკლებ ნაცნობები და ნაკლებ შესწავლილი პირები. წამოიზარდენ ახალი ძალები. ილიჩი კი არ არის... ფიქრობ მასზე და იცი: არა, არ მოვა ჩვენი ბრძენი. და თითქოს ცოცხლად იშლებიან გონებაში წარსულის სცენები.

აქ ჩქარის ნაბიჯით, თავჩაქინდრული, თითქოს სცხვენია თავისი საკუთარი სიდიადის, თითქოს სურს დაემალოს მრავალ თვალებს, თუ გინდ მოსიყვარულეს, ჩქარა მოდის, თითქმის მორბის, თვალებდახრილი, მხრებდაშვებული, „ზუბის" საყელოაწეული ყველასათვის საყვარელი კაცი. ისეთი უბრალო. ისეთი მტკიცე, ისეთი კეთილი ნაოჭებით თვალებთან და ისეთი რკინისებური აგებულობის, ისეთი შეუმჩნეველი და ისეთი ბრძენი. დაჯდება სადმე კუთხეში, მოიმარჯვებს ყურს, რომ უკეთ მოისმინოს ყველაფერი, ცეცხლს აფრქვევს თვალებიდან და ხარბათ იჭერს თვითეულ სიტყვას, თუ საერთოდ არის რაიმე მოსასმენი.

შემდეგ გამოვა და, ძლივს-ძლივობით დააღწევს რა თავს ოვაციებს, ხმაურობას და მქუხარე ტაშს, მოსიყვარულე თვალებს, ხმებს და შეძახილებს,— დაიწყებს ლაპარაკს და ერთბაშათ გაგინათლდება გონება, თითქოს მოვიდა ილიჩი და გაანათა ყველა ხვრელები, ყველა ბრუნდი მოსახვევი და შესახვევები. როგორ ვერ ვგრძნობდით ჩვენ ამას წინედ?

ეხლა კი ილიჩი აღარ არის, ამიტომ ხომ არ ვდავობთ ჩვენ ხანდახან უაზროთ და რაღაცას ვერ ვწვდებით— ვფიქრობ ხანდახან მე. შეიძლება. ილიჩი ხომ აღარ არის ჩვენთან.

მრავალი წლის წინად მე პირველად ვნახე ილიჩი. კრაკოვის ერთ პატარა ბინძურ ქუჩაზე უნდა მომენახა ულიანოვების ბინა. მივდივარ და თვალებს არ ვაშორებ ფანჯრებს. და უეცრად ვხედავ უზარმაზარ თავის ქალას და არაჩვეულებრივ თავს. რასაკვირველია, ეს მოხუცია.

კრაკოვის ბინა, მახსოვს, ორი ოთახისაგან შესდგებოდა, სამზარეულო— იგივე სასტუმრო ოთახი. უბრალო თეთრი სუფთათ გარეცხილი სამზარეულოს მაგიდა. ილიჩი სჭრის პურს, ასხამს ჩაის ისე მოხერხებულად, ისე შეუმჩნევლად! როგორის ყურადღებით, როგორ უბრალოდ! გამოდიხარ და გრძნობ: შენ, ჩემო ძმაო, მან თავისი ხელის გულივით გაგიცნო. და არავითარი ძალდატანება, არავითარი უხერხულობა დიდებული ადამიანის წინაშე. მახსოვს, მე ილიჩს დავშორდი აღფრთოვანებული. მივქროდი სახლში, თითქოს ფრთები გამომესხა, პერსპექტივები გაფართოვდა, ახალი იმედები აღმიძრა.

და უნებლიეთ მე მას—**მოხუცს** ვადარებდი პლეხანოვს: ამაყი პოზა, ნაპოლეონიდით გულხელდაკრეფილი, თავის თეატრალური მობრუნება, ნაძალადევი ჟესტები, ბრწყინვალე ენამოსწრებული გამოთქმა, პათოსი: შენ, მოწყალეო ხელმწიფევ, არ გაბედო ერთ კილომეტრზე ახლოს მოსვლა. დემოკრატი—იაკობინელი—კომუნისტი, ლიბერალური ბატონი, თუმცა რუსული მარქსიზმის ბრწყინვალე მამამთავარი „შეჭმუხვნილი შუბლი". არა, პლეხანოვს არ შეეძლო ყოფილიყო პროლეტარული ქუჩის ბელადი.

> «Когда все низвергая и сквозь картечь стремясь та чернь великая и сволочь та святая к бессмертию неслась».

ეს არ გამოუვიდა პლეხანოვს. ლენინი—კი გახდა მრავალი მილიონი ადამიანების მედროშეთ და მისი სახელი დაუკავშირდა მარქსის სახელს.

ხანდახან ილიჩი წარმოდგენილი ჰყავთ, როგორც ცივი მანქანა, დიდებული არითმომეტრი, ცივი ჭკუის და ცივი ნებისყოფის განსახიერება. ეს არ არის მართალი. ილიჩი—უდიდესი ტემპერამენტია, რომელიც ღრმად განიცდის ყველაფერს. მაგრამ ამ მგრძნობიერობას და ტემპერამენტს ის ავიწროებდა თავისი ნებისყოფის რკინის მუხრუჭებით. მას შეეძლო სასტიკად ტანჯვა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლებოდა მისი „შეცოდება": ეს იქნებოდა მისი გამოყვანა მოთმინებიდან, და მისი რისხვა თავს დაგატყდებოდათ თქვენ, როგორც ჩაქუჩის დარტყმა. რადგან ილიჩი უნდა ყოფილიყო სარდალი მტკიცე ნებისყოფით, გადაწყვეტილებით და აზრით.

გონებაში იშლება ბრესტის დღეები. ჩვენ—„ახალგაზრდა მემარცხენეებმა" —უკვე ჩავიდინეთ შეცდომა, ხელი შეუშალეთ რა ზავის ერთბაშათ ჩამოგდებას, მაგრამ განვაგრძობთ ჯიუტობას.

მაგრამ აი ცეკას გადამწყვეტ სხდომაზე შემორბის ილიჩი. ის გავს უზარმაზარ ლომს, რომელიც ბავშებმა ჩაამწყვდიეს რკინის გალიაში. ის დარბის ოთახში მკაცრი, სასტიკი გადაწყვეტილებით სახეზე, რომელზედაც ყველა კუნთები შეკუმშულია. „მეტს მე აღარ მოვითმენ არც ერთ წამს. კმარა თამაში. არც ერთ წამს". მისი „არც ერთ წამს" ნათქვამია რაღაც გადამწყვეტი სერიოზული და მეტად მკაცრი კბილთა ღრჭენით. ეს მაჩვენებელი იყო იმის, რომ ილიჩი „საომრათ" არის განწყობილი.

ილიჩი აყენებს ულტიმატუმს. ილიჩი არღვევს წინანდელ გადაწყვეტილებას. ილიჩი—მრისხანე, რკინისებური, ძლიერი და ყველაფრის მხედველი—იხსნის რევოლიუციას საშინელ მტრებისაგან: რევოლიუციონურ ფრაზისა და რევოლიუციონურ პოზისაგან, რომლებმაც რესპუბლიკა ლამის გერმანელ ჯალათებს ჩაუგდო ხელში.

დენიკინი... კოლჩაკი... სიმშილი. საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრები შემცირდა უკანასკნელ შესაძლებლობამდი. შეთქმულება შიგნით, რევოლიუცია ყალყზე დგება. სადაც არის თავზე დაგვემხობა ყველაფერი, ილიჩი—კი წყნარათ არის. ის ხედავს დამარცხების შესაძლებლობას. ხუმრობით ამას ფრანგულათ „ყირაზე დადგომას" უწოდებს. ყოველ შემთხვევისათვის განკარგულებას იძლევა მიღებული იქნეს ზომები იმისათვის, რომ ხელახლა დავიწყოთ არალეგალური მუშაობა. ერთი წუთითაც ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ თუ რევოლიუცია დამარცხდა, ის დაიღუპება. მაგრამ აი ის უახლოვდება პარტიულ რიგებს და მისი ხმა მჭექარედ გაისმის: „პანიკის გამომწვევნი დახვრიტეთ". და თვითეული გრძნობს: ჩვენ გავიმარჯვებთ. განა ილიჩის მეთაურობით ჩვენ წავაგებთ ბრძოლას?

აი ჩვენი ილიჩი არა პოლიტბიუროში, არა სახალხო კომისართა საბჭოში, არამედ თავის ბინაზე გორკაში, ლურჯი, ალაგ ალაგ გახუნებულ ხალათში, უქამროთ, ისეთი კეთილი სახით, ის ჩასცქერის წიგნებს და გაზეთებს ყველა ენებზე და კილოკავებზე. დადის სანადიროთ და ეპარება იხვებს; ის ქშინავს ლოდინით და გატაცებულია, როგორც შეიძლება გატაცებული იყოს მხოლოდ ილიჩი. აი ადამიანი!

ერთხელ როგორღაც ილიჩი დაფაცურდა და მოიკითხა ბაღის მაკრატელი. შემდეგ გაიქცა ბაღში, მივიდა იასამანის ბუჩქებთან და დაიწყო იქ ტრიალი. ჩვენ მივიდით. „აი ხედავთ,—მიგვითითა ილიჩმა ვიღაცას ბარბაროსული ხელით დამტვრეულ შტოებზე—შეცოდება, რომ ვუცქერი". და ილიჩმა ჩაიცინა საყვარელი, მომხიბლავი სიცილით, მრისხანე ილიჩმა, რომელსაც „ეცოდება უცქიროს" აოხრებულ ყვავილებს.

იცოდა თუ არა ლენინმა თავის-თავის ფასი? გრძნობდა თუ არა ის მთელ თავის მნიშვნელობას? მე დარწმუნებული ვარ, რომ გრძნობდა. მაგრამ ის არასოდეს არ იხედებოდა ისტორიულ სარკეში. ის მეტად უბრალო ადამიანი იყო ამისათვის, იმიტომ, რომ ის ბუმბერაზი იყო. დამახასიათებელი თვისება: ილიჩი ხშირად იგონებდა, რომ მან რაიმე არ იცის, ნამდვილად კი ყველაფერი კარგად იცოდა. მისთვის საჭირო იყო მისი მოსაუბრისაგან გაეგო რაიმე დამატებითი ცნობა, შეიძლება, საკითხის მეორე მხარე, მეორე მიდგომა, სხვანაირი გაშუქება—და ამასთანავე თავისი მოსაუბრის გამოცდა და მისი დახასიათების შენახვა თავისი ჩვეული ტვინის რომელიმე უჯრედში. მისთვის, ილიჩისთვის, ლენინისათვის მნიშვნელოვანი ხომ საქმე იყო, რომელიც მან მტკიცეთ შეისისხლხორცა და რომელიც მის მთავარ მოთხოვნილებათ გახდა.

მაშ რა შუაშია აქ რაიმე სიყალბე ანუ პოზა, როდესაც ლაპარაკია საქმეზე, საქმეზე და კიდევ საქმეზე?

შემდეგ ილიჩის მოკრძალების მიზეზი იყო ალბათ მისი უდიდესი კულტურიოსნობა. ეს მხოლოდ მეშჩანებს არ შეუძლიათ გაიგონ [illegible], თუ როგორ შესძლო ილიჩმა ამდენის გაკეთება. მან შესძლო ასე ბევრის გაკეთება იმიტომ, რომ შეითვისა ყველაფერი კარგი, რასაც იძლეოდა კაპიტალისტური მსოფლიო და მობილიზაცია უქნა რა ყველა მის ცოდნას, გაანაყოფიერა ის მარქსის მოძღვრებით; მან ეს მოძღვრება კიდევ უფრო განავითარა და ყველაფერი ეს დაუმორჩილა პროლეტარული რევოლიუციის ინტერესებს. მას კოლოსალური ცოდნა ჰქონდა, მაგრამ ის მაინც გრძნობდა, რომ ეს არ არის საკმარისი, რადგან ის სხვა საზომით ზომავდა: ილიჩს ხომ მილიონობით და ათეული წლებით უყვარდა ანგარიში.

და ამიტომ რაც უფრო დიდი, რაც უფრო პოპულარული ხდებოდა ლენინის პიროვნება, მით უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ის თავის თავს. ვის შეეძლო „მოხუცისათვის" პირადი მიკერძოება დაეწამებია? განა ვის შეეძლო ეთქვა, რომ ილიჩი სხვაზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე დიადი საქმის ინტერესებზე? არავის და არასოდეს, გარდა, შეიძლება, რამდენიმე გახრწნილ ადამიანისა. და როდესაც ლენინის დიალექტიკის შხამიანი ისრები მიზანს აღწევენ, როდესაც ლენინი სხვას ატეხდა თავის მოწინააღმდეგეებს, ამ დროს ჩვენი პარტიის რიგებში ისინი, ვინც მას ებრძოდენ, ყოველთვის გაძლიერებული ყურადღებით ისმენდენ მის არგუმენტებს.

და რამდენი ადამიანის გარდაქმნა შესძლო ილიჩმა, რამდენი სამუდამოდ დაუკავშირა თავის მოძღვრებას, რამდენი დაარწმუნა და ჩამოაშორა მცდარ გზას! როგორ ზრუნავდა და იბრძოდა ის ადამიანებისათვის! ის სხვადასხვა გზით ზრუნავდა იმ ამხანაგების ფიზიკურ ჯანმრთელობისა და იდეოლოგიურ სიწმინდეზე, რომლებიც მას ძვირფასს „პარტიულ ქონებათ" მიაჩნდა.

ძვირფასი მასწავლებელი... აი მაგონდება მისი უკანასკნელი სიტყვა კომინტერნის მეოთხე კონგრესზე. ილიჩმა უკვე განიცადა ერთი მძიმე ავადმყოფობა. თითქოს ის სიკვდილის სარეცელიდან ადგა. ის ხარბათ დაეწაფა თავის მუდმივ სამუშაოს. საშინლად ღელავდა შესძლებს თუ არა მუშაობას. თავის სიტყვაზე ფიქრობდა, როგორც გამოცდაზე.

ჩვენი გულისცემა შეჩერდა, როდესაც ილიჩი ტრიბუნაზე გამოვიდა. ჩვენ ყველანი ვხედავდით, თუ როგორ უძნელდებოდა მას ეს გამოსვლა. და აი მან გაათავა სიტყვა. მე მივარდი მასთან და ხელი მოვხვიე: ის მთლად სველი იყო დაღლილობისაგან, ხალათი დასველებული ჰქონდა, შუბლიდან ჩამოსდიოდა ოფლის წვეთები, თვალები ერთბაშათ ჩაუვარდა, მაგრამ სიხარულის ცეცხლით ბრწყინავდენ. მათში სჩანდა სიცოცხლის წყურვილი, მათში სიმღერას მღეროდა მუშაობის შესახებ ილიჩის მოუსვენარი სული.

ილიჩთან მივარდა ცეტკინი, რომელსაც სიხარულისაგან ცრემლები გადმოსცვიოდა თვალიდან და დაუწყო მოხუცს ხელებზე კოცნა. განცვიფრებულმა, აღელვებულმა ილიჩმა კლარას დაუწყო ხელზე კოცნა. არავინ არ იცოდა, რომ ავადმყოფობამ გამოხრა ილიჩის ტვინი და რომ მოახლოვებულია საშინელი, ტრაგიკული დასასრული.

ილიჩი კი მე მგონია ხედავდა ამას, ვიდრე მისი მახლობელი ამხანაგები და მეგობრები, ექიმები და პროფესორები. და როდესაც მეორე ავადმყოფობამ ის ლოგინში ჩააწვინა, მან მეგობრებს უკარნახა თავისი პოლიტიკური ანდერძი და სამარის პირას შექმნა ისეთი რამ, რომელიც მრავალ ათეულ წლების განმავლობაში იქნება ჩვენი პარტიის პოლიტიკის განმსაზღვრელი.

ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, ილიჩმა მთელს პარტიას უთხრა უკანასკნელი დიდებული სიტყვები.

შემდეგ კი დაიწყო არა ადამიანური ტრაგედია, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიდგინოთ. მძლავრი ნებისყოფა შებოჭა დამბლამ, ბაგე დადუმდა სამუდამოდ. ამაოდ ბორგავდა აზრი: მაგრამ მას არ შეეძლო გარედ გამოსვლა. ეს წამებაზე უარესი იყო. ამაზე ძნელია წერა, ამხანაგებო. მთელს ისტორიაში მე არ ვიცი ამაზე უფრო საშინელი და ღრმა ტრაგედია.

ზამთრის წყნარ ბინდში კვდებოდა ილიჩი გორკაში. ჯერ კიდევ რამოდენიმე დღის წინად, მისი მდგომარეობა უმჯობესდებოდა. გამხიარულდენ მშობლები, გამხიარულდენ მეგობრებიც. და უეცრად ორგანიზმის გამანადგურებელმა პროცესმა სწრაფად იწყო განვითარება.

როდესაც მე შევარდი ილიჩის ოთახში, რომელიც სავსე იყო წამლებით და ექიმებით, ილიჩმა უკანასკნელათ ამოიხვნეშა. მისი სახე ქვევით დაიშვა და საშინლად გათეთრდა. გაისმა ხრიალი. ხელები ჩამოეშვა. ილიჩი გარდაიცვალა. თითქოს დრო შეჩერდა, თითქოს ყველას გულისცემა შესწყდა. თითქოს ერთის წამით ისტორიის მსვლელობა შეჩერდა და მთელმა მსოფლიომ ამოიკვნესა საშინელი ტკივილით: მშვიდობით, ძვირფასო!

დღეს ჩვენი პარტია ულენინოთ ცხოვრობს და მას ბედმა არგუნა ულენინოთ იცხოვროს. შევსძლებთ თუ არა ჩვენ ცოტათი მაინც დავუახლოვდეთ ილიჩის სიბრძნეს? შევსძლებთ, თუ განუწყვეტლივ ვისწავლით მისგან.

თის წამით ისტორიის მსვლელობა შედით ილიჩის მიუდგომლობას, ყველა პირადული მხარეების უარყოფას პოლიტიკაში? შევსძლებთ, თუ ვისწავლით მისგან.

შევსძლებთ თუ არა ჩვენ მისი გზით წავიყვანოთ პარტია და მასთან ერთად, მისი საშუალებით მუშათა კლასი და გლეხობა? შევსძლებთ, თუ ვისწავლით ლენინისაგან, ილიჩისაგან—ჩვენი მასწავლებლისა და ამხანაგისაგან, რომელმაც არ იცოდა წვრილმანობა, რომელიც მამაცი, გაბედული და ბრძენი იყო. ჩვენ ეს უნდა შევსძლოთ, რადგან ეს სურს მუშათა კლასს, რომელსაც შეს წირა მთელი თავისი სიცოცხლე ამხანაგმა ლენინმა.

ნ. ბუხარინი.



ვ. ი. ლენინის მოწოდება ომის წინააღმდეგ *)

ამხანაგებო მუშებო!

უკვე წელიწადზე მეტია გრძელდება ევროპიული ომი. როგორც ჩანს, ის კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება, ვინაიდან თუ გერმანია [illegible] რია, სამაგიეროდ [illegible] (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია) ჰყავს მეტი ცოცხალი ძალა და აქვს მეტი ფული და გარდა ამისა ის თავისუფლად ღებულობს საომარ იარაღს და მოწყობილობას ყველაზე უფრო მდიდარ ქვეყნიდან—ამერიკის შეერთებულ შტატებიდან.

რა მიზნით სწარმოებს ეს ომი, რომელსაც გაუგონარი უბედურება და ტანჯვა-წვალება მოაქვს კაცობრიობისათვის? თვითეულ მებრძოლ სახელმწიფოს მთავრობა და ბურჟუაზია მრავალ მილიონ მანეთებს ხარჯავს წიგნებსა და გაზეთებზე იმ მიზნით, რომ ომის პასუხისმგებლობა დააკისროს მოწინააღმდეგეს. ბურჟუაზია აღვივებს ხალხში მხეცურ მტრობას და სიძულვილს მოწინააღმდეგის მიმართ; ის არ ერიდება არავითარ სიცრუეს, რათა გამოიყვანოს თავის თავი „თავდამცველ" მხარეთ, რომელსაც უსამართლოდ თავს დაესხნენ სინამდვილეში კი ეს არის ომი ყაჩაღურ დიდ სახელმწიფოების ორ ჯგუფს შორის კოლონიების გასაყოფად, სხვა ერების დასამონებლად, მსოფლიო ბაზარზე შოგების და პრივილეგიების მისაღებად.

ეს არის ყველაზე უფრო რეაქციონური ომი, თანამედროვე მონათმფლობელთა ომი კაპიტალისტურ მონობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ინგლისი და საფრანგეთი სტყუიან, როცა ირწმუნებიან, რომ ისინი იბრძვიან ბელგიის თავისუფლებისათვის.

პირიქით, ისინი დიდი ხანია ამზადებდენ ომს და აწარმოებენ მას გერმანიის გასაძარცვავად და მისი კოლონიების ხელში ჩასაგდებად; მათ ხელშეკრულება დასდვეს იტალიასა და რუსეთთან ოსმალეთის და ავსტრიის გაძარცვის და დაყოფის შესახებ. რუსეთის მონარქია აწარმოებს ყაჩაღურ ომს, ცდილობს ხელში ჩაიგდოს გალიცია, წაართვას მიწები ოსმალეთს და დაიმონოს სპარსეთი და მონღოლეთი. გერმანია აწარმოებს ომს ინგლისის, ბელგიის და საფრანგეთის კოლონიების გასაძარცვავად. სულ ერთია გაიმარჯვებს გერმანია, გაიმარჯვებს რუსეთი, თუ ბრძოლა დამთავრდება „უშედეგოთ" — ყოველ შემთხვევაში ომი კაცობრიობას მოუტანს მოსახლეობის ასეულ მილიონების ახალ ჩაგვრას კოლონიებში, სპარსეთში, ოსმალეთში და ჩინეთში, ერების ახალ დამონებას და ახალ ბორკილებს ყველა ქვეყნების მუშათა კლასისათვის.

როგორია მუშათა კლასის ამოცანები ამ ომის მიმართ? ამ კითხვაზე უკვე გასცა პასუხი ბაზელის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესის (1912 წელს) რეზოლიუციამ, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული მთელი მსოფლიოს სოციალისტების მიერ. ეს რეზოლიუცია მიღებულ იქნა სწორედ ისეთი ომის საფრთხის გამო, როგორიც დაიწყო 1914 წელს. ეს რეზოლიუცია ამბობს, რომ ომი რეაქციონურია, რომ ის მზადდება „კაპიტალისტების მოგების" ინტერესებისათვის, რომ მუშები „ბოროტმოქმედებათ სთვლიან ერთი მეორის [illegible]", რომ მუშებისათვის ტაქტიკის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს 1871 წლის პარიზის კომუნა და 1905 წლ. ოქტომბერი-დეკემბერი რუსეთში. ე. ი. რევოლიუცია.

[illegible] ვრობის წინააღმდეგ. მხოლოდ ასეთი რევოლიუციონური პროპაგანდა და რევოლიუციონური მუშაობა, რომელიც მიმართულია მასების აჯანყებისაკენ, იხსნის კაცობრიობას თანამედროვე ომის და მომავალ ომების საშინელებათაგან. მხოლოდ ბურჟუაზიულ მთავრობების და პირველ რიგში ყველაზე უფრო რეაქციონური, ველური და ბარბაროსული მეფური მთავრობის რევოლიუციონური დამხობა გაუხსნის გზას კაცობრიობას სოციალიზმისა და ერთა შორის მშვიდობიანობისაკენ.

სტყუიან ბურჟუაზიის ის შეგნებული და შეუგნებელი მოსამსახურეები, რომელთაც სურთ დაარწმუნონ ხალხი, რომ რუსეთის მონარქიის რევოლიუციონურ დამხობას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ გერმანიის რეაქციონური მონარქიის და გერმანიის ბურჟუაზიის გაძლიერება.

თუმცა გერმანიის სოციალისტების ბელადები, ისე, როგორც რუსეთის ბევრი გამოჩენილი სოციალისტები, გადავიდნენ „საკუთარი" ბურჟუაზიის მხარეზე და ატყუებენ ხალხს ზღაპრებით „თავდაცვითი" ომის შესახებ, მაგრამ გერმანიის მუშათა მასებში იზრდება და ძლიერდება პროტესტი და აღშფოთება თავისი მთავრობის წინააღმდეგ. გერმანიის იმ სოციალისტებმა, რომელნიც არ გადასულან ბურჟუაზიის მხარეზე, გამოაცხადეს პრესაში, რომ ისინი სთვლიან „გმირულად" რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ფრაქციის ტაქტიკას; გერმანიაში გამოდის არალეგალური მოწოდება ომისა და მთავრობის წინააღმდეგ. გერმანიის მთავრობამ რევოლიუციონურ პროპაგანდისათვის ციხეში ჩაამწყვდია ათობით და ასობით გერმანიის საუკეთესო სოციალისტები, მათ შორის მუშა ქალთა მოძრაობის ცნობილი წარმომადგენელი კლარა ცეტკინ. გამოუკლებლივ ყველა მეომარ სახელმწიფოებში იზრდება მუშათა მასების აღშფოთება. სოც.-დემოკრატების რევოლიუციონურ მუშაობის მაგალითი რუსეთში და მით უმეტეს რევოლიუციის ყოველგვარი გამარჯვება რუსეთში აუცილებლად წინ წასწევს სოციალიზმის გამარჯვების დიად საქმეს.

იხარჯება უაზრავი ოქრო დიდ სახელმწიფოების სალაროებიდან. ომი იწვევს ბრმა სიძულვილს მოწინააღმდეგის მიმართ და ბურჟუაზია ყოველგვარი საშუალებით აძლიერებს ამ სიძულვილს, ცდილობს რა შეასუსტოს ამრიგად ხალხის უკმაყოფილება თავისი ქვეყნის მთავრობის და გაბატონებულ კლასების მიმართ. მაგრამ ომი, რომელსაც დაუსრულებელი უბედურება და საშინელება მოაქვს მუშათა მასებისათვის, ათვითცნობიერებს და გამოცდილებას მატებს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს. თუ დაღუპვა გველის, უმჯობესია დავიღუპოთ საკუთარ საქმისათვის, მუშათა საქმისთვის, სოციალისტურ რევოლიუციისათვის, და არა კაპიტალისტების, მემამულეების და მეფეების ინტერესებისათვის,—აი რას ხედავს და გრძნობს ყოველი შეგნებული მუშა და რა რიგ ძნელიც არ უნდა იყვეს ეხლა რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიული მუშაობა, ის მაინც შესაძლოა, ის წინ მიდის მთელ მსოფლიოში, მხოლოდ მასში მდგომარეობს ხსნა.

ძირს მონარქია, რომელმაც ყაჩაღურ ომში ჩააბა რუსეთი, რომელიც სჩაგრავს ერებს! გაუმარჯოს მუშების საერთაშორისო ძმობას და პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციას!

(გადმოცემულია ტელეგრაფით).
მოსკოვი, 20 იანვარი.

---

*) ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის არქივში არის ვ. ი. ლენინის ხელთნაწერი ომის შესახებ, დაწერილი ვლადიმერ ილიჩის მიერ, როგორც პირველი ფრაზიდან სჩანს, 1915 წლის აგვისტოში. გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ მოწოდება დაწერილია რ. ს. დ. მ. პარტიის ცეკას პროკლამაციების ფურცლისთვის, რომელსაც „სოციალ - დემოკრატ"-ის რედაქცია სცემდა ომის დროს. დოკუმენტი დაწერილია სამ ნახევარ-ნახევარ ფურცელზე შავი მელნით, გარკვეული ხელით, მცირე შესწორებებით ტექსტში.

ვ. ი. ლენინის ინსტიტუტი.

ამერიკა ახალ ჯარებს გზავნის ნიკარაგუაში

ჩემბერლენი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

მცირე ანტანტის ნოტა სან-გოტარდის ინციდენტის გამო

გომინდანის პროგრამა.--ხანკოუში კომუნისტურ აჯანყებას მოელიან

ომი ნიკარაგუაში

ახალი ჯარების გაგზავნა

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. ნიკარაგუაში იგზავნება შეერთებულ შტატების ახალი ჯარები, სამხედრო მოწყობილობა და აეროპლანები (ადს).

ჩემბერლენის ოპტიმიზმი

ლონდონი, 19 იანვარი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ჩემბერლენი გამოვიდა ბირმინგამში და განაცხადა, რომ ლოკარნოს ხელშეკრულების დადების შემდეგ, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ინგლისი აწარმოებენ შეთანხმებულ მუშაობას საერთაშორისო მშვიდობიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

„თუ წარსულ სამ წელს გადავავლებთ თვალს,—განაცხადა ჩემბერლენმა,— უნდა ითქვას, რომ ამჟამად ევროპაში უფრო მშვიდობიანი განწყობილება მეფობს, ვიდრე ოდეს- ჩვენმა მთავრობამ აიღო ძალა-უფლება ხელში. მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე წინად იყო. შიშიანობისათვის ერთგვარ საფუძველს იძლევა ჩინეთის ამბები, მაგრამ აქაც მდგომარეობა რამდენათმე გაუმჯობესდა. ჩინეთის რევოლიუციის სერიოზულმა ფაზამ განვლო მას შემდეგ, რაც რუსეთის გავლენას ბოლო მოეღო ჩინეთში“. (ადს)

მცირე ანტანტის ნოტა

სან-გოტარდის ინციდენტის შესახებ

პარიზი, 19 იანვარი. ჟენევიდან მიღებული ცნობებით, ერთა ლიგის წრეებში ოფიციალურად უარყოფენ ხმებს, თითქოს ლიგას უკვე გადაეცა მცირე ანტანტის ნოტა უნგრეთში იარაღის ფარულად შეზიდვის გამო, და აღნიშნავენ, რომ ამ ნოტის გადაცემა მოსალოდნელია არა უადრეს ორი დღისა. დასახელებულ წრეებში შემდეგ აცხადებენ, რომ ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელმა პრაღიდან მიიღო ინსტრუქციები, რომლებიც ავალებენ მას მიმართოს ერთა ლიგას მოთხოვნილებით გამოიძიოს უნგრეთში იარაღის ფარულად შეზიდვის საქმე. მაგრამ, ვინაიდან სამხრეთ-სლავიისა და რუმინეთის წარმომადგენლებს ჯერ-ჯერობით ასეთი ინსტრუქციები არ მიუღიათ, ამიტომ შესაფერისი ნოტის გადაცემა ერთა ლიგისათვის ბრკოლდება. საფრანგეთის პრესა ენერგიულად უჭერს მხარს მცირე ანტანტის სახელმწიფოების ინიციატივას და აღნიშნავს, რომ იარაღის ფარულად შეზიდვა უნგრეთში სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობიანობისათვის. (ადს).

პოლონეთის ჯაშუშები დანციგში

ბერლინი, 19 იანვარი. „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგ“-ის ცნობით, პოლონეთის მთავრობამ დაადგინა უკან გამოიწვიოს დანციგის პოლონელი დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან არსებულ სამხედრო ცნობის მიმწოდებელ განყოფილების ხელმძღვანელი ბირკენმაიერი. მის ადგილზე არავინ არ იქნება დანიშნული. გაზეთის სიტყვით, ამ უკანასკნელ დროს ბირკენმაიერის სახელს ხშირად უკავშირებენ სენსაციურ ჯაშუშურ მხილებას. შარშან პოლონეთის ყოფილი ოფიცერი პლუცკევიჩი შეეცადა, რომ დანციგის გერმანიის გენერალურ საკონსულოს ერთ-ერთ მოსამსახურეს გადაეცა მისთვის დოკუმენტები საკონსულოდან, რისთვისაც დიდ ჯილდოს პირდებოდა. პლუცკევიჩმა განაცხადა, რომ ის მუშაობს პოლონეთის ჯაშუშურ ორგანიზაციაში, რომელსაც პოლკოვნიკი ბირკენმაიერი ხელმძღვანელობს და ამ უკანასკნელისაგან ღებულობს ის ფულს, მიუხედავად იმისა, რომ ის—პლუცკევიჩი—გადასახლებულია დანციგიდან.

შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ პოლონეთის მეორე ქვეშევრდომიც, რომელიც უკვე ციხეში ზის, შეეცადა მიეღო საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც დანციგიდან ფარული პოლიციის ორგანიზაციასა და შეიარაღებას ეხებოდა. სასამართლოში ამ აგენტმაც განაცხადა, რომ ის პოლკოვნიკ ბირკენმაიერთან მსახურობს. ამ მხილებამ გამოიწვია ბირკენმაიერის უკან გაწვევა პოლონეთის მთავრობის მიერ. (ადს).

პარიზის უნიტარების დემონსტრაცია

[illegible], 19 იანვარი. 22 იანვარს შრომის უნიტარული კონფედერაცია აწყობს საპროტესტო დემონსტრაციას იმის გამო, რომ პროფკავშირებს წაართვეს პროლეტარულ და პოლიტიკურ ტუსაღებისათვის ამნისტიის გამოცხადების მოთხოვნის უფლება. ამასთან დაკავშირებით, პარიზის რაიონის პროფკავშირების უნიტარულმა გაერთიანებამ რეფორმისტული პროფკავშირების გაერთიანებას მიმართა წინადადებით მოაწყონ ერთად გამოსვლა ამ დემონსტრაციაზე. (ადს).

ვეიმარის კონსტიტუცია უნდა გადაისინჯოს

ბერლინი, 19 იანვარი. გერმანიის საერთო მთავრობის თათბირი გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა მთავრობების წარმომადგენლებთან დამთავრდა. თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ვეიმარის კონსტიტუციაში დამაკმაყოფილებლად არ არის გადაჭრილი საკითხი მთლიანად გერმანიისა და გერმანიის ცალკე სახელმწიფოების ურთიერთობის შესახებ და ამიტომ ამ საკითხის ძირითადი საფუძვლები უნდა გადასინჯულ იქნას. რეზოლიუცია ერთხმად სცნობს ძლიერ ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლების აუცილებლობას. ამ საკითხის გადაჭრა უნდა მოამზადოს კომისიამ, რომელიც შექმნილია პარიტეტულ საფუძვლებზე ცენტრალურ და საოლქო მთავრობების წარმომადგენელთაგან და კომისიამ უნდა წარუდგინოს მოხსენება გერმანიის ყველა მთავრობათა ახალ თათბირებს (ადს).

ოპოზიციონერების დაპატიმრება ბოლივიაში

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. ბოლივიის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ დაპატიმრებულია 16 ოფიცერი, სენატორები და დეპუტატები, რომლებიც რესპუბლიკანური პარტიის ოპოზიციას ეკუთვნიან. დაპატიმრებულებს ბრალდებათ გადატრიალების მოხდენის ცდა. საგარეო საქმეთა მინისტრი, პროტესტის ნიშნად დაპატიმრების წინააღმდეგ, გადადგა თანამდებობიდან (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

გომინდანის პროგრამა

შანხაი, 19 იანვარი. ჩან-კაი-ში-ს განცხადება, რომელიც ეხება გომინდანის პროგრამას საგარეო და შინაური პოლიტიკის დარგში, შეიცავს დაპირებას მუშათა კანონმდებლობის შემოღების შესახებ. განცხადებაში შემდეგ ნათქვამია, რომ „დაცული იქნება მუშებისა და მრეწველობის ინტერესები“. გარდა ამისა, განცხადებაში შინაური პოლიტიკის საკითხის შესახებ აღნიშნულია შემდეგი: „ბრძოლა კომუნისტურ ლოზუნგებთან და ყოველგვარ მოძრაობასთან, რომელიც ნგრევის მიზნებს ისახავს, საჯარო დემონსტრაციების აკრძალვა იმ დრომდე, სანამ გომინდანის ცეკა ასეთი ლოზუნგებისა და დემონსტრაციების გეგმას დაამუშავებდეს და ეროვნული კრების მოწვევა ჩრდილოეთის ექსპედიციის მოსამზადებლად“ (ადს).

იარაღი ჩან-ძო-ლინისათვის

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. „ასოშიეიტედ პრესს“-ი მანილიდან იუწყება, რომ გაზეთ „მანილა ბიულეტენ“-ის მტკიცებით, იაპონიის კრეისერი „ოხი“ დამცველად მიჰყვება ჩეხო-სლოვაკიის გემ „პრაღა“-ს, რომელიც დატვირთულია იარაღით. იარაღი, ალბად, ჩან-ძო-ლინისათვისაა დანიშნული (ადს).

სიკვდილით დასჯა კომუნისტური მოღვაწეობისათვის

პეკინი, 19 იანვარი. პეკინში სიკვდილით დასაჯეს სინ-შუო-ცინი, რომელსაც კომუნისტური მოღვაწეობა ბრალდებოდა. სასჯელის წინ სინ-შუო-ცინს ქუჩებში ატარებდნენ. სინ-შუო-ცინთან დაპატიმრებულ 8 კაცს მიესაჯა საკატორღო მუშაობა სხვადასხვა ვადით (ადს).

ბარიკადები ხანკოუში

პეკინი, 19 იანვარი. რეიტერის სააგენტო ხანკოუდან იუწყება, რომ აქ შემოღებულია სამხედრო წესები, ვინაიდან ხელისუფლებას კომუნისტური აჯანყების ეშინია. ქალაქის ქუჩებში აღმართულია ბარიკადები (ადს).

რა მოხდა კანტონში

ამხ. პოხვალინსკის ნაამბობი

ვლადივოსტოკი, 20 იანვარი. 19 იანვარს გემ „კამიმარი“-თ ცურუგიდან ჩამოვიდნენ: ამხ. პოხვალინსკი ოჯახით და კანტონში მოკლულ ამხანაგების ივანოვის ცოლი და უკოლოვის ცოლი 2 წლის ქალით.

ამხ. პოხვალინსკიმ დაწვრილებით აუწერა პრესის წარმომადგენლებს ის საშინელი ტანჯვა-წამება და აბუჩად აგდება, რომელიც მათ განიცადეს ჩინეთის ციხეების ჯურღმულებში.

„13 დეკემბერს საღამოთი,—ამბობს ამხ. პოხვალინსკი,—კანტონში ლიჩიულინის ჯარების შემოსვლის შემდეგ, დაიწყო მუშების ჟლეტა. საკონსულოს ფანჯრებიდან მოსჩანდა, თუ როგორ ერთი მეორეზე აწამებდენ და ხვრეტდენ ყველა იმათ, ვისშიაც ეჭვი შეჰქონდათ, რომ ისინი მონაწილეობას იღებდენ გამოსვლაში. გვამები ქუჩებში ეყარა მთელი დღის განმავლობაში. საკონსულოს შენობის გარეთ მცხოვრები საკონსულოს თანამშრომლები გადმოვიდნენ საკონსულოში და ყველანი ერთად მოველოდით ამბების შემდგომ განვითარებას. საღამოს 8 საათზე შენობას ალყა შემოარტყა 200-მა ჯარისკაცმა, რომლებიც საშინელი ღრიალით და მუქარით მოითხოვდენ ჭიშკრის გაღებას. ეს მოთხოვნილება შესრულებულ იქნა. ამის შემდეგ დაიწყო ძარცვა საკონსულოში. პირველად შეჰკრეს და გაჩხრიკეს ამხ. პოხვალინსკი. მას სათვალეებიც კი წაართვეს. ბავშვები შეჰკრეს დედებთან ერთად და ჩხრეკის დროს აფურთხებდნენ ტანსაცმელს. ამხ. პოხვალინსკი აწამეს მორალურად. ის ხელფეხ შეკრული დააყენეს კედელთან საკონსულოს ეზოში, გაამწკრივეს ჯარისკაცები თოფებით ხელში მომზადებული და მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ შეიყვანეს, დააბრუნეს საკონსულოში. საკონსულოდან თოკით შეკრული თანამშრომლები წაიყვანეს დივიზიის შტაბში, სადაც მოათავსეს ლითონის ბადეში. აქ ჯარისკაცები განუწყვეტლივ მუქარით აჩხარუნებდენ ტყვიისმფრქვეველებს. 14 დეკემბერს დილით ჩინელმა ოფიცრებმა დაიწყეს დაპატიმრებულთა გამოძახება. გამოიძახეს აგრეთვე ყველა დაპატიმრებული საკონსულოს მოსამსახურე ჩინელები, რომელთა შორის იყო 1 ქალი და 1 თორმეტი წლის ბავშვი, რომელთაც მე გადმომცეს, რომ ისინი დასახვრეტად მიჰყავთ. პირველად გაიყვანეს ამხ. ხასისი, შემდეგ ამხ. უკოლოვი, მაკაროვი, ივანოვი და პოპოვი. ისინი გავიდნენ „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

„ციხიდან გამოსვლის შემდეგ მე გავიგე,— ამბობს ამხ. პოხვალინსკი,—რომ ისინი დაჰყავდათ ქუჩებში, სცემდენ ჯოხებით, ჩხვლეტდენ დანებით და სხვ. დაბოლოს ისინი დახვრიტეს პოლიციის მთავარ სამმართველოს შენობის წინ. ამხ. პოხვალინსკი, ოთხი ქალი და ორი ბავშვი გადაიყვანეს კორპუსის შტაბში, სადაც პატარა გალიაში, მშიერი და მწყურვალი, ისინი იმყოფებოდენ ხუთ დღეს. მას შემდეგ, რაც ჩვენ გვინახულა გერმანიის კონსულმა, ჩვენი პირობები გაუმჯობესდა. 30 დეკემბერს ჩვენ გავემგზავრეთ გონკონგში, საიდანაც შანხაიში და იაპონიაში გავლით გამოვემგზავრეთ საბჭოთა კავშირში.

ჩამოსულები კარგად გრძნობენ თავს. მხოლოდ ამხ. პოხვალინსკის ხუთი წლის ქალი დაავადებულია ფსიქიურად. ჩამოსულებს შეხვდენ პარტიულ, საბჭ. და პროფკავშირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშათა დელეგაციები და სამხედრო ნაწილები. ამხ. პოხვალინსკი და დანარჩენები მიემგზავრებიან მოსკოვში 21 იანვარს ჩქარი მატარებლით.

გესლერის მემკვიდრე

ბერლინი, 19 იანვარი. პრეზიდენტმა გესლერის ადგილზე დანიშნა გენერალ-ლეიტენანტი გრენერი, რომელსაც 1920—1923 წელს ეჭირა გზათა მინისტრის თანამდებობა (ადს).

ნოსკეს საპატივსცემო საღამო

ბერლინი, 19 იანვარი. ქვემო-საქსონიის „ტეხნიკურ დახმარების“ შტრეიკბრეხერულმა ორგანიზაციამ ჰანოვერში გამართა ნოსკეს საპატივსაცემლო საღამო, რომელსაც დაესწრნენ სახელმწიფო დაწესებულებების, ფაშისტურ ორგანიზაციების და უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენლები. ნოსკემ მიიღო ადრესი და მადლობა იმ დამსახურებისათვის, რომელიც მას მიუძღვის „ტეხნიკურ დახმარების“ ორგანიზაციის დაარსების საქმეში (ადს).

სამხრეთ-სლავიის ფეიქრების გაფიცვა

ვენა, 19 იანვარი. სამხრეთ-სლავიიდან მიღებულ ცნობის თანახმად, გრძელდება დუგარიზის ფეიქართა გაფიცვა, რომელიც დაიწყო ნოემბერში. მწარმოებლებს არ სურთ დააკმაყოფილონ მუშების მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის გადიდებისა და სამუშაო დღის შემცირების შესახებ. გაფიცვას ახასიათებს იშვიათი სოლიდარობა და სიმტკიცე.

21 დროშის ქვეშ

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. 19 იანვარს კულიჯის გამგზავრების შემდეგ დაიწყო პანამერიკული კონფერენციის საქმიანი ნაწილი. იმ შენობაზე, სადაც კონფერენციაა გამართული, ფრიალებს კონფერენციაში მონაწილე 21 სახელმწიფოს დროშა. შენობასთან შეკრებილი გავანის მცხოვრებლები ნიკარაგუას დროშის აწევას მისალმენ ძახილით: „გაუმარჯოს ნიკარაგუას“ (ადს).

რამდენი გაასესხეს ამერიკ. კაპიტალისტებმა 1927 წ.

ნიუ-იორკი, შეერთებულ შტატების ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, ამერიკის კაპიტალისტებმა 1927 წლის განმავლობაში უცხოეთის სესხებში დააბანდეს 1.574.960.575 დოლარი ე. ი. 166.405.725 დოლარით მეტი, ვინემ 1926 წელს. გაცემულ თანხების უმრავლესობას შეადგენს მთავრობებისათვის მიცემული სესხები (ადს).

ცაკის სესიისათვის

ფაქტიური ქორწინება საქორწინო კოდექსის პროექტის მიხედვით.

ცაკის მე-4 მოწვევის მესამე სესიას წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად პროექტი საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსისა. ამ პროექტმა უაღრესად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომლებიც წინ უძღოდა მის შემუშავებას, მხურვალე მონაწილეობა მიიღო მშრომელთა ფართო მასამ და გამორკვეულ იქნა მისი აზრი, თუ როგორი უნდა იყოს კანონი ქორწინებისა და ოჯახის შესახებ, რომ ის გამოხატავდეს მუშებისა და გლეხების ინტერესებს და ხელს უწყობდეს რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებას ქორწინებისა და ოჯახის სფეროში. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც ეს კანონი არ ეხებოდეს და რომელიც მის საშუალებით არ სცდილობდეს ქორწინებისა და ოჯახურ ნიადაგზე აღმოცენებულ ამა თუ იმ საკითხის გადაჭრას.

ახალი კოდექსი, რომელმაც უნდა შესცვალოს ამჟამად მოქმედი კანონი, გამოცემული 1921 წელში № 28 დეკრეტის სახით, შეიცავს ბევრ ახალ და საინტერესო დებულებას, როგორც მაგ., ქორწინების აკრძალვა არა მარტო პირდაპირი აღმავალი ან შთამავალი შტოის ნათესავთა შორის, არამედ გვერდითი შტოის ოთხი თაობის ნათესავთა შორისაც (ბიძაშვილებსა, დეიდაშვილებსა და მამიდაშვილებს შორის), გაფართოება ცოლქმართა ქონებრივი უფლებებისა, ალიმენტების შესახებ და სხვ. ჩვენ აქ გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ ერთ და მთავარ მათგანზე, სახელდობრ იმ დებულებაზე, რომელიც ეხება ფაქტიურ ქორწინებას. დეკრეტმა № 28, რომელმაც მოსპო ეკლესიური ქორწინება და შემოიღო სამოქალაქო ქორწინება, სავალდებულო გახადა ქორწინების დაფუძნებისათვის მისი რეგისტრაციაში გატარება და ამ რიგად მიანიჭა უფლებები, რომლებიც ქორწინებიდან გამომდინარეობენ, მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც ქორწინება რეგისტრაციაში გაატარეს. მაგრამ ცხოვრებამ წარმოშვა ისეთი პირობები, როდესაც საჭირო შეიქნა ისეთივე უფლებების მინიჭება ფაქტ. ქორწინებისათვისაც, ე. ი. ქორწინებისათვის, რომელიც რეგისტრაციაში არ იყო გატარებული, ისეთი—როგორიც კანონით მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებას.

ეს აშკარად დაგვანახა სასამართლოს პრაქტიკამ. ბავშვებს, რომლებიც დაბადებული იყვნენ ფაქტიურ ქორწინებიდან, სასამართლო უსჯიდა სარჩოს (ალიმენტებს) მათი ფაქტიურ მამისაგან, ასეთნაირადვე უსჯიდა სასამართლო ალიმენტებს გაჭირვებულ და შრომის უნარ მოკლებულ მეუღლეს (ცოლს) მის ფაქტიურ მეუღლისაგან; ქონებას, რომელსაც იძენდნენ მეუღლენი ფაქტიური ქორწინების დროს, სასამართლო სცნობდა მათ საერთო ქონებად და განქორწინების დროს ყოფდა ამ ქონებას მათ შორის. ამ გზით წავიდა სასამართლოს პრაქტიკა. ვინაიდან ის იძულებული იყო ანგარიში გაეწია ცხოვრების მოთხოვნილებებისათვის. ამან კი თავისთავად წამოაყენა საკითხი ფაქტიური ქორწინების ჩამოყალიბების შესახებ, და ამგვარად შემუშავდა საქორწინო კოდექსის პროექტი, რომელსაც შემოაქვს ფაქტიური ქორწინების ცნება. ამით პროექტი არ ქმნის ახალ რამეს, იმას არ შემოაქვს ჩვენი ცხოვრების სინამდვილისათვის უცხო ინსტიტუტი, ის მხოლოდ ადასტურებს იმას, რაც ცხოვრებაში არის, აძლევს მას კანონიერ გამოხატულებას და გამოჰყავს აქედან ყველა ის შედეგი, რაც თან სდევს საერთოდ კანონიერ აქტს. ასეთივე მოტივებით იყო გამოწვეული ფაქტიური ქორწინების აღიარება რუსეთის, უკრაინის და ბელორუსის კანონმდებლობათა მიერ.

საქორწინო კოდექსის პროექტს შემოაქვს ფაქტიური ქორწინების ცნება იცავს ამ ქორწინებას ისე, როგორც რეგისტრაციაში გატარებულ (ფორმალურ) ქორწინებას, როგორც საერთო წესი, პროექტი მოითხოვს, რომ ქორწინება გატარებულ იქნეს რეგისტრაციაში; ეს რეგისტრაცია მას შემოაქვს როგორც სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლება-ინტერესების დაცვის გასაადვილებლად მაგრამ ამავე დროს ის არ სტოვებს უყურადღებოდ ფაქტიურ ქორწინებასაც, როდესაც ასეთს ადგილი ექნება ცხოვრებაში, და იცავს იმას ისეთნაირადვე, როგორც ფორმალურ (რეგისტრაციაში გატარებულ) ქორწინებას. რატომ? იმიტომ, რომ ქორწინებისათვის, ფორმალური იქნება ის თუ ფაქტიური, ერთი და იგივე პირობებია საჭირო (საქორწინო ჰასაკამდი მიღწევა, ახლო ნათესაობაში ან მეორე ქორწინებაში არ ყოფნა და სხვა). ეს ორი სახის ქორწინება არსებითად ერთი მეორისაგან არაფრით არ განსხვავდება და ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ კანონი ორივე მათგანს ერთნაირად იცავს და ფაქტიურ ქორწინებას ანიჭებს ისეთივე უფლებებს, როგორც რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებას. მაგრამ პროექტი, გამოდის რა იმ შეხედულებიდან ქორწინებაზე, რომ ის არის კავშირი ორი სხვადასხვა სქესის პიროვნების კავშირი, რომლის მიზანი შეადგენს საოჯახო-სამეურნეო ერთეულის შექმნა და რომელსაც საფუძვლად უდევს შრომითი პრინციპი, ფაქტიური ქორწინების ცნობისათვის მოითხოვს ერთად ცხოვრების ფაქტს, საერთო მეურნეობას ერთად ცხოვრების დროს და ცოლ-ქმრული ურთიერთობის გამოაშკარავებას მესამე პირთა წინაშე. და ამ ნიშნებით განსხვავდება ფაქტიური ქორწინება სხვა სახის სქესობრივი კავშირიდან. რომელსაც ზემოხსენებული მიზანი დასახული არა აქვს და რომელიც ვერავითარ იურიდიულ შედეგებს ვერ წარმოშობს, თუ მას შედეგათ არ მოჰყვა ქალის დაორსულება ან ბავშვის დაბადება. ამ პირობების მიხედვით სასამართლო, ყოველ კერძო შემთხვევაში განიხილავს რა ორი პირის ცხოვრების ობიექტიურ პირობებს, გამოიტანს გადაწყვეტილებას ამ პირთა ფაქტიურ ქორწინებაში ყოფნის შესახებ ან სცნობს, რომ ისინი ქორწინებაში არ იმყოფებიან. ამრიგად, პროექტი ათანაბრებს რეგისტრაციაში გატარებულ და ფაქტიურ ქორწინებას და აქედან მას გამოყავს უკანასკნელისათვის ყველა ქორწინების ბუნებიდან გამომდინარე შედეგები. ასე, მაგ., პროექტის მე-6 მუხლი ამბობს, რომ არ შეიძლება ქორწინება იმ პირის, რომელიც უკვე დაქორწინებულია რეგისტრაციაში გატარებული ან ურეგისტრაციო ქორწინებით. აქედან ცხადია, რომ თუ ასეთ ქორწინებას ექნა ადგილი, იგი, თანახმად კოდექსის მე-9 მუხლისა, ჩაითვლება ბათილად. პროექტის მე-18 მუხლი ავრცელებს 17 მუხლის ძალას აგრეთვე ისეთ პირთა ქონებაზე, რომლებიც იმყოფებიან ფაქტიურ ქორწინებაში, მე-17 მუხლში კი ლაპარაკია ისეთ ქონებაზე, რომელიც ეკუთვნოდა მეუღლეს ქორწინებამდე და დარჩება მის კერძო ქონებად, და აგრეთვე ისეთ ქონებაზე, რომელნიც შექმნილ იქნა მეუღლეთა მიერ საერთო შრომით ქორწინების განმავლობაში და შეადგენს ორთავეს საერთო ქონებას. მე-24 მუხლი სარჩოს მიღების უფლებას როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე ქორწინების მოსპობის შემდეგაც, ანიჭებს აგრეთვე იმ პირთაც, რომელთაც თუმცა რეგისტრაციაში არ გატარებულან, მაგრამ ფაქტიურად შეუღლებული არიან.

ფაქტიური ქორწინების ინსტიტუტის შემოღებით პროექტი სამართლიანად სწყვეტს ცხოვრების მიერ წამოჭრილ ერთ-ერთ უდიდეს საკითხს ქორწინებისა და ოჯახის დარგში. ამასთანავე იგი თვით ქორწინებას აძლევს უფრო ხანგრძლივ და მტკიცე ხასიათს და საშუალებას უსპობს არა კეთილსინდისიერ პირებს გამოიყენონ ფაქტიური ქორწინება იმ მიზნების მისაღწევად, რომელნიც ქორწინების ბუნებიდან არ გამომდინარეობენ.

ა. კოსტავა.

უკანასკნელი ცნობები

ყალბი საბუთების დამამზადებელთა საქმე

პარიზი, 20 იანვარი. გუშინ დაიწყო ანტისაბჭოთა ყალბი საბუთების დამამზადებელთა—სოლოვსკის, მიჰეევის და სხვათა პროცესი. სოლოვსკი სასამართლოში აცხადებს, რომ „სურდა დაეცინა საბჭოებისათვის და ამიტომ უნდოდა მათი მახეში გაბმა“. თავმჯდომარე ბრალდებულს უკრძალავს ასეთი გამოთქმების ხმარებას საფრანგეთის მთავრობის მიერ ცნობილ საელჩოს მისამართით. სოლოვსკი ღიმილით იხდის ბოდიშს და აცხადებს, თითქოს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის მდივანს დივილკოვსკის მიეცეს მისთვის წინადადება „შეეხანხლა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და კუტეპოვის მამხილებელი მთელი რიგი დოკუმენტები“. სოლოვსკის სიტყვით მან დაამზადა 246 ასეთი დოკუმენტი. „მე დავთანხმდი ასე მოქცეულიყავი პოლიტიკური მოტივებით,—განაცხადა სოლოვსკიმ,—ვინაიდან ვიცოდი, რომ საელჩო ჩაფლავდებოდა ამ დოკუმენტებით“. თავმჯდომარე აწყვეტინებს ბრალდებულს: „ზედმეტია ლაპარაკი პოლიტიკის შესახებ, როცა საქმე ეხება ძარცვასა და ქურდობას, რისთვისაც თქვენ მიიღეთ ფული“. მიჰეევი უარყოფს, რომ ის დოკუმენტები, რომლებიც მას უნახავს, მიიღო შესანახად და აცხადებს, რომ არ იცოდა მათი შინაარსი. მოწმეები—იმ გადამწერი ბიუროს მოსამსახურეები, სადაც სოლოვსკი აძლევდა „დოკუმენტებს“ გადასაწერად, ადასტურებენ რომ ეს დოკუმენტები დაწერილი იყო სოლოვსკის ხელით. საბჭოთა მთავრობის ინტერესების დამცველი ტორრესი აქვეყნებს სოლოვსკის მიერ დამზადებულ რამდენიმე „დოკუმენტს“, მათ შორის „ესპანელ კომუნისტ ხერბანტეს'ს“ მიერ მეორე „კომუნისტ ხანჩე-ბანხოს“-სადმი მიწერილ წერილს, წერილში ნათქვამია, რომ ესპანეთში მოემგზავრება ტერორისტი ფირუმოვი კომინტერნის დავალებით მოსაკლავად პრიმა-დე რივერა. ამ წერილის წაკითხვა დამსწრეთა შორის სიცილს იწვევს. „ამ ჯგუფმა—აცხადებს ტორრესი—დოკუმენტები მიჰყიდა აგრეთვე საფრანგეთისა და უცხოეთის გაზეთებს. ბრალდებულები პოლიტიკური მოღვაწეები კი არა, ქურდები არიან“. პროკურორი მხარს უჭერს ტორრესის თვალსაზრისს და მოითხოვს იმ უცხოელების სამაგალითოდ დასჯას, რომლებიც ბოროტად იყენებენ საფრანგეთის სტუმართმოყვარეობას.

დამცველი რუდენკო, ემყარება რა სოლოვსკის განცხადებას, ამტკიცებს თითქოს მას პროვოკაცია მოუწყო დივილკოვსკიმ და აცხადებს. რომ ვერ ხედავს ქურდობის ნიშნებს. განაჩენი გამოტანილი იქნება ამ კვირაში.

ბრიუსელის თავდამსხმელები განთავისუფლებულია

პარიზი, 20 იანვარი. სამი ახალგაზრდა პირი, რომელთაც ბრალდებოდათ საბჭოთა გამოფენის დარბევა ბრიუსელში, განთავისუფლებულია. ფაშისტური გაზეთი „მიოია საუკონე“ ამტკიცებს, რომ მათი განთავისუფლება გამოწვეულია პრემიერ ჟასპარის მოთხოვნით.

პარიზი, 20 იანვარი. ბრიუსელში საბჭოთა გამოფენის დარბევასთან დაკავშირებით, კომუნისტ დეპუტატებმა ტანმა, ობისტრატენმა და ჟაკმოტმა დეპუტატთა პალატაში შეიტანეს შეკითხვა იმ ზომების შესახებ, რომლებიც ბელგიის მთავრობამ უნდა მიიღოს ფაშისტური ორგანიზაციების მოქმედების წინააღმდეგ.

თეთრგვარდიელების აჯანყება

შანხაი, 20 იანვარი. ჩჟან-ცზუნ-ჩანის რუს თეთრგვარდიელთა ნაწილები დაშლილია. თეთრგვარდიელებმა, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ცუდი მოპყრობითა და ჯამაგირის მიუღებლობით შვიდი თვის განმავლობაში, დაიკავეს პატარა სიმაგრე შანდუნის პროვინციაში. ალყის შემორტყმისა, რომელიც 28 დღე გაგრძელდა, და 22 კაცის დაკარგვის შემდეგ თეთრგვარდიელებმა გარდა ცხენოსანი ნაწილისა დაჰყარეს იარაღი (ადს).

საიმონის კომისიის გამგზავრება ინდოეთში

ლონდონი, 20 იანვარი. რეიტერი იუწყება: „ინგლისის საპარლამენტო კომისიის წევრები გაემგზავრენ ინდოეთში 1919 წელში ჩატარებულ რეფორმების პრაქტიკის შესასწავლად და რეფორმების საკითხის დასამუშავებლად იმ მხრივ, რომ ინდოეთში შემოღებულ იქნეს სრული თვითმართველობა ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში. იმ გარემოებამ, რომ კომისიის შემადგენლობაში ინდოეთის არც ერთი წარმომადგენელი არ შედის, ინდოელებს შორის გამოიწვია ფართო საპროტესტო მოძრაობა და კომისიისათვის ბოიკოტის გამოცხადების საფრთხე (ადს).

კანონი ჯარში გაწვევის შესახებ საფრანგეთში

პარიზი, 19 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ დეპუტატთა პალატამ გაატარა კანონი სალაშქრო გაწვევის შესახებ საფრანგეთში, კანონი სამხედრო სამსახურს აწესებს ერთი წლის ვადით (ადს).

„ცენტროსოიუზის“ დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 19 იანვარი. „ცენტროსოიუზის“ დელეგაცია, რომელიც ამას წინად ჩამოვიდა ინგლისში, საბითუმო ვაჭრობის ინგლისის კოოპერატიულ საზოგადოებასთან აწარმოებს მოლაპარაკებას სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესახებ საბჭოთა და ინგლისის კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის (ადს).

უმუშევრობა დანიაში

სტოკჰოლმი, 20 იანვარი. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბელადმა ხტაუნინგმა სტოკჰოლმის გაზეთ „სოციალ-დემოკრატენ“-ის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა, რომ უმუშევართა რიცხვი დანიაში 100.000 კაცს აღწევს, ე. ი. პროფკავშირებში დარაზმულ მუშების ერთ მესამედს. მუშების მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო აურესებს მთავრობის პოლიტიკა, რომელმაც სახელმწიფო მოსამსახურეებს შეუმცირა სამუშაო ხელფასი და შესწყვიტა უმუშევრობისა და სავადმყოფო კასების დახმარება (ადს).

კოციოს მოკვლის საქმე

ოდესა, 20 იანვარი. გამოძიება იტალიის ვიცე-კონსულ კოციოს მოკვლის შესახებ დამთავრდა. კონსულის მკვლელ დობროვოლსკის წაუყენებული აქვს ბრალდება მესამე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სოციალური დაცვის უმაღლეს ზომას. მოკლული კონსულის ნივთების მქიდველ გუკოვიჩს წაყენებული აქვს ბრალდება იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სამი წლით თავისუფლების აღკვეთას ქონების კონფისკაციით (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ლითონის პროდუქცია იზრდება

მოსკოვი, 20 იანვარი. საკავშირო მნიშვნელობის ლითონის მრეწველობის ტრესტების პროდუქცია 1927-28 წელს გაიზარდა შარშანდელ წელთან შედარებით 20 პროცენტით. ეწყობა რამოდენიმე ახალი საწარმოო, რაც გაგვანთავისუფლებს იმპორტისაგან. ახალი ქარხნების მოსაწყობად გადაიდება 50 მილიონ მანეთზე მეტი. საქმეში დაბანდებული მუშების რიცხვი იზრდება 3,4 პროცენტით.

თეთრგვარდიელის გასამართლება

ხარკოვი, 19 იანვარი. ხარკოვის საოლქო სასამართლოს საგანგებო სესიამ დახვრეტა მიუსაჯა თეთრგვარდიელ ზილბერშტეინს, რომელსაც ამნისტიის გამო დახვრეტა შეეცვალა 10 წლის ციხით, სასტიკი იზოლიაციით. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ზილბერშტეინმა მოახერხა მილიციის უფროსობის მიღება დაბა კახოვკაში. (ადს).

კულაკების და ვაჭრების გასამართლება

კიევი, 20 იანვარი. 21 იანვარს ნიჟინის შრომის სასამართლოში დაიწყება ნოსოვსკის 26 მცხოვრების, უმთავრესად კულაკებისა და ვაჭრების საქმის გარჩევა. მათ ბრალდებათ გეტმანის დროს ნოსოვკაში რაზმის მოწყობა საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად. ამ რაზმმა მარტო ნოსოვკაში დახვრიტა 65 წითელი პარტიზანელი, რომლებიც დარჩნენ ზურგში გეტმანის წინააღმდეგ საბრძოლველად. წითელი პარტიზანელების შეუბრალებლად დახვრეტის გარდა, ეს რაზმი აწამებდა მათ ოჯახებს—ძარცვავდა მათ სახლებს. სთხრიდა თვალებს და სხ. 60 მოწმეს შორის არის ბევრი დასახიჩრებული, დაყრუებული და თვალ ამოთხრილი (ადს).

სულეიმან მირზა უცხოეთთან კულტურულ კავშირის საზოგადოებაში

მოსკოვი, 19 იანვარი. უცხოეთთან კულტურულ კავშირის საზოგადოება ინახულა სპარსეთის ყოფილმა სახალხო განათლების მინისტრმა სულეიმან მირზამ, რომელიც მონაწილეობას იღებდა სპარსეთის დელეგაციაში ოქტომბრის დღესასწაულზე. (ადს).

მილიციის გამოკვლევა

მოსკოვი, 19 იანვარი. საბჭოთა კავშირის მუშაგლეხთა ინსპექციასთან ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრის სტარანიკოვის ხელმძღვანელობით დაარსდა ჯგუფი რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მილიცია და სისხლის სამართლის სამძებრო. გამოკვლევის მიზანია: შეამოწმოს მილიციის ხელმძღვანელობა მისი სოციალურ პოლიტიკური შემადგენლობა, მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები, აგრეთვე გამოარკვიოს მილიციის მუშაკთა დატვირთვა ისეთი საქმეებით, რომლებიც მათ პირდაპირ მოვალეობას, ე. ი. პროლეტარული საზოგადოებრივი წესრიგის და მყუდროების დაცვას არ ეხება. საბჭოთა კავშირის მუშაგლეხთა ინსპექციის ჯგუფის გარდა გამოკვლევას მოახდენენ აგრეთვე უზბეკისტანის და ამიერ-კავკასიის მუშაგლეხთა ინსპექციები სათანადო რესპუბლიკების იუსტიციის კომისარიატის, შინაგან საქმეთა კომისარიატის, სახ. პოლიტსამმართველოს და საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების ც. კ.-ის მონაწილეობით. ამიერ-კავკასიაში გამოკვლეული იქნება ორი ოლქი, უზბეკისტანში — ერთი. (ადს)

პურის დამზადება

მოსკოვი, 20 იანვარი. ცენტროსოიუზმა პირველიდან 15 იანვრამდე დაამზადა 140.410 ტონა ხორბალი—50 პროცენტით მეტი დეკემბრის მეორე ნახევარში დამზადებულ რაოდენობაზე და 83 პროცენტით მეტი დეკემბრის პირველ ნახევარში დამზადებულ რაოდენობაზე. (ადს).

მოსკოვი, 20 იანვარი ადგილებიდან მიღებულ ცნობებით „ხლებოპროდუქტი“-ს მიერ პურის დამზადების საქმეში ადგილი აქვს გარკვეულ გაუმჯობესებას: 10—15 იანვარს საბჭოთა კავშირში დამზადებულია 32.000 ტონაზე მეტი პურის პროდუქტი, 30 პროცენტით მეტი 5—10 იანვარს დამზადებულ რაოდენობაზე. სულ ხლებოპროდუქტმა იანვრის პირველ ნახევარში დაამზადა 90.000 ტონაზე მეტი პურის პროდუქტი და აგრეთვე ზეთიანი თესლები. (ადს).

პარტიული ცხოვრება

გავაძლიეროთ ანტირელიგიური პროპაგანდა

საკავშირო კომპარტიის ც. კ.-ის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ცირკულიარის მიხედვით საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ დაიმუშავა პრაქტიკული ზომები ანტი-რელიგიური პროპაგანდის გასაძლიერებლად.

ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება შეიმუშავებს საგანგებო პროგრამებს ქურთ-ეზიდებისა და სხვა ჩამორჩენილი ტომებისათვის, რომლებსაც ნაკლებად შეხებია მსოფლიო რელიგიები, პარტმუშაკების მანგლისის კურსებისა და მასწავლებელთა გადამზადების კურსების სასწავლო გეგმაში შეტანილ იქნება მეცადინეობა ანტი-რელიგიური პროპაგანდის საკითხების გარშემო. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დროიანად დაარსდეს ურწმუნოთა რესპუბლიკანური კავშირები, მოეწყოს ურწმუნოთა თათბირი და მათი კავშირი ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

ზეპირსა და ბეჭდვითი სიტყვის ხაზით ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ანდობს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებას, რომ მან ვალდებული გახადოს ამიერ-კავკ. ორგანოები, რათა მეტი ყურადღება მიაქციონ ანტი-რელიგიური პროპაგანდის საკითხებს; უზრუნველყოფილ იქნას პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა ამიერ-კავკ. ყველა ძირითად ენებზე.

ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტის ბაზით საკავშირო კომპარტიის საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აწყობს ანტი-რელიგიური პროპაგანდის ნაწარმოებთა გამოფენას; უნდა მოეწყოს სემინარები ანტი-რელიგიური წრეების ხელმძღვანელობისათვის; დამუშავდეს საკითხი იმის შესახებ, რომ ამ.-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოეწყოს სამეცნიერო საგამოკვლეო მუშაობა ანტი-რელიგიურ დარგში; მაქსიმალურად გამოყენებულ იქნან ამ.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულნი მხარეთმცოდნეობის მუშაობისათვის რაიონებში და ეს მუშაობა დაკავშირებულ იქნას ანტი-რელიგიურ პროპაგანდასთან.

ნაციონალური კომპარტიების ც. კ.-ებს წინადადება ეძლევათ განიხილონ უახლოეს სხდომაზე ანტი-რელიგიური პროპაგანდის საკითხები.

კომკავშირის ამიერ-კავკ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება მოაწყობს პროპაგანდისტ-ანტირელიგიელების სემინარებს, „ახალგაზრდა ურწმუნოს“ წრეებს, ბუნების მეტყველების წრეებს, ლექციებს და საუბრებს ახალგაზრდობის სექციებში და [illegible] საკითხველებში.

კინკლაობა უნდა ამოიფხვრას

შინაპარტიულ დემოკრატიის მტკიცეთ გატარებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო პარტიულ მუშაობის გაცხოველებისა და გაღრმავებისათვის, არამედ ორგანიზაციებში საღ ამხანაგურ ურთიერთობის განმტკიცებისათვისაც. იქ, სადაც სუსტია ორგანიზაციაში გაერთიანებულ მასის აქტივობა, სადაც საკითხები „ძმა-ბიჭურათ“ და „ოჯახურათ“ წყდება, მოიკოჭლებს პარტიული მუშაობა და ორგანიზაციის წევრთა შორისაც არანორმალური ურთიერთობა იქმნება.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მანგლისის თემის პარტიული ორგანიზაცია. აქ ამ რამოდენიმე ხნის წინათ პარტიის წევრთა ერთმანეთთან დამოკიდებულება უაღრესად მწვავე იყო. იმის ნაცვლად, რომ კომიტეტები გაძღოლოდენ თემში ადმინისტრატიულ-სამეურნეო და საზოგადოებრივ მუშაობას, ისინი ერთმანეთთან კინკლაობას უნდებოდნენ. უპარტიო მასის თვალში სახელი უტყდებოდა პარტიულ ორგანიზაციას და, როგორც ყოველ ასეთი მდგომარეობის აუცილებელი შედეგი, თემში მოიკოჭლებდა აღმშენებლობითი მუშაობა. ურთიერთობა ზოგიერთ პარტიის წევრთა შორის იმდენად გამწვავდა, რომ ერთ მათგანმა დაატუსაღებინა მეორე.

შეიძლება ბევრ ორგანიზაციაში საქმე ასეთ გამწვავებამდე არ მისულა, მაგრამ ცხადია, რომ მანგლისის ორგანიზაცია ინტრიგანობისა და კინკლაობის მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს, არის ორგანიზაციები, სადაც ეს სერიოზულ ზარალს აყენებს პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობის საქმეს. ასეთ შემთხვევაში ზემდგომი პარტიული ორგანიზაციები ხშირათ ახდენენ კინკლაობით დაავადებულ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა შეცვლას. ეს სწორი ნაბიჯია, მაგრამ სავსებით დამაკმაყოფილებელ ზომად ვერ ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა აგრეთვე დაავადებულ ორგანიზაციის მუშაობის გადასინჯვა-გადახალისება, შინადემოკრატიის გაფართოების და პარტიულ მასის აქტივიზაციის მიზნით. ეს იქნება იმის საუკეთესო საწინდარი, რომ ინტრიგა ასეთ ორგანიზაციაში ველარ გაიჭაჭანებს.

ვ. ლ—ნი.

სუსტი უჯრედი

(ტრესტ „მკერავი“-ს უჯრ. თბილისი)

არსენალის რაიომიკის კომისიამ, რამდენიმე ხნის წინად ჩაატარა ტრესტ „მკერავთან“ არსებულ კომუჯრედის გამოკვლევა, რის შემდეგაც რაიკომის საორგანიზაციო თათბირზედ მოსმენილ იქნა უჯრედის მდივნისა და კომისიის მოხსენებები.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ უჯრედის მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი და აი რატომ: უჯრედს არ ჰქონია არც საერთო და არც კალენდარული სამუშაო გეგმა: უმეტეს ნაწილად იწვეოდენ დახურული კრებები და სუსტი იყო მასიური მუშაობა. რის გამოც უჯრედი ვერ სარგებლობდა მუშებში ავტორიტეტით და არ იზრდებოდა;

მიუხედავად იმისა, რომ ფაბრიკაში მუშების უმრავლესობას შეადგენენ ქალები, უკანასკნელთა შორის მუშაობა მაინც სუსტია;

კომკავშირის უჯრედზედ ხელმძღვანელობა ვერ სდგას საჭირო სიმაღლეზე, რის გამოც კომკავშირლებში ადგილი აქვს სხვადასხვაგვარ ავადმყოფურ მოვლენებს;

სუსტია პარტამზრდელობითი მუშაობა, უჯრედის წევრები ხშირად არ ესწრებიან პოლიტ-სკოლების მეცადინეობაზე, რასაც ბიურო არ აქცევს სათანადო ყურადღებას.

საორგანიზაციო თათბირმა მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ხასიათის დადგენილება, რომელთა ცხოვრებაში გატარებაც გამოაჯანსაღებს უჯრედის საქმიანობას.

მოგვყავს დადგენილების ზოგიერთი პუნქტი:

1. ფაბრიკის სამეურნეო ცხოვრებაში მონაწილეობის გაძლიერების მიზნით, შემოღებულ იქნეს დირექტორის ანგარიშების მოსმენა ბიუროზე და უჯრედზედ.
2. უჯრედის ავტორიტეტის აწევისა და ზრდის გაძლიერებისათვის გაშლილ იქნეს მასიური მუშაობის ყველა ფორმები ღია კრებების უფრო ხშირი მოწვევისა და მათთვის სათანადო დღის წესრიგის შერჩევის გზით.
3. გაცხოველდეს საუჯრედო კომისიების მუშაობა, რისთვისაც საჭიროა ბიუროს ხელმძღვანელობის გაძლიერება მათზედ და სხვა.

კანდიდ.

კომკავშირში

თბილისის ორგანიზაციის მე-15 კონფერენცია

მეოთხე სხდომა

გუშინ დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი თბ. კ., პიონერთა ბიუროს და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გარშემო, კამათში ჩაეწერა 154 ორატორი. დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხ. მელქაძე, ტაბიძე, ხეჩანიანი, ტოფუზოვი, გრძელიშვილი, რუხაძე, ყიფიაშვილი, ტერ-არუთინოვი, ასლამაზოვი, აბულაძე, ვარლამოვი, კოვალენკო, ადამაშვილი, კოროტკოვი, მირზოიანი, გუძიძე, ბარიომაშვილი, ზოლოტკოვსკი, ხომასურიძე, ნერსესოვი, გორგოჯანოვი, ამერიძე, ოგანეზოვი და სხვა. ორატორები აღნიშნავდენ, რომ ფიზკულტურის დარგში მუშაობა საგრძნობლათ სუსტია, წრეებში არ არიან ჩაბმულნი კომკავშირელები და ყურადღება არ ექცევა ხელმძღვანელთა კადრის შექმნას. ორატორები მოითხოვენ სპეციალურ კურსების გახსნას ხელმძღვანელთა მომზადების მიზნით.

ნაწილი მოკამათე ამხანაგებისა აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდათა სექციებში მუშაობას ხელს უშლის მატერიალური უსახსრობა და მოუთითებდა თბ. კ., რათა სათანადო ორგანოების საშუალებით მოგვარებულ იქნას ეს ნაკლი.

შემდეგ აღნიშნავდენ წარმოებაში ჩაბმულ მუშათა ახალგაზრდობის კვალიფიკაციის აწევის სპეციალური წრეებისა და საქარხნო საბრიგადო სკოლების საშუალებით. მაზრიდან გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ მიმდინარეობს მუშაობა გლეხთა მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით. ამ მიზნით არსდება არტელები, ამხანაგობები და სხვა.

ორატორები საყვედურს გამოსთქვამდენ, როდესაც გვესაჭიროება კრედიტი მანქანის შესაძენათ, ასეთს ვერ ვღებულობთ.

დასასრულ აღნიშნავდენ პიონერთა შორის მუშაობის შესუსტებას და მოუთითებდენ თბ. კ., რათა მომავალში გაძლიერებულ იქნას მუშაობა ამ მიმართულებით.

მეხუთე სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი თბ. კ. მოხსენების გარშემო, კამათში გამოვიდნენ ამხ. კოჭლამაზაშვილი, კაზაროვი, გრატიაშვილი, ყოჩიაშვილი, არუთინოვი, იაგნეტინსკი, ოქრობელაშვილი, ბოგაროვი, სახაროვი, მამუჩაშვილი, ვახილევსკი, ხინჩაგაშვილი, ჯავახიშვილი, ვოლხკი, ხიზარულიძე, ბუზმტაძე.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა გაძლიერდეს ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობა, ფართოდ იქნას გაშლილი კონკურსების მოწყობის სისტემა და ამასთანავე ახალგაზრდათა ხარისხიდან—შემდეგ ხარისხში გადარიცხვა: ნაწილი ორატორებისა აღნიშნავდა, რომ დასასვენებელ სახლებში და კურორტებზე დამზღვევი სალაროები ნაკლებათ აგზავნიან მუშა-ახალგაზრდობას. ამასთანავე მოუთითებდენ თბ. კ., რათა მომავალში მიეცეს საბჭოთა უჯრედებს, გარკვეული დირექტივები ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად.

დღეს დილის სხდომაზე გაგრძელდება კამათი.

ვინ. დან.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

მეორე სხდომა

პროფსაბჭოს პლენუმის მეორე სხდომაზე პირველ რიგში გაიმართა კამათი შრომის დაცვის საკითხების გარშემო. კამათის დამთავრების შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი საჭიროდ სცნობს მუშაობის გაგრძელებას შრომის დაცვის საქმის გასაუმჯობესებლად, შრომის დასაცავად გადადებულ თანხების პირდაპირ დანიშნულებაზე ხარჯვას, სამრეწველო ტრავმატიზმთან ბრძოლის გაძლიერებას, სპეცტანისამოსის საქმის მოწესრიგებას და სხვა.

დაზღვევა და დახმარება უმუშევრობის დროს

მომხსენებელი ამხ. ი. ჭელიძე

იმ დიდი ყურადღების გამო, რომელსაც შრომის ორგანოები იჩენენ უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხისადმი, ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად იმატა დაზღვეულ უმუშევართა რიცხვმა, რასაც შემდეგი ციფრები მოწმობს: 1925 წელს დაზღვეული იყო 3.127 უმუშევარი, 1926 წელს 5.432, ე. ი. მოიმატა 70 პროცენტით, 1927 წელს 4.491, (შედარებით 1925 წელთან მომატებულია 43 პროც.), 1927-28 წელს დაზღვეულ უმუშევართა რიცხვი მიაღწევს 9.900 კაცამდე. დაზღვეულ უმუშევართა დაზღვევას მოხმარდება 1.889 613 მანის ზრდით, არამედ დაზღვეულთა წრის გაფართოებით.

რაც შეეხება დახმარებას, დაზღვევის ორგანოებმა 1925-26 წელს უმუშევრობაზე დახარჯეს 492.802 მანეთი. 1926-27 წელს 719.521 მანეთი. მიმდინარე წლისათვის უმუშევართა დაზღვევას მოხმარდება 1.889.613 მანეთი. (25 წელთან შედარებით გადიდებულია 285 პროცენტით).

26 წელს თვიურად უმუშევარზე იხარჯებოდა წლიურად 92 მან. 72 კაპ., 1926 27 წელს 152 მან. 22 კაპ., წელს დაიხარჯება 192 მან. 87 კ.

1926-27 წლიდან უმუშევართა დაზღვევის წესი შეიცვალა. წინათ უმუშევართა მთელი მასა ორ კატეგორიათ იყო დაყოფილი. პირველს ეძლეოდა თვიურად 15 მანეთი, (9 თვის განმავლობაში) და მეორეს 10 მანეთი (6 თვის განმავლობაში). 1927 წლის ივლისიდან შემოღებული იყო სხვა წესი: დაზღვეულნი დაყოფილნი იყვნენ სამ კატეგორიათ. პირველი კატეგორია თვიურად ღებულობდა 22 მანეთს თბილისში, ჭიათურასა და ბათომში 18 მანეთს და სხვა ადგილებში 16 მან. მეორე კატეგორია ზემოხსენებული ადგილების შესაბამად—17 მანეთს, 18 მან. 50 კაპ. და 12 მან. მესამე კატეგორია—14 მან., 11 მან. და 10 მანეთს.

1928 წლის იანვრიდან 27 წელს შემოღებული წესიც შეიცვალა. ახალი წესი ითვალისწინებს დაზღვეულთა წრის გაფართოებას და დახმარების ნორმების გადიდებას.

	თბილისში,	ბათომ-ჭიათ.	სხვა ადგილ.
1-ლი კატეგორია მიიღებს	24 მან.	20 მან.	18 მან. 50 კაპ.
მე-2 „ „	18 მან.	25 მან.	18 მან.
მე-3 „ „	14 მ. 50 კ.	11 მ. 50 კ.	10 მან. 50 კაპ.

დახმარება მიეცემა 18 თვიდან 9 თვემდე. გარდა ამისა დაზღვეულთ მიეცემა საოჯახო დამატებები ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. ასე რომ წინა წლებთან შედარებით უმუშევართა დახმარების საქმე ბევრად უმჯობესდება. დასაზღვევ დახმარების გადიდება და დაზღვეულთა წრის გაფართოება აყენებს საკითხს დასაზღვევ ანარიცხების თავის დროზე აკრეფის შესახებ. ამ საქმეში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფკავშირებმა.

პლენუმმა მოიწონა ახალი კანონი და სოციალურ დაზღვევის კომიტეტს დაავალა პროფკავშირებთან ერთად მიიღოს ზომები სოც. დაზღვევის ანარიცხების თავის დროზე ასაკრეფათ.

ინდუსტრიალიზაციის სესხის გასაღების შედეგები

მომხსენებელი ამხ. მაჩაიძე

მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების მუშაობა ინდუსტრ. სესხის გავრცელების საქმეში. ამ მიზნით პროფკავშირებმა ჩაატარეს ფართო საინფორმაციო და სააგიტაციო კამპანია. კლუბებში ეწყობოდა საგანგებო საღამოები, მუშათა საერთო კრებები, ლექცია-მოხსენებები და სხვ. სესხის გასაღების შედეგი სავსებით დამაკმაყოფილებელია. თბილისში მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვიდან (50.920 კაცი) სესხს ხელი მოაწერა 37.068 კაცმა. ე. ი. 75,2 პროც. თბილისში გასაღებულია სულ 945.604 მანეთის ობლიგაცია (განათლების მუშაკთა კავშირის გარდა), რაც შეადგენს კავშირებში გაერთიანებულ მუშა მოსამსახურეთა საერთო თვიური ხელფასის 25,5 პროცენტს.

მაზრების მიხედვით სესხი წარმატებით გასაღდა ოზურგეთის, სიღნაღის, ახალციხის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრებში. გასაღებულ ობლიგაციების მიხედვით საქართველომ მთელს საბჭოთა კავშირში მე-4 ადგილი დაიჭირა. თვით საქართველოში პირველი ადგილი ერგო აჭარისტანს. მომხსენებელმა შეადარა სახელმწიფო სესხების და ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია ერთმანეთს და აღნიშნა, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხი ყველაზე უფრო წარმატებით ჩატარდა საქართველოში. საქართველოში გასაღებულია სულ 2.468.360 მანეთის ობლიგაცია.

დასასრულ, მომხსენებელი შეეხო ახალ საგლეხო სესხის საკითხს და საჭიროდ სცნო პროფკავშირების აქტიური მონაწილეობა გლეხურ მეურნეობის განსამტკიცებლად გამოცემული სესხის გავრცელებაში.

პლენუმმა მიიღო ამ მოხსენების მიხედვით რეზოლიუცია, რომელიც სესხის გასაღებლად ჩატარებულ მუშაობას სავსებით დამაკმაყოფილებლად სთვლის და ამავე დროს საჭიროდ სცნობს პროფორგანოების აქტიურ მონაწილეობას ახალი სესხის ობლიგაციის გასაღების საქმეში.

საორგანიზაციო საკითხები

უკანასკნელ დრომდე პროფსაბჭოს პლენუმი იკრიბებოდა სამ თვეში ერთხელ. ეს დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა. ხშირად ფრიად სერიოზული საკითხების გადაწყვეტა მარტო პროფსაბჭოს პრეზიდიუმს უხდება. ამხ. ყურულაშვილის წინადადების თანახმად პლენუმმა დაადგინა: პროფსაბჭოს პლენუმი მოიწვიოს ყოველთვიურად.

ცვლილება სოციალურ დაზღვევის კომიტეტში

პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი ცვლილება სოც. დაზღვევის კომიტეტში: კომიტეტის წევრთა რიცხვი გადიდებულია 31-დან 35 კაცამდე. კომიტეტიდან გამოწვეულ ცომაიას, ხელაიას, ბენიას ნაცვლად (მათი დატვირთვის გამო) წევრებად დამტკიცებულია სოხიანი, გუგენავა და აბზიანიძე და ახლად მოწვეულნი არიან ცაბაძე, მენდელიანი, გორლოვი და ჯიჯაძე.

ა.-კ. პროლეტარ. მწერალთა ყრილობა

მეორე დღე

კამათი ამხ. სუტირინის მოხსენების გარშემო

მეორე დღის დილის და საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. სუტირინის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 15 ამხანაგმა. ზოგიერთი ოპონენტების აზრით მომხსენებელმა ვერ უპასუხა თავის მოხსენების მთავარ თემას. მათი დასკვნით, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მოხსენება არ ემყარებოდა კონკრეტულ ლიტერატურულ ფაქტებს და მხოლოდ ზოგად მიმოხილვის ხასიათს ატარებდა. ამიტომ, ზოგიერთი მწერლების დახასიათებაც არ იყო სწორი და ხშირად შეუფერებელი იყო ამა თუ იმ მწერალის თანამგზავრთა ჯგუფში მოთავსება. (მაგალითად ჯავახიშვილი—ქართულ მწერლობაში და ტალიბლი—თურქულ მწერლობაში).

ამხ. სიმონიანის დასკვნით ამიერ-კავკასიის და კერძოდ სომხეთის მწერლობაში ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხი არც ისე მარტივია, როგორც მომხსენებელი ფიქრობს. მაგალითად, სომხეთის რევოლიუციის წინადროინდელი მწერლობის დიდი ნაწილი თავისი ლიტერატურული ნაწარმოებით გამოხატავდა იმ ზოოლოგიურ ნაციონალიზმს, რომლითაც სომხეთის მსხვილი ბურჟუაზია ფიქრობდა ამიერ-კავკასიის სხვა ერთა დამონებაზე შეექმნა დიდი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ცხადია, სომხეთის პროლეტარულ მწერლობას ასეთი სახის მწერლობიდან არაფერი მისაღები არა აქვს.

ორატორების უმრავლესობა ეკამათებოდა ამხ. სურხატიანს, რომელიც შეუძლებლად სცნობდა პროლეტარული მწერლობის ჰეგემონიას სომხეთის მწერლობაში. თავის დებულებას სურხატიანი ასაბუთებდა იმ გარემოებით, რომ სომხეთში, სამრეწველო პროლეტარიატი არ არსებობს და მაშასადამე არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ ამ პროლეტარიატმა გავლენა იქონიოს მწერლობის განვითარებაზე. თვით ის მწერლები, რომელნიც სომხეთის პროლ. მწერალთა ასოციაციაში შედიან, თავისი მხატვრული ფორმებისა და ხერხების, თავისი აზროვნების მიხედვით არ წარმოადგენენ პროლეტარულ მწერლებს. სურხატიანს შემდეგი პასუხი გასცეს: პროლეტარული მწერლობის წარმოშობისა, განვითარებისა და მის მიერ ჰეგემონიის მოპოვებისათვის არ არის აუცილებელი, რომ მაინც და მაინც ძლიერი იყოს სამრეწველო პროლეტარიატი. თვით ის ფაქტი, რომ სომხეთი პოლიტიკურად წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის ერთ ერთ შემადგენელ ნაწილს, ქმნის აუცილებელ შესაძლებლობას პროლეტარულ მწერლობის განვითარებისათვის. ისეთი ქვეყანა, როგორიც არის სომხეთი და განსაკუთრებით აზერბეიჯანი უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა პროლეტ. მწერლობის ლიტერატურულ ჰეგემონიისათვის, რადგან ამ რესპუბლიკებს არ მოეპოვებათ ისეთი ძველი კულტურული და კერძოდ ლიტერატურული მემკვიდრეობა, როგორც მაგ. რუსეთს, სადაც განსაკუთრებით დიდი ნიჭია საჭირო, რომ მწერალი ასცდეს წარსული მწერლობის ზეგავლენას.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. სუტირინმა აღნიშნა, რომ მისი მოხსენების მიზანი იყო ამიერ-კავკასიის მწერლობის თანამედროვე მდგომარეობის არა დეტალური მიმოხილვა, არამედ ლიტერატურული ფაქტების ზოგადი სოციოლოგიური ანალიზი და ამის მიხედვით სათანადო დასკვნის გამოყვანა ლიტერატურული ცხოვრების პერსპექტივის შესახებ.

ეხება რა გლეხური მწერლობის საკითხს, მომხსენებელი ამბობს, რომ არც სომხებს, არც ქართველებს და არც თურქებს დღემდე არ ჰყავთ წმინდა სახის გლეხური მწერლები.

ამხ. სუტირინის საბოლოო სიტყვის შემდეგ მოხსენება წაიკითხა ამხ. ავერბახმა თანამედროვე ლიტერატურისა და „ვაპპის“ ამოცანების შესახებ. ყრილობამ მოისმინა მოხსენების მ[illegible] ნაწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

სასურველი შედეგები მივიღეთ

(წერილი ზუგდიდიდან)

სანამ სასამართლოების რეორგანიზაცია მოხდებოდა, სისხლის სამართლის მნიშვნელოვან საქმეებს არჩევდა ოლქის სასამართლოს სესია ადგილებზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სესია, ერთხელ ან ორჯერ თუ ეღირსებოდა მაზრას წლიწადში და ისიც საქმეებს არჩევდა სამაზრო ცენტრში, სადაც ხშირად საქმის გარჩევის დროს მოქალაქეები შორეული სოფლებიდან უნდა ჩამოსულიყვნენ. ერთის მხრივ ეს იწვევდა უკმაყოფილებას გლეხობაში და მეორე კი, რაც მთავარია უმეტეს შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზების გამო გლეხობა ასე შორი მანძილიდან ვერ ახერხებდა ჩამოსვლას, რითაც ხდებოდა საქმეების გადადება და ამნაირად მათი განხილვის გაჭიანურება თითქმის წლობით და ისიც ისეთების, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო მასის თვალში, რითაც მოსახლეობის უმრავლესობა რჩებოდა უკმაყოფილო.

წარსული წლის ოქტომბრიდან მოხდა ოლქის სასამართლოს რეორგანიზაცია და მაზრებში ჩამოყალიბებულ იქნა სამაზრო სასამართლოები.

სამაზრო სასამართლო ზუგდიდის მაზრაში ფაქტიურად შეუდგა მუშაობას გასული წლის 15 ნოემბრიდან, რომლის მიერ საქმეები გასარჩევად ინიშნება ადგილობრივ რაიონებში და ეწყობა სესიები მაზრის პროკურორთან ერთად.

პირველი სესია იყო წალენჯიხის რაიონში. სადაც დანიშნული საქმეები მხარეთა და მოწმეების გამოუცხადებლობით, თითქმის არც ერთი არ გადადებულა, რადგანაც უკანასკნელთ საშუალება მიეცათ თავიანთ მახლობელ რაიონში გამოცხადებულიყვნენ ასეთისათვის, რითაც გლეხობა სრულიად კმაყოფილი რჩება.

მეორე სესია გაემგზავრა ხობის რაიონში, სადაც ასეთივე შედეგები მივიღეთ.

ამნაირად, საქმის გაჭიანურების, ასეთით გამოწვეულ უკმაყოფილების აღმოფხვრის და სასამართლოს მასებთან დაახლოების მხრივ ს. სამართლოს რეორგანიზაცია სასურველ მიზანს აღწევს.

შ. დ—ლი.

მოულოდნელი უბედურება

ჭოლის თემი, ზუგდიდის მაზრა

1910 წელში ახლო მახლო თემების დახმარებით ჭოლის თემმა ააგო ორკლასიან სკოლის მოსათავსებლად ქვის ორსართულიანი შენობა, რომელსაც ჰქონდა დიდი ავეჯი და სასწავლო ნივთები.

1917 წლიდან აქ გაიხსნა უ. დ. სასწავლებელი, რომელიც მოთავსებული იყო იმავე შენობაში. ასეთი სასწავლებელი იმ დროს სოფელში არ იყო გარდა სამაზრო ქალაქებისა და ვინც მოწყვეტილი იყო ქალაქს, მოდიოდა ჭოლოში სწავლის მისაღებათ.

1919 წ. გაიხსნა გიმნაზიის მეხუთე კლასი, მაგრამ უსახსრობის გამო ერთი წლის შემდეგ დაიკეტა.

გასაბჭოების შემდეგ არსებობს 7 შრომის სკოლა. გასულ წელს თემმა თავისი საკუთარი თანხით აღნიშნულ შენობას გაუკეთა კაპიტალური რემონტი, რომლის დამთავრებას ცოტაღა უკლდა, მაგრამ სამწუხაროდ 29 დეკემბერს ღამით შენობას გაუჩნდა ცეცხლი და მთელი თავისი მოწყობილობით დაიწვა და განადგურდა. დარჩა მარტო შენობის კედლები. ზარალი დაახლოებით 10.000 მანეთს უდრის.

მიუხედავათ ასეთი უბედურებისა, თემის მოსახლეობა გულს მაინც არ იტეხს და ცდილობს შენობის კვლავ განახლებას და მეცადინეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. მაგრამ ეკონომიურად ხელმოკლე ჭოლის თემის გლეხობას არავითარი საშუალება არა აქვს სკოლის შენობის შესაკეთებლად ასე დიდი თანხა გაიღოს საკუთარი საშუალებებიდან. ამიტომ ადგილობრივი პარტორგანიზაცია, თემსაბჭო, პედაგოგიური საბჭო და კომკავშირის უჯრედი მიმართავს თხოვნით ყველა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებებს, მმართველ ორგანოებს, სავაჭრო დაწესებულებებს და აგრეთვე საზოგადოების ყველა მოწინავე ელემენტებს, გამოეხმაურონ ხალხის გაჭირვებას. გამოუწოდონ დახმარების მეგობრული ხელი ჭოლის თემის მოსახლეობას და აღმოუჩინონ მატერიალური დახმარება სკოლას ემსახუროს მშრომელ ხალხს და მისცეს საშუალება ჭოლის 7 წლიანი შრომის სკოლა ემსახუროს მშრომელ ხალხს და ჩაუნერგოს ის დიდი აზრი, რომ სიღატაკისაგან თავის დასაღწევათ ერთად-ერთი უტყუარი იარაღი არის სწავლა-განათლება.

გულდათუთქული.

წერილებიდან

შიმშილობას თავი დავაღწიეთ

ს. ხეთა, ზუგდიდის მაზრა

გასული წლის მოუსავლიანობის გამო ხეთის გლეხობას შიმშილობა მოელოდა, რასაც ყურადღება მიაქცია ადგილობრივ კოოპერატივის გამგეობამ და ცეკავშირს შეუკვეთა—4.000 ფუთი სიმინდი, აქედან სამი ვაგონი სიმინდი უკვე მიღებულია და ურიგდება გლეხობას ფუთი 1 მან. 75 კაპ., რითაც თავი დავაღწიეთ მოსალოდნელ შიმშილობას.

აკაკი ნაჭყებია.

თვითონ სურს მიისაკუთროს

ს. ახაშენი, სიღნაღის მაზრა

ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარე ბლ. გიორგობიანს სურს მიისაკუთროს ერთი ნაკვეთი საფოხდო მიწა ვენახით, ბაღით და სახლით, რისთვისაც სათანადო განცხადება გადაუგზავნა მაზრის ხელისუფლებას დასამტკიცებლად. თელავში კი მას აქვს საკუთარი სახლი. მისი ასეთი მოქმედება სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

ელხიდ.

ვაწარმოებთ აღმშენებლობას

ს. ნახუნოვი, სენაკის მაზრა

უკანასკნელ დროს აქ დიდი აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს; აიგო სკოლის, ქოხ-სამკითხველოს და კლუბის შენობები. სასკოლო შენობის აგებისათვის მოქ. ბეგლარ ფალავამ გაიღო 500 მანეთი, რისთვისაც ის დიდი მადლობის ღირსია.

ალ. ს—ა.

ენერგიული მასწავლებელი

ს. ბოდბისხევი, სიღნაღის მაზრა

შინამრეწველ ხელოსანთა კავშირმა გასული წლის ნოემბერში აქ გახსნა ქრა-კრეის სკოლა, რომელშიაც სწავლობს 60-მდე მოწაფე. აქ ასწავლის ნადია ზარიძის ქალი, რომელმაც სასწავლებლის საქმე კარგ ნიადაგზე დააყენა, გლეხობაც დიდი მადლიერია მისი საქმიანობით. მადლობის ღირსია ასეთი მასწავლებელი.

სამართლის მთქმელი.

მიუჩინეთ დამხმარე

ასურეთი, თბილისის მაზრა

ასურეთის ელსადგურში მუშაობს მხოლოდ მემანქანე, რომელსაც უნდა ჰყავდეს თანაშემწე. ამის გამო მემანქანე თუხარელს უხდება ზედმეტი მუშაობა სრულიად უსასყიდლოდ. რასაც თემაღმასკომი ყურადღებას არ აქცევს, დროა აღმასკომმა მოიწვიოს მემანქანის თანაშემწე.

სოფლელი.

საჭიროა მეტი ყურადღება

ს. ათოცი-მათიამეზვარი, თბ. მაზრა

ამ სოფლებში მცხოვრებთა რიცხვი რამოდენიმე ათეული კომლით განისაზღვრება, რომელნიც ძალზე ჩამორჩენილნი არიან როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. კოოპერატივის უქონლობის გამო გლეხები ჩარჩ-ვაჭრების ხელშია ჩავარდნილი. გლეხობაც სალთის ძილს მისცემია. მეტი ყურადღებაა საჭირო ამ სოფლებისადმი.

გ. გარსიაშვილი.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 21 იანვარს საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ორგანიზაციასთან არსებულ კედლის გაზეთის სარეცენზიო ბიუროს სხდომა. დღის წესრიგში სდგას რკინის გზის მთავარ სახელოსნოს კედლის გაზეთის განხილვა. სხდომას უნდა დაესწრონ ამხ. ნ. იტრიევი, გ. ხეჩუაშვილი, ს. დოლიძე, ნ. ასლამაზაშვილი, უშანგი ჯაში, შინატეხელი და მამუკაშვილი.

ბელადის ხსოვნას

ოთხმა წელმა განვლო იმ დღის შემდეგ, რაც მთელი ქვეყნის მუშათა კლასმა და კერძოდ კი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა დაჰკარგა თავისი წინამძღოლი და რევოლიუციის უდიდესი ბელადი **ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.**

ამხ. ლენინი სიმბოლო იყო მთელი ქვეყნის მუშათა კლასისა, მან შექმნა მშრომელ ხალხში რევოლიუციონური ენტუზიაზმი. კომუნისტურმა პარტიამ შესძლო გაეძღოლა წინ მრავალ მილიონიან მშრომელ ხალხს, რომელიც მეფის ბრჭყალებით შებოჭილი და იმპერიალისტურ ომში ჩაბმული ხსნას მოელოდა.

თებერვლის რევოლიუციამ მეფის ტახტი შეარყია, მაგრამ მუშათა კლასს მაინც არაფერი ეშველა. ახალ მთავრობაში ისევ ბურჟუაზიის მესვეურებმა მოიკალათეს და სცდილობდენ პროლეტარიატის ხელმეორედ დამონებას. სოციალ-დემოკრატები და ესერებიც ბურჟუაზიის საკრავზე მღეროდენ. ამ დროს ლენინი და მისი პარტია ემზადებოდა ნამდვილ პროლეტარულ რევოლიუციისათვის, რაც მალე სისრულეში იქნა მოყვანილი. რუსეთში დამყარდა საბჭოთა მთავრობა. ამან შიშის ზარი დასცა მტრებს, რომლებმაც იწყეს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოლაშქრება, მაგრამ ლენინის რევოლიუციონურმა ტაქტიკამ გამარჯვება ჰპოვა ყველა ფრონტზე.

რუსეთის პროლეტარიატმა მოიგერია ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუცია, შეიერთა ა.-კ. მუშათა კლასი, შეუდგა ქვეყნის აღმშენებლობას და დაცულ მრეწველობის აღდგენას.

ლენინის მიერ შემოღებულმა „ნეპმა" გაამართლა ყველა იმედი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. აღორძინდა თანდათანობით მრეწველობა, ამუშავდა ფაბრიკა-ქარხნები, აშენდა მრავალი შენობები, ელექტრო სადგურები, გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობა და ამაღლდა მშრომელი ხალხის კულტურული დონე, მუშების ნივთიერი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მაგრამ 1924 წ. 21 იანვარმა თავზარი დასცა მსოფლიო მუშათა კლასს. ამ დღეს დიდი ლენინის მაჯის ცემა შეწყდა და სამუდამოდ თვალები დახუჭა.

ლენინის სიკვდილი დიდი დანაკლისია საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისათვის. ამიტომ ის გლოვობს ლენინის გარდაცვალების ოთხი წლის თავს, მაგრამ ამავე დროს მუშათა კლასი მტკიცედ სდგას ლენინიზმის დროშის ქვეშ.

ეს არის იმის თავდები, რომ საბჭოთა კავშირი მთელი თავისი მშრომელი ხალხით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიდის წინ — ლენინის ნაჩვენები გზით და ამ გზით მიაღწევს ის სოციალიზმის სამყაროს.

ვ. მთვრალაშვილი.

გამარჯვება უზრუნველყოფილია

1905 წლის რევოლიუციის დამარცხება და 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის პერიოდები საუკეთესო მაჩვენებელია იმ ყალბი, შეცდარი პოლიტიკური გზის, რომლითაც რუსეთის მშრომელი მასები მიჰყავდათ ესერ-მენშევიკურ პარტიებს, რომელთა საქმიანობა ორგანიულად დაკავშირებული იყო გაბატონებულ არამზადებისა და მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტებთან.

მხოლოდ ლენინის გენიალობამ გაიყვანა მშრომელი კლასი სამშვიდობოზე და კომპარტიის ხელმძღვანელობით ოქტომბრის რევოლიუციამ ჩაუყარა მტკიცე ურყევი საფუძველი სოციალიზმის შენობის ასაშენებლად.

ის თავგანწირული ბრძოლა, რომელსაც საბჭოთა კავშირი აწარმოებს ლენინის მიერ დასახულ მიზნების განსახორციელებლად, სრულ იმედს იძლევა იმისას, რომ სოციალიზმის საქმე უზრუნველყოფილია. მუშათა კლასის მოღალატე ესერ-მენშევიკების მიერ გასროლილი ტყვიით დაავადებული ლენინი უდროოთ გამოესალმა მისთვის საყვარელ მშრომელთა სამსახურის საქმეს, მაგრამ მან დაგვიტოვა ბრძოლაში გამოწვრთნილი კომუნისტური პარტია, რომლის ურყევი ერთიანობა და სწორი პოლიტიკა უტყუარი თავდებია სოციალიზმის საქმის გამარჯვებისა მთელს მსოფლიოში.

ზერიონი.

ჩაქვის სახალხო მამულის მუშებში

ჩაქვის სახალხო მამულში მუშაობს დაახლოვებით 500 მუშა. ამ ორი-სამი წლის წინად მათი მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. მუშები ხშირად 6 თვის განმავლობაში ვერ ღებულობდენ თავიანთ კუთვნილ ხელფასს. თვით მამულის საქმიანობაც არ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული.

მაგრამ ამჟამად „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობის მუყაითი მუშაობის წყალობით, როგორც თვით მამულის საქმიანობა, ისე მუშების მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესებულია. დღეს მუდმივი მუშები თვეში ორჯერ ღებულობენ ჯამაგირს, ხოლო დროებითი მომუშავენი კი კვირაში ერთხელ. გარდა ამისა წინად მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიდენ საცხოვრებელ ბინების უქონლობით. ეს საკითხიც დროზე მოაგვარა გამგეობამ; გასულ წელს აშენებული იქნა მუშების საცხოვრებელი ბინები, რამაც მთელი ასი პროცენტით უზრუნველჰყო მუშები.

ასეთივე მიღწევები აქვთ მუშებს კულტურულ დარგშიაც. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ მუშები დაინტერესებული არიან კულტმუშაობით. ისინი ჩაბმული არიან კლუბთან არსებულ წრეებში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კულტურულ მუშაობაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კლუბის სიპატარავე საგრძნობლად აფერხებს ყოველგვარ კულტურულ მუშაობას. კლუბი იტევს მხოლოდ 150 კაცს, მამულში კი მუშაობს 500 მუშა. გამგეობამაც და პროფკავშირმაც ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

რაც შეეხება ადმინისტრაციის დამოკიდებულებას მუშებთან, უნდა ითქვას, რომ ძალიან მეგობრული დამოკიდებულება არსებობს მათში. ადმინისტრაციის წარმომადგენლები მთელ თავისუფალ დროს მუშებში კულტურულ და პროფესიონალ მუშაობას ახდენენ.

გერასიმე

რკ. გზების საწარმოო კონფერენცია

19 იანვარს, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში შესდგა რკ. გზის წარმოება-დაწესებულებათა საწარმოო კომისიების და ადმინისტრატორთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც. კონფერენციამ მოისმინა ინჟ. ლაზარევის მოხსენება ა.-კ. რკინის გზებზე არსებულ საწარმოო კომისიებისა და თათბირების მუშაობის გამოკვლევის შესახებ.

მომხსენებლის სიტყვით, კომისიამ მოახდინა საწარმოო თათბირებისა და კომისიების მუშაობის გამოკვლევა 15 ადგილას; ბათომში, ბაქოში და სხვაგან. მიუხედავად იმისა, რომ კომისიების მუშაობა ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა, ამით მუშაობას მაინც საკმაო ნაკლულოვანებანი აქვს. ამიტომ, კომისიებს ეძლეოდათ სათანადო დარიგებები და პრაქტიკული წინადადებები.

შემდეგ მომხსენებელი გადადის კომისიების საქმიანობაზე და აღნიშნავს, რომ საერთოდ კომისიებისა და თათბირების სხდომები შესდგარა 116, სადაც გარჩეულა 625 საწარმოო და ეკონომიური ხასიათის საკითხი, აქედან ცხოვრებაში სავსებით გატარებულია 320 დადგენილება. ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებამ რკინისგზას მისცა 48.000 მანეთის მოგება.

ამის შემდეგ მომხსენებელი ეხება საწარმოო კომისიების ზოგიერთ ნაკლს და ამბობს, რომ ა.-კ. რკ.-გზის ზოგიერთი საწარმოო კომისიები დროზე არ იწვევენ სხდომებს, საქმისადმი გულგრილობას იჩენენ. ზოგიერთი საწარმოო კომისიები წმინდა საწარმოო ხასიათის საკითხებს არ არჩევენ; ცხოვრებაში არ ტარდება მათი დადგენილებანი და სხვ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10—11 კაცმა. ორატორები უმთავრესად აღნიშნავდენ, რომ საწარმოო კომისიებსა და თათბირებს არა აქვთ სწორი ხელმძღვანელობა სათანადო ორგანოებისაგან; ზოგიერთი ადმინისტრატორი განგებ არ ატარებს ცხოვრებაში ამა თუ იმ საწარმოო თათბირის დადგენილებას და მოითხოვენ ამ არანორმალური მდგომარეობის საბოლოოდ აღმოფხვრას.

დამსწრე

საქ. ცაკში

ინვალიდთა კოოპერატიული ნადების საკავშირო ცენტრის შექმნის საკითხი

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება და ამავე განყოფილებასთან არსებულ ინვალიდთა კოოპერატიულ ნადების საბჭომ მიიღო მომართვა ინვალიდთა კოოპერატიულ ნადების საკავშირო თათბირზე მონაწილეობის მიღების შესახებ. თათბირი შესდგება მოსკოვში 6 თებერვალს. თათბირი განიხილავს ინვალიდთა კოოპერატიულ ნადების (არტელების) საკავშირო ცენტრის შექმნის საკითხს.

გლეხთა სახლები

ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა გლეხთა ახალი სახლები გახსნას წყალტუბოს თემში 12 საწოლით და ბაღდადის თემში — 4 საწოლით.

პენსიების დანიშვნა

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით აფხაზეთის ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ რევოლიუციის და საზოგადოების წინაშე დამსახურებისათვის მუდმივი პერსონალური პენსიები დაუნიშნა: 1) ნიკოლოზ სეწეცკის, 2) რევოლიუციონერ პლატონ ემუხვარის ქვრივს, 3) დამსახურებულ ექიმს და საზოგადო მოღვაწეს ევსტაფი ნაგულევიჩს. 4) თომა ეშბას, 5) ლიდა პადგურსკაიას, 6) რევოლიუციონერ გობეჩიას ქვრივს, 7) ალექსანდრე როდიჩევა, 8) ვერა ლოლუას, 9) კესა არკანიას, 10) ოლღა კობახიას და 11) ელეონორა კისელევას.

სახკომსაბჭოში

შრომის კანონთა კოდექსის გამოცემა

შრომის კოდექსი გადაეცა დასკვნისათვის კომისიას ამხ. ი. ვარძიელის, ი. ჭელიძის და ვ. ლუნკევიჩის შემადგენლობით.

ქოხ-სამკითხველოების მდგომარეობის გაუმჯობესება

სახკომსაბჭომ დაამტკიცა ფინსახკომის მიერ წარმოდგენილი პროექტი ქოხ-სამკითხველოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადებული 40.000 მან. განაწილების შესახებ.

ადგილობრივი მრეწველობის შესახებ

ადგილობრივი მრეწველობის სფეროში ს. მ. უ. საბჭოს და სამაზრო აღმასკომების (კერძოთ, თბილისის აღმასკომის) დამოკიდებულებათა საკითხის დასამუშავებლად დაარსებულ იქნა კომისია ამხ. ბ. გოგიას, ვ. ავაქოვის, ახრიევის, ფარწიევის და ლუნკევიჩის შემადგენლობით.

თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბის შუამდგომლობა

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა საზოგადოება თავდაცვა-ავიაქიმის შუამდგომლობა მისთვის სათამაშო „ჩარ-ზარი"-ს მოწყობის უფლების მიცემის შესახებ.

საურავის ჩამოწერა

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა თბილისის აღმასკომის შუამდგომლობა აგურხანების სამმართველოზე, სოცდაზღვევის ანარიცხების თავის დროზე შეუტანლობის გამო, დარიცხული საურავის (2.106 მან.) ჩამოწერის შესახებ.

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

თათბირი საქართველოს ცაკში

ხუთშაბათს, 19 იანვარს, საქართველოს ცაკში ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო საზ-ბის — „წერა-კითხვა"-ს ცენტრ. გამგ-ის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელსაც საზ-ბის აქტიური მუშაკების გარდა დაესწრენ ადგილობრივი პარტორგანოების წარმომადგენელნიც.

სხდომის მიზანი იყო გამოერკვია — თუ რამდენად საფუძვლიანია ის განცხადებანი ზოგიერთ ამხანაგებისა, რომელნიც ამბობენ, რომ ამ საზ-ბას არა აქვს ნიადაგი ქ. თბილისში.

სხდომაზე გამოირკვა, რომ ზემოაღნიშნული განცხადებები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ასეთი განცხადებანი შედეგია მხოლოდ საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს ამოცანათა გაუთვალისწინებლობისა ზოგიერთ ამხანაგების მიერ. გამოირკვა, რომ საზ-ბას ჯერ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი ქალაქის ფარგლებში.

კამათის შემდეგ სხდომამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ცნობილ იქნეს აუცილებლად საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს დამოუკიდებლად არსებობა. დაიწყოს პრესაში კამპანია საზ-ბის სასარგებლოდ. დაევალოს რაიკომებს და რაისაბჭოებს მიიღონ ენერგიული ზომები საზ-ბის უჯრედების ჩამოსაყალიბებლად ქ. თბილისის ყველა დაწესებულება-წარმოებებში. ეთხოვოს პარტიულ ორგანოებს მოახდინონ ამ საზ-ბის მუშაობის გამოკვლევა და მიღებული მასალების მიხედვით მისცენ მას სათანადო დირექტივები მუშაობის გასაღრმავებლად".

დასასრულ, საზ-ბის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა დამსწრეებს: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ამხანაგები გავლენ სხდომის დარბაზიდან იმ განწყობილებით, რომ აუცილებელი საჭიროა საზ-ბა „წერა-კითხვას" მუშაობის გაღრმავება, და მიიღებენ კიდევაც საამისოდ ენერგიულ ზომებს".

საარჩევნო კამპანია სას.-სამ. კოოპერაციაში

(საუბარი „სოფლის კავშირი"-ს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ქ. კაკაბაძესთან)

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოების გადარჩევის კამპანიის შესახებ, „სოფლის კავშირი"-ს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ქ. კაკაბაძემ ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი:

— საქართველოს სას.-სამეურნეო კოოპერაციის არსებობის 4 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელ ორგანოების გადარჩევა წელს პირველად ტარდება გეგმაშეწონილად. პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან მიღწეულია სრული შეთანხმება და საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს მათი უახლოესი მონაწილეობით. საარჩევნო კამპანიის გეგმა და მისი გატარების მეთოდები შემუშავებული იყო წინასწარ „სოფლის კავშირი"-ს მიერ სას.-სამ. ბანკთან შეთანხმებით და მთელი მუშაობა ადგილებზე სწარმოებს პარტიული ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით.

საზოგადო კრებებს „სოფლის კავშირი"-ს ინსტრუქტორების გარდა ესწრებიან „სოფლის კავშირი"-ს და სას. სამ. ბანკის გამგეობის წევრები და პასუხისმგებელი თანამშრომლები. საზოგადო კრებები საგრძნობლად გამოცოცხლდა. მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს კოოპერაციისადმი; კრებებს ესწრება არა მარტო წევრთა დიდი უმეტესობა (80—85 პროცენტი), არამედ არა წევრთა დიდი რაოდენობაც.

აღსანიშნავია ღარიბი გლეხობის აქტივობის ზრდა.

საზოგადო კრებებზე ერთხმად გამოაქვთ დადგენილებები საკუთარ თანხების გაძლიერების და სავაჭრო-საწარმოო ოპერაციებისათვის სპეციალური კაპიტალის შექმნის შესახებ.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანების საკითხს. ჯერ-ჯერობით 18 ძირითად ერთეულში წლიური მოგებიდან გადარიცხულია ღარიბი გლეხობის ფონდში 4.948 მანეთი, რომელი თანხითაც შეძლება გვეძლევა ჩავაბათ კოოპერაციაში 1 700 ღარიბი მეურნე.

მიმდინარე საარჩევნო კამპანიამ ნათლად დაგვანახვა, რომ სოფლის ღარიბმა მოსახლეობამ შეითვისა კოოპერაციის იდეა და თვითონ ჩაება კოოპერაციის პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც უზრუნველჰყოფს ჩვენი სასოფლო სამ. კოოპერაციის განმტკიცებას და სასოფლო მეურნეობის ახალ საფუძველზე გარდაქმნას.

ვის როგორ ესმის მატყლის დამზადების გაუმჯობესება

გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში (29 დეკემბ. № 1664) მოთავსებულია ამხ. ტერ-სარქისოვის წერილი — „საშუალებები მატყლის დამზადების გაუმჯობესების შესახებ". წერილი გამოწვეულია ა.-კ. შინა ვაჭრ. სახ. კომისარიატის კოლეგიის ა.-წ. 18 ნოემბრის დადგენილებით, რომელიც ეხება 1928 წლ. მატყლის დამზადებას.

აღნიშნული დადგენილება ისახავს მიზნად მატყლის ხარისხის გაუმჯობესებას. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ მატყლის ტარტლის (კლუნკერი) რაოდენობის შესამცირებლად მეცხვარეებმა ადგილობრივ უნდა ჩააბარონ გასხვლილი კანძები. მაგრამ შეიძლება თუ არა ამ დადგენილებიდან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ თითქოს აქამდის არ იყო მიღებული ზომები მატყლის დამამზადებელ ორგანიზაციების მიერ მატყლის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ?

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ცნობები მეზობელ რესპუბლიკების მიღწევების შესახებ მატყლის დამზადების დარგში და შეგვიძლია შევეხოთ მხოლოდ საქართველოს. თუ რას მიაღწია საქართველოს სახ.-სამ. კოოპერაციამ მთლიანად (ძირითად მეცხვარეთა ამხ-ბებმა სოფლის კავშირთან ერთად), როგორც მატყლის დამზადების რაოდენობის, ისე ტარტლის შემცირების მხრივ, ამტკიცებს ქვემომოყვანილი ცნობები:

	დამზადება (ფუთ.)	ტარტლი პროც.-ში
1923	10.000	— პროც.
1924	37.000	12 პროც.
1925	62.000	10 პროც.
1926	84.000	8 პროც.
1927	103.000	6 პროც.

აქედან ცხადია, რომ სახ. სამ. კოოპერაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ საქმეს, თუ მან შესძლო 5 წლის განმავლობაში დამზადებულ მატყლის რაოდენობა ათჯერ გაედიდებინა და მეხუთე წლის ბოლოს ტარტლის რაოდენობა შეემცირებინა ორჯერ. რასაკვირველია, მომავალ წელშიაც იმავე გზით განაგრძობს მუშაობას და უფრო მეტ მიღწევებს ექნება ადგილი, რითაც ყოველ მხრივ იქნება დაცული მრეწველობის ინტერესები.

ეხლა შევეხოთ გასხვლილ კანძებით დამზადების წესს, საიდანაც ამხ. ს. ტერ-სარქისოვი მოელის „ხსნას" და ამბობს, რომ ს. ს. რ. კავშირის სხვა რაიონებში სრულიად არ არის მიღებული მატყლის მიღება შეკრულ კანძებით, ალბად სხვაგან მართლაც გაშლილ კანძებით აბარებენ მატყლს, მაგრამ საჭიროა დავუმატოთ, რომ ეს არის მერინოსის ჯიშის მატყლი. ჩვენი მატყლის თვისება კი ისეთია, რომ მატყლის კანძის ნაწილები ადვილად იშლება ნაწრებად (წვრილი მატყლი) და თუ გასარკვევათავე არ შეიკრა, სხვადასხვა ტექნიკურ დაბრკოლებას ექნება ადგილი და თვით მატყლის ხარისხიც საგრძნობლად დაზიანდება.

ავიღოთ, მაგალითად, გაზაფხულის ნაპარსი მატყლი, რომელიც ისე ადვილად არ იშლება, როგორც შემოდგომისა. ჩვენი მეცხვარეები მატყლის პარსვა და დაგროვებას უხდებათ პრიმიტიულ ფარეხ-ბინებში და თუ ისინი ადგილობრივ გაშლილ მატყლს დააგროვებენ, ამ წესით დაგროვებული მატყლი მეტ ჭუჭყს და ნამს მიიზიდავს, ვიდრე შეკრული. გარდა ამისა, გახსნილ კანძებს მეცხვარე ფეხით ხტენავს ბარდანებში, გაშლილი კანძის ნაწილები ერთი მეორეში აირევა, ქეჩასავით მოითელება და დაჰკარგავს ბეწვს სირბილეს, ელასტობას და საერთოდ მატყლის ხარისხი საგრძნობლად დაქვეითდება. კიდევ უფრო უარესად ბარდანებიდან მატყლის ხელახლად გამოღების დროს და მთელი მატყლის მაგიერად დაგვრჩება მხოლოდ ნაკუწები.

ცხადია „ახალი წესით" დამზადებულ მატყლს რა „გაუმჯობესება" მოელის. ეს წერილის ავტორისათვისაც ცხადი უნდა იყოს, რადგანაც როგორც საზ-ბა „შერსტი"-ს მეთაურმა ა.-კავკასიაში, იცის, რა აურზაური სტყდებოდა უკანასკნელ წლების განმავლობაში მატყლის ჩაბარების დროს, როდესაც ხელთ ხვდებოდათ ნაწრებიანი მატყლი (ეგრედ წოდებული „მორსო").

ჩვენს პრაქტიკაში ისეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი როდესაც მოქ. ტერ-სარქისოვმა მოითხოვა გასაშრობათ გაშლილი მატყლის ხელახლად კანძებად შეკვრა, რაც სოფლის კავშირმა შეასრულა მიუხედავათ იმისა, რომ ამ გარემოებამ გამოიწვია ხარჯების გაორკეცება.

რითი ასაბუთებდა მაშინ ამხ. ტერ-სარქისოვი ამ მოთხოვნას? იმით, რომ კანძების დაბინავების და დახარისხების დროს მატყლი იგლიჯება, ჰკარგავს ეფექტს და დახარისხების საქმეც ერთობ რთულდება. მაშასადამე, თუ კი აქამდის სახ.-სამ. კოოპერაციის მიერ აღებული ხაზი სწორი იყო და მატყლის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად ის სავსებით იცავდა მრეწველობის ინტერესებს, სრულიად გაუგებარია, რატომ გახდა საჭირო ამ ხაზის შეცვლა 1928 წლისათვის როდესაც „ახალი წესი" მეტ ზარალს უქადის როგორც სახ.-სამ. კოოპერაციას, ისე თვით მრეწველობასაც. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ მრეწველობა არ ხედავს ტარტლიან მატყლს, რადგანაც მას მისდის უკვე ტარტლისაგან გასუფთავებული და დახარისხებული მატყლი და თუ მატყლის დამზადებაში ვინმე ზარალობს — ეს არის მატყლის დამამზადებელი ძირითადი კოოპერატიული ორგანიზაციები. და სწორედ ზარალის თავიდან აცილება არის უმთავრესი სტიმული იმისა, რომ კოოპერატიული ორგანიზაცია ცდილობს რაც შეიძლება სუფთა მატყლი მიიღოს წევრებისაგან და აიცილოს ტარტლის სიმძიმე. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა ისეთი დიდი მიღწევა და ხუთი წლის განმავლობაში 12 პროც. ტარტლს ვერ დავიყვანდით 6 პროც.-მდე.

წერილის ბოლოში ამხ. ტერ-სარქისოვი ამბობს, რომ გაშლილი კანძების წესი გამოაამჟღავნებს კულაკების სხვადასხვა ხრიკს, რასაც ისინი მიმართავდნენ მატყლის დამზადების საქმეში მრეწველობის საზარალოდ. თუ ამ გარემოებას ჰქონდა ადგილი და მატყლს განგებ უმატებდნენ ტარტლს, ეს შესაძლებელი იყო 1925 წ. როდესაც მატყლის დამზადება ხდებოდა აგენტების საშუალებით, ეხლა კი საქართველოს სას.-სამეურნეო კოოპერაციამ სავსებით უარჰყო აგენტების სისტემა და მატყლის მთელ რაოდენობას ღებულობს უშუალოდ წევრებისაგან. ეს მით უმეტეს შესაძლებელი არის, რომ მეცხვარეობა 90 პროც.-ით მაინც არის კოოპერატიულად შეკავშირებული.

როგორც ზემომოყვანილ ცნობებიდან სჩანს, სახ.-სამ. კოოპერაციის მიერ მტკიცე ხაზია აღებული მატყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად და არავითარი გარემოება არ გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ რაიმე მოსაზრებით სახ.-სამ. კოოპერაცია გადაუხვევს აღებულ ხაზს და უარს იტყვის თავის თვალსაჩინო მიღწევებზე.

ესეც რომ არ იყოს, ა.-კ. შინა ვაჭრობის რწმუნებულის 1927 წ. დეკემბრის 8-ს დადგენილებაზე მატყლის დამამზადებელი ვერ იტყვის უარს. ეს დადგენილება მატყლის ხარისხის გაუმჯობესების და მატყლის მწარმოებლის წაქეზების მიზნით აწესებს შემდეგს: თუ მეცხვარემ ჩააბარა უტარტლო მატყლი, იმ შემთხვევაში მას ეძლევა გარდა 14 მან. მტკიცე ფასისა ფუთზე კომპენსაცია სახით 63 კ., რაც შეადგენს არა 6 პროც. კლუნკერის ღირებულებას, როგორც ეს იყო 1927 წ., არამედ 4 ნახ. პროც. ღირებულებას. ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მეცხვარე დაჯარიმებული იქნება ერთ მანეთამდე ფუთზე, რაც უკვე შეადგენს 7 პროც.-ს ღირებულებას. კოოპერაცია ამ დადგენილებას სავსებით იზიარებს, თუ კი მის მიერ დაწუნებულ მატყლს არ მიიღებს სხვა რომელიმე ორგანიზაცია.

რაც შეეხება —საერთოდ— მატყლის გაშლილი კანძებით ჩაბარებას, ამის შესახებაც არის იმავე თარიღით დადგენილება ა.-კ. შინა ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულისა. დადგენილების გამომუშავებაში იღებდენ მონაწილეობას — გარდა სახ.-სამ. კოოპერაციასა მატყლის სპეციალისტები; ყველამ უარჰყო მატყლის გაშლილი კანძებით დამზადების წესი, რადგანაც ის დასწევს მატყლის ხარისხს და ფასს და თვით დახარისხებაც გართულდება და გაძვირდება.

ქ. კაკაბაძე.

წარმოებების გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე

რა გაკეთდა ცალკე წარმოებებში

ს. მ. უ. ს.-თან გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს უხელმძღვანელოს და დააჩქაროს თბილისის წარმოებების გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე; კომისიაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს:

ტრამვაი უკვე მუშაობს ზაჰესის ენერგიით დილის 7 საათიდან საღამოს 10 საათამდე. შემდეგ კი ტრამვაი მუშაობს საკუთარი ელექტრო-სადგურის ენერგიით. ტრამვაის სრულ გადაყვანას ზაჰესის ენერგიაზე აბრკოლებს ე. წ. ღია ელექტრო-განმანაწილებელი დაფების უქონლობა. აღნიშნული დაფები გამოწერილია ხარკოვის ქარხნებიდან და მიღებისთანავე ტრამვაის მოძრაობა სავსებით ზაჰესის ენერგიით იწარმოებს.

ს. მ. უ. ს. მსხვილ წარმოებათაგან ზაჰესის ენერგიაზე უკვე გადასულია მე-3 თამბაქოს ფაბრიკა და საკარტონაჟო ქარხანა. ამ დღეებში დასრულდება მუშაობა მე-2 თამბაქოს ფაბრიკის გადასაყვანათ ზაჰესის ენერგიაზე. დაწყებულია აგრეთვე მუშაობა 1-ლი თამბაქოს ფაბრიკის ელექტრო-მოწყობილობათა გადასაკეთებლათ და სწარმოებს მუშაობა მე-5 და პირველ სტამბებში ზაჰესის ენერგიის მიმღებ მოწყობილობათა დასადგმათ.

ლითონტრესტის წარმოებებისათვის აგებულია 2 კიოსკი თითო 100 კილოვატ—ამპერის ენერგიის მისაღებათ.

ს. მ. უ. ს. დანარჩენ წარმოებების გადასაყვანათ ზაჰესის ენერგიაზე სწარმოებს მოსამზადებელი სამუშაოები, როგორიცაა სამუშაო გეგმების შედგენა და შესაფერი ხარჯთაღრიცხვების დამუშავება.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

250.000 მან. მეღვინეობისათვის

ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა 1927-28 წლის მეორე კვარტალის გეგმის მიხედვით, საქართველოს სახალხო სასოფლო-სამეურნეო ბანკს საქართველოს სახალხო მამულების ტრესტისათვის მისაწოდებლად გაუხსნა კრედიტი — 250.000 მან. რაოდენობით. ეს თანხა დაიხარჯება მეღვინეობის საქმეზე.

98.325 მან. ჩაის მეურნეობისათვის

ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა საქართველოს ბანკს გაუხსნა 98.325 მანეთის კრედიტი ჩაის მეურნეობისათვის. სესხი გაცემულია — 1935 წლის 1 სექტემბრამდე.

100.000 მან. ა.-კ. მელიორაციისათვის

ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა რესპუბლიკანურ ბანკებს, საკავშირო ფინსახკომის საბიუჯეტო თანხებიდან გაუხსნა კრედიტი მელიორაციისათვის სულ 100.000 მანეთის რაოდენობით. ეს თანხა რესპუბლიკანურ ბანკებზე ნაწილდება შემდეგნაირად: საქართველოს — 20.000 მანეთი, აზერბეიჯანს — 60.000 მან. და სომხეთს —20.000 მანეთი.

ეკონომიურ საბჭოში

„საქართველოს ჩაი"-ს 1928 წ. მოქმედების შესახებ

ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა საზ. „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედებისა და მისი 1928 წ. საწარმოო-საფინანსო პროგრამის შესახებ და მოხსენების ირგვლივ სათანადო ღონისძიებათა პროექტის შესამუშავებლად ამოირჩია კომისია ამხ. ბ. გოგიას (თავმჯდომარე), გ. ყურულაშვილის; ა. ქავთარაძის; კ. კაკაბაძის; ლ. ვამყრელიძის, გედევანიშვილის და გ. [illegible] შემადგენლობით.

კრედიტის განაწილება

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს 1927 წ. დეკემბრის 27-ის დადგენილებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კოოპერაციისათვის 1927—28 წელში ფინანსების მისაწოდებლად გადადებული 30.000 მან. საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, შემდეგნაირად იქნა განაწილებული.

სოფლის კავშირს—19.800 მან.; ხოლო სარეწაო კოოპერატიულ კავშირს—10.200 მან.

საუღელტეხილო რკინის გზა

საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა სამრეწველო-საამშენებლო სექციის მოხსენება საქართველოში საუღელტეხილო ელექტრო-რკინის გზის გაყვანის შესახებ.

სექციამ თავის მოხსენების დასკვნაში ერთმანეთს დაუპირდაპირა ელექტრო-რკინის გზის გასაყვანად წარმოდგენილი ორი პროექტი და აღნიშნა თვითეულ მათგანის მნიშვნელობა იმ რაიონებისათვის, სადაც პროექტების მიხედვით გაყვანილი უნდა იქნას აღნიშნული გზა.

პირველი ვარიანტი გზის გაყვანას გულისხმობს კავკავ-თბილისის მიმართულებით, მეორე ვარიანტი — ბესლანი-მამისონის უღელტეხილი — ახალ-სენაკის მიმართულებით. (ამავე ვარიანტით გასაყვან გზას აგრეთვე ექნება შტო ონიდან გორამდე). სექციის აზრით ამ უკანასკნელი ვარიანტით გაყვანილ გზას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის. ეს გზა გამოიწვევს აგრეთვე ფოთის ნავსადგურის გაფართოვებას და ხელს შეუწყობს ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის დაახლოვებას. ამასთანავე ეს გზა, როგორც უფრო მოკლე გზა, გაადვილებს და გაიაფებს საქართველოში პურის შემოზიდვას, აგრეთვე მას ექნება დიდი სატრანზიტო მნიშვნელობა ყველა იმ ტვირთებისათვის, რომლებიც იგზავნება შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ თურქესტანიდან, სამხრეთ-ციმბირიდან და ჩრდილოეთ-კავკასიიდან და შავი ზღვის ნავსადგურებიდან აღნიშნულ კუთხეებში.

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი შეუერთდა ჩამოთვლილ მოსაზრებებს და წარმოდგენილ ვარიანტებს შორის საუკეთესოთ აღიარა მეორე ვარიანტი, რომლის მიხედვით ელექტრო-რკინის გზა გაყვანილი უნდა იქნეს ბესლან-მამისონი — ახალ-სენაკის მიმართულებით.

საუღელტეხილო ელექტრო — რკინის გზის გასაყვანად დაარსებულია სააქციო საზოგადოება.

საგლეხო სესხი

საქართველოს ფინსახკომი უკვე შეუდგა მუშაობას გლეხის მეურნეობის განსამტკიცებელ სესხის რეალიზაციისათვის.

სესხის რეალიზაციის კამპანიის პერიოდში გაძლიერებულია საქ. ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს შტატი. თითოეული თანამშრომელთაგანი მიმაგრებულია განსაზღვრულ რაიონზე და ითვლება კომისარიატის რწმუნებულად სესხის რეალიზაციის საქმეში.

ამ დღეებში ადგილებზე გაემგზავრებიან ინსტრუქტორებიც.

კომისარიატმა უკვე მიიღო დროებითი მოწმობები ობლიგაციებზე — 455.000 მანეთის რაოდენობით.

ამასთანავე მიღებულია საგიტაციო მასალა რუსულ ენაზე, რომელიც ითარგმნება და დაეგზავნება ადგილებს.

სიმინდი საქართველოსთვის

კოოპერატივების სიმინდით მომარაგების მიზნით ამ რამოდენიმე ხნის წინად ჩრდილოეთ-კავკასიაში გაემგზავრა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ტოროშელიძე.

ამხ. მ. ტოროშელიძემ, რომელიც უკვე დაბრუნდა თბილისში, ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

ხელშეკრულებები სიმინდის მოწოდებაზე დადებულია „სევკავხლებ"-თან და „ცენტროსოიუზ"-თან.

ხელშეკრულებით „სევკავხლებ"-მა ცეკავშირს უნდა ჩააბაროს 350 ვაგონი სიმინდი და „ცენტროსოიუზ"-მა დაახლოებით — 400 ვაგონი, რაც წონით შეადგენს სულ 750.000 ფუთს.

სიმინდის გადმოგზავნა დაიწყებოდა 20 იანვრიდან. სიმინდის საერთო რაოდენობიდან „სევკავხლებ"-მა ერთი თვის განმავლობაში (ე. ი. 20 თებერვლამდე) უნდა გადმოგზავნოს —150 ვაგონი ხოლო „ცენტროსოიუზ"-მა კი —50 ვაგონი სიმინდი. სიმინდის დანარჩენი რაოდენობა გადმოგზავნილი უნდა იქნეს ა. წ. 10 აპრილამდე.

სიმინდის მთელი ეს რაოდენობა კოოპერაციას დააკმაყოფილებს სამი თვის განმავლობაში.

სიმინდი უკანასკნელ მოსავლისაა და კარგი ხარისხისა არის.

სოციალური დაზღვევა

შრომის სახალხო კომისარიატმა სოციალურ დაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტთან ერთად გამოიმუშავა დამზღვევ სალაროების მუშაობის გაუმჯობესების და სოციალურ დაზღვევის ანარიცხებიდან თავის დროზე შეგროვების გეგმა. ვინაიდან ის მძიმე ფინანსიური მდგომარეობა, რომელსაც განიცდიან დამზღვევი ორგანოები, საფრთხეს უქადის სოციალურ დაზღვევის დარგში არსებულ მიღწევებს, შრომის სახ. კომისარიატმა და სოცდაზღვევის კომიტეტმა გადასწყვიტეს მიიღონ განსაკუთრებული ზომები დამზღვევი ანარიცხების თავის დროზე ასაკრეფავად.

ამ მიზნით ყველა დამზღვევ სალაროებს და შრომის ინსპექციებს დაევალათ: არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ახალი დავალიანების დაგროვება და ფხიზლად ადევნონ თვალყური სოცდაზღვევის მიმდინარე ანარიცხების თავის დროზე და სავსებით შეგროვების საქმეს. მიღებული უნდა იქნეს იძულებითი ზომები იმ დაწესებულება-წარმოებების წინააღმდეგ, რომლებიც თავის დროზე არ გადაიხდიან დამზღვევ ანარიცხებს.

შრომის ინსპექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე საანგარიშო წიგნების თავის დროზე წარდგენას და უწყიგნებში გაცემულ ხელფასის რაოდენობის სისწორით აღნიშვნას — დაფარულ ხელფასის აღმოჩენის მიზნით.

ხელფასის დაფარვა და საანგარიშო წიგნების თავის დროზე წარუდგენლობის შემთხვევაში დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და მათ გადახდებათ ჯარიმა.

ტყის გაშენება

ახალი ტყეების გაშენების მიზნით, გაფართოვებულ იქნა ბაღდადის სატყეოებში არსებული სანერგე. ამ სანერგეში გასულ წელს უმთავრესად სწარმოებდა ადგილობრივი ჯიშის ხეების ნერგების გაშენება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ელდარის ფიჭვისა და ძელქვას გაშენებას. ვინაიდან ძელქვა ევროპაში სავსებით მოსპობილია და დარჩენილია მხოლოდ აჯამეთის სატყეოებში და იაპონიაში, ამიტომ განზრახულია მისი გაშენება საქართველოს ყველა სატყეო რაიონებში.

ბაღდადის სატყეოებში გასულ წელს შემოკავებული იქნა მიწა 60 ჰექტარის სივრცეზე, სადაც ძელქვისა და ელდარის ფიჭვის გარდა გაშენებული იქნა ფოთლოვანი ჯიშის ხეები და აკაცია.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ახალი ტყე კიდევ გაშენებული იქნება 60 ჰექტარის სივრცეზე.

ახლად გაშენებულ ტყეებში აკრძალულია როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის ძოვება.

აღსანიშნავია, რომ გლეხები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ტყეების გაშენებაში.

ს.-სამ. გადასახადი

ა. კ. ფინსახკომის ცნობებით პირველ იანვრისათვის, უნდა შეკრებილიყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მთელი რაოდენობის 75 პროცენტი, შეკრებილია კი 79, 07 პროცენტი. აქედან საქართველოში—77.61 პროცენტი, აზერბეიჯანში—76.12 პროცენტი და სომხეთში—91.13 პროც.

აგრონომიული მუშაობის გაფართოვება

აგრონომიული მუშაობის გასაფართოვებლად მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის აგრონომიულმა განყოფილებამ შეიმუშავა სპეციალური გეგმა. ამ გეგმის მიხედვით განზრახულია მთელ საქართველოში მოეწყოს სხვადასხვა სახის აგრო-კულტურული ორგანიზაციები. პირველ რიგში სკოლებთან მოეწყობა სასოფლო-სამეურნეო წრეები და სასოფლო-სამეურნეო კლუბები. ასეთივე წრეები და კლუბები მოეწყობა სკოლების გარეშეც, თემებში და მოზრდილ სოფლებში სოფლის ახალგაზრდობისათვის.

ამას გარდა ადგილობრივი აგრონომიული ორგანიზაციები მოაწყობენ სისტემატიურათ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს, კონკურს საუკეთესო მეურნეზე და სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესასწავლად მეურნე გლეხებისათვის გახსნიან მოკლე ვადიან პრაქტიკულ კურსებს. ამავე დროს მიმდინარე წლიდან გადიდებული იქნება როგორც აგრონომიულ ორგანიზაციების ქსელი ადგილებზე, ისე აგრონომების რიცხვი. ვარაუდით, რათა თითო აგრონომზე მოდიოდეს არა უმეტეს 20.000 ჰექტარი მიწისა და 3.300 მეურნეობისა. აგრონომების რიცხვის გადიდებასთან ერთად გაუმჯობესებული იქნება მათი მდგომარეობაც. განზრახულია სამაზრო აგრონომებს წელიწადში მიეცეს 2000 მანეთი და რაიონულ აგრონომს ამ ჯამაგირის გარდა აგრონომებს მიეცემათ ბინა გათბობით და ცხენი უფასოთ.

ახალი გზატკეცილები

ლეჩხუმ-სვანეთისაკენ

ლეჩხუმის მაზრა, რომელიც ამ ერთი წლის წინეთ სრულიად მოკლებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებთან შემაერთებელ გზატკეცილს, ქუთაისის მაზრას უკავშირდება მეორე გზატკეცილით. ლეჩხუმი ეკონომიურად ძალიან დაკავშირებულია ხონის რაიონთან და სენაკის მაზრასთან. ხონის ბაზრობაზე ლეჩხუმელებს შეაქვთ თავიანთი ნაწარმოები და მოაქვთ საჭირო საქონელი. დღემდე მისვლა-მოსვლა სწარმოებს სრულიად უვარგისი საურმე გზებით, რომელიც ზამთრობით თითქმის გაუვალი ხდება. რამოდენიმე კვირის წინად დაინტერესებულმა რაიონებმა დაადგინეს საგზაო ბეგარის წესით შეუდგენ გზატკეცილის გაყვანას წყალტუბო-ლეჩხუმს შუა. გზატკეცილი, რომელიც გაჰყვება მდ. ცხენის-წყალს და გაივლის სოფ. წყალტუბოზე, გორდზე, კინჩხაზე, ოყურეშზე პირდაპირ მივა დაბა ცაგერამდე და შესაძლებელია გაგრძელდეს იქიდან ლაშხეთამდე (სვანეთი). მუშაობა გზის გასაყვანად უკვე დაიწყეს წყალტუბოს რაიონში. ზამთრის დადგომის შემდეგ მუშაობა შეჩერდა იმის გამო, რომ ჯერ გამორკვეული არ არის, თუ სად იქნება აგებული ხიდი მდ. ცხენის წყალზე, რაზედაც არის დამოკიდებული მუშაობის გაგრძელება. როგორც კი ამორჩეული იქნება ადგილი ხიდის ასაგებად, მუშაობა დაუყონებლივ განახლდება. მდ. ცხენის

ღვინის ბაზარზე

საქონლის ბირჟის ნედლეულის სექციის სხდომაზე 16 იანვარს მოსმენილი იქნა „საქართველოს ღვინო"-ს, სახალხო მამულებათა ტრესტის და მიწსახკომის წარმომადგენელთა მოხსენებები ღვინის ბაზრის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მოთხოვნილება ღვინოზე, არაყზე და სპირტზე საკმაოდ დიდია, როგორც ადგილობრივ, ისე საკავშირო ბაზარზე. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა სპირტზე, რაც აიხსნება იმით, რომ არა მეღვინეობის რაიონებში აკრძალულია პურის სპირტის გამოხდა და ღვინით მოვაჭრე ორგანიზაციები იძულებული არიან შეისყიდონ ადგილობრივ გამოხდილი ღვინო.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ღვინის ფასებს ემჩნევა ზრდის ტენდენცია, რაც აიხსნება გასული წლის მოუსავლიანობით. ღვინის ფასი კახეთში აღწევს 6 მანეთამდე, ხოლო იმერეთში—5 მან. 20 კაპეიკამდე.

საცალო ვაჭრობაში, განსაკუთრებით თბილისში, ჯერ კიდევ დიდ როლს თამაშობს კერძო ვაჭრობა (სასადილოები, რესტორნები და სხ.). კერძო ვაჭრები ღვინის ფალსიფიკაციით აძლევენ ღვინის დაბალ ფასებში გასაღებას, რითაც იზიდავენ მეტ მომხმარებელს.

თათბირმა საჭიროდ სცნო ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება, რომ გასული წლის მაგალითი არ განმეორდეს და ადგილობრივმა ფასებმა არ გადაჭარბონ საკავშირო ბაზრის ფასებს, თათბირმა საჭიროდ აღიარა ღვინის ფასების სტაბილიზაცია არსებულ დონეზე.

გარდა ამისა, თათბირმა საჭიროდ სცნო მიღებული იქნეს ზომები, რომ კოოპერატიულ სავაჭროებს აეკრძალოს კერძო ფირმების ღვინის გასაღება.

გახურებული შანთით

პაჭკორია „რაზრეშენიე"-ს მოითხოვს

ზოგიერთი ჩვენი დაწესებულების ბიუროკრატიული ჩვეულების ავან-ჩავანი ხეირიანათ არ იცის არა მარტო გარეშე მოქალაქემ, არამედ თვით ამ დაწესებულებათა ბევრ თანამშრომლებმაც კი. მაგრამ ბიუროკრატი რის ბიუროკრატია, თუ ის ამას ყურადღებას აქცევს? მისთვის არსებობს მუშაობის ერთგვარი წესი, რომელსაც ის არ გადაუხვევს, თუნდაც წარღვნა მოხდეს, თუნდაც მზე ჩაქრეს და დედამიწას ცეცხლის ალი მოედოს. საქმე წესისათვის და არა წესი საქმისათვის. ეს ბიუროკრატიული ლოზუნგი კარგად უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც უცოცხლია, ვინც ეხლა ცოცხლობს და ვინც აპირებს ცოცხლობას ამ ქვეყანაზე.

თქვენ იქნება ეს არ გჯერათ. ჰკითხეთ ახალსენაკის საავადმყოფოს ფერშალ პაჭკორიას. მკვდარი არა ერთი გასულა აქედან, რომელსაც უგემნია პაჭკორიას ბიუროკრატიულ ოსტატობის სუსხი, ცოცხლები ამ სუსხს ეხლა განიცდიან, ხოლო არც მომავალი ან დასაბადები თაობა ჰყავს პაჭკორიას უპატივცემლოდ.

ადგილობრივ მცხოვრებ გ. უ—ლს ცოლი ფეხმძიმედ ჰყავდა. 30—31 დეკემბერს, ზამთრის ავდრიან ღამეში დადგა მშობიარობის დრო. უ—ლს საშუალება არ ჰქონდა, რომ ცოლი სახლში მოელოგინებია. ქმარი და მუცლის ტკივილით გულშეწუხებული ქალი გაეშურენ საავადმყოფოში. რის ვაი-ვაგლახით გაიარეს ტალახში და წვიმაში ერთი ვერსი. მიაღწიეს საავადმყოფოს კარებს. ეს იყო, ეშველათ, თავისუფლად ამოისუნთქეს, რომ ამ დროს მათ წინ აღიმართა ფერშალი პაჭკორია.

„რა გინდათ?"—იყო კითხვა მისი მრისხანე.

სიარულისაგან და ცოლის ავადმყოფობით შეწუხებულ-მოქანცულ ქმარმა, შუბლზე ოფლის წმენდით, მოკრძალებით უპასუხა: „ფეხმძიმე ქალი მოვიყვანე მოსალოგინებლად".

— მერე „რაზრეშენიე" გაქვენ?!

ცოლ-ქმარი განცვიფრებით მიაშტერდნენ ერთმანეთს. პაჭკორიამ განაგრძო

— „მე ექიმის უმისოთ, ურაზრეშენიოთ ვერ შეგიშვებ, დანარჩენი თქვენ იცით".

მშობლებმა კიდევ გაიგეს საქმე რაში იყო, მაგრამ რა ექნა მომავალ მოქალაქეს, რომელიც იმიტომ მოვიდა საავადმყოფოში, რომ პირველათ ეხილა ამ ქვეყნის სინათლე? მან პაჭკორიას ადათ-წესები არ იცოდა? ის მოდიოდა უკითხავად, „ურაზრეშენიოთ", ვაჟკაცურათ. პაჭკორია კი, რომ შეჯდა ჩორზე, იქედან ფეხი არ მოიცვალა. არც ცდის დრო იყო, არც „რაზრეშენიაზე" სიარულის ანგარიში. ქალს ტკივილები თანდათან ურთულდებოდა. რომ კიდევ დაეცადნათ, შესაძლებელია ბავშვი საავადმყოფოს კარებშივე დაბადებულიყო. ელდა ნაცემი ცოლქმარი უკან, სახლისაკენ გამოეშურა. კვლავ ტოპეს კუპრივით შავ, წვიმიან ღამეში ორღობის ტალახები და ძლივს მიასწრეს ბავშვის დაბადებას სახლში.

პაჭკორია კი განაგრძობს არხეინათ მუშაობას, თითქოს აქ არაფერია. მაინც არაფერი იქნება, თუ ეს უმგზავსოება მას ისევე შაქრათ შეერგოს როგორც—ბევრი სხვა ამისდაგვარი.

ნადი.

წიწაკა სადილის შემდეგ

გაზეთი ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია სოფლისა და ქალაქის კულტურულად დაახლოვების საქმეში. ის არის პირველყოვლისა ახალი ამბების საუკეთესო მოუბარი ქალაქად და სოფლად. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს გაზეთს სოფლისათვის. ცის მანანასავით მოელის გაზეთს სოფლის მკითხველი. მას უყვარს ის, როგორც ერთგული ინფორმატორი და საყურადღებო წერილების მიმწოდებელი. მაგრამ ყველას ეს კარგად არ ესმის. მაგალითად ფოსტის ზოგიერთ მოხელეს, რომელსაც მოაქვს გაზეთი სოფლისათვის, ვერ წარმოუდგენია რა დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული მას, რა მნიშვნელობა აქვს მის პირნათლად მუშაობას. ამიტომაა, რომ გაზეთის მკითხველი ყვირის, კივის, როცა გაზეთს მთელი კვირაობით არ ღებულობს, მაგრამ პასუხის გამცემი არავინაა.

აი მაგალითად, კახეთში არის, როგორც ვიცით, სოფელი წინანდალი, სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს სოფელი ცნობილია თავისი ღვინით. წარმოიდგინეთ, რომ ფოსტის მოხელემ, რომელსაც მიაქვს გაზეთები ამ სოფელში არც ღვინის გემო იცის და არც არაყის. ამბობენ კიდეც, რომ თუ ღვინო პირში ბამბით არ ჩააწურეს, ისე ეს მოხელე ყლაპსაც არ გადაუშვებსო. ვთქვათ ეს ასეა, მაგრამ რას უნდა მიეწეროს, რომ თუ გაზეთის ამანათზე, რომელიმე მისამართი ასო „წ"-თი იწყება, მას თავის დანიშნულებისამებრ მოხვედრა ერთ კვირაზე ადრე არ უწერია. წინანდალის ამანათი მოხვდება წითელ წყაროში, წითელ წყაროს ამანათი წნორის წყალში, წნორის წყალის — წინწმატიანში და ასე დაუსრულებლივ. ზოგჯერ ისეთ ერთგულობასაც კი იჩენს ფოსტის მოხელე, რომ მთელი კახეთის გაზეთებს წინანდალს მიუძღვნის. აქედან კი მეეტლემ 35—40 ვერსის მანძილზე უნდა ატაროს გაზეთები, რომ მიიტანოს ისინი ისეთ პუნქტში, სადაც საკუთარი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება არსებობს. წინანდალში ხშირად ნახავთ გაზეთებს ასეთი მისამართით: „ახმეტა — თელ. მ." აქვე ნახავთ „ახალი სოფელი"-ს სამფუთიან ამანათებს თელავის მაზრის სხვადასხვა პუნქტებში გასაგზავნათ.

წარსული წლის 30 დეკემბერს კი ფოსტის მოხელემ განსაკუთრებული, იშვიათი მოწყალე თვალით გადმოხედა წინანდალს, მან ერთბაშათ მოუძღვნა წინანდალს სიღნაღის მაზრის სოფელ ვარდისუბნის, ანაგის, წნორის წყალის და სხვათა გაზეთები. ასეთი წესით გავრცელებული გაზეთები, იმას გავს, რომ სადილის შემდეგ კაცს წიწაკა მიაწოდო. წიწაკა მკითხველებს აბა რაში გამოადგება? მას უფრო სასარგებლოთ გამოიყენებს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო, თუ ისეთ დაუდევარ მოხელეს მოაშორებს, როგორიცაა კახეთის მატარებლის ფოსტის ვაგონის მუშაკი.

ხოლი.

ხუთნი ძმანი გურჯაანელნი

წინასწარ ვაფრთხილებთ მკითხველს, რომელიც სათაურს წაიკითხავს, არ იფიქროს საქმე ცნობილ კახურ სიმღერას ეხება. აქ ლაპარაკია ნამდვილ, დღევანდელ გურჯაანელ ძმებზე.

სოფელ გურჯაანში (სიღნაღის მაზრა) არის ადგილობრივი მასშტაბით პასუხისმგებელი თანამდებობის კაცი ვანო გოგოლაშვილი. ვანოს ჰყავს ძმები. (აქ ჩვენ ვფიქრობთ გასაკვირი არაფერია). ვანოს ძმებს ჰყავს ქვისლები, (არც აქ არის რაიმე გასაკვირი, კაცნი ვართ, ყველაფერი შესაძლებელია!) ვანოს ძმის ქვისლებს ჰყავთ ნათესავები და კეთილები (აბა, აქ რა უნდა იყოს არაჩვეულებრივი? უნათესავო ვინ დაბადებულა ამ ქვეყანაზე, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც გენჯეხაძე, რომ ოყრომიძეს შეხვდეს, უსათუოდ თუ ბაბუას ხაზით არა, ბებიას ხაზით მაინც გამოსძებნიან ერთმანეთის ნათესავურ კავშირს).

ამრიგათ ურიგო არაფერია იმაში, რომ გურჯაანში არის თანამდებობის კაცი ვანო გოგოლაშვილი, რომელსაც ჰყავს ძმები და კეთილები. მაგრამ უცნაურია გურჯაანში გზის საქმე, რომელიც რატომღაც მარტო ვანო გოგოლაშვილსა და მის ნათესავების თავზე ამოდის. ვანო, როგორც მოგახსენეთ, თანამდებობის კაცია; ვანოს ძმა სანდრო საკრედიტო ამხანაგობის ღვინის საწყობის გამგეა; ვანოს და სანდროს ძმა ნიკო გლეხკომის სასადილოს გამგეა; ვანოს, სანდროს და ნიკოს ძმა ელექტროსადგურშია მოწყობილი; სანდროსთან მსახურობს მისი ქვისლი მაზანაშვილი; ნიკოსთან მისი ქვისლი გ. წიბლაძე და ნიკოს გარეშე ძმა სოფელ ვეჯინიდან ვასო გოგოლაშვილი.

როგორც ხედავთ შტატი შევსებულია. თავის სისხლისა და ჯიგარის დამცველი კაციც ისეთი უნდა, როგორიც გურჯაანელი გოგოლაშვილებია.

ჩვენ ერთი ღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რა ეშველებოდა გურჯაანს, რომ გოგოლაშვილები ამ ქვეყნად არ გაჩენილიყვნენ? მაშინ საცოდავი და ჩამორჩენილი კუთხე მგონი არსად მოიძებნებოდა. იქნებ ამიტომაა, რომ დღემდე ვერავინ ბედავს „შვიდთა ძმათა გურჯაანელზე" ხელის აღებას. ჩვენ მაინც ვურჩევდით, ვისაც ეს ეხება, ჩაერიოს ამ საქმეში. ვნახოთ, ვინ ძლო გურჯაანი მეწყერმა არ წაიღოს.

ზიმე.

სამეცნ. დაწესებულებათა მთავარმმართველობაში

სამეცნიერო ლიტერატურის კრებული

ამ დღეებში საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობამ მიიღო სრ. საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება სამეცნიერო ლიტერატურის კრებულის გამოცემის შესახებ.

აღნიშნულ გამოცემის მიზანია—თავი მოუყაროს ყველა სამეცნ. ლიტერატურას, რაც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოცემულა 1914 წლიდან დღემდე.

სამეცნიერო ლიტერატურის კრებულის გამოცემის სახელმძღვანელოდ არჩეულია სპეციალური მუდმივი კომისია საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეცნიერთა შემადგენლობით, რომლის თავმჯდომარეთ მთავრობის მიერ დანიშნულია ოტტო შმიდტი და მეცნიერ-მდივნად პროფ. მარტინსონი.

საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობას დამზადებული აქვს ქართველ მეცნიერთა, პროფესორთა და ეკონომისტთა შრომები, რომლებიც ამ მოკლე ხანში გადაეგზავნება აღნიშნულ კომისიას სამეცნიერო ლიტერატურის კრებულში შესატანად.

თათბირი პარალელიზმის თავიდან აცილების შესახებ

საბჭოთა კავშირის ფარგლებში საექსპედიციო და სხვა სამეცნიერო მუშაობაში ხშირად აქვს ადგილი პარალელიზმს. ერთ რომელიმე სამეცნიერო დაწესებულებისა ან მკვლევარის მიერ წარმოებულ გამოკვლევაზე პარალელურად მუშაობს მეორე, რაც არ შეიძლება გამართლებული იქნეს, როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, აგრეთვე ეკონომიური მოსაზრებითაც. პარალელიზმის თავიდან აცილების მიზნით სრ. საკავშირო სამეცნიერო აკადემიის გადაწყვეტილი აქვს ამ მოკლე ხანში მოსკოვში მოიწვიოს მეცნიერთა საგანგებო თათბირი.

ამ დღეებში სახკომსაბჭოსთან არსებულ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მართველობამ საქართველოს სამეცნიერო დაწესებულების მთავარმმართველობას გამოუგზავნა მიპატიჟება წარმომადგენლის გამოგზავნის შესახებ ამ თათბირზე.

ტრაქტორ. სახელოსნოები

1924 წლიდან კახეთის მემინდვრეობაში ტრაქტორმა მნიშვნელოვანი როლი დაიჭირა. ამჟამად კახეთში არ არის არც ერთი მოზრდილი თემი, სადაც ტრაქტორი არ მუშაობდეს. მარტო სიღნაღის მაზრაში დღემდე ირიცხება სხვადასხვა სისტემის 72 ტრაქტორი. გარდა ტრაქტორებისა საკმაოდ გავრცელებულია სალეწი, სათესი, ძნის შესაკვრელი მანქანები, ტრიერები, თივის დასატკეპნი მანქანები და სხვა. ამ მანქანების ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ სოფლად არ არის მანქანების შესაკეთებელი სახელოსნოები.

მანქანები ყოველწლიურად საჭიროებენ კაპიტალურ შეკეთებას. ქალაქში ჩატანა იწვევს დიდძალ ხარჯებს და გაცდენას. სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა მიიღო მხედველობაში ეს დამაბრკოლებელი გარემოება სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშაობის და გადასწყვიტა 1928 წლის გაზაფხულიდან სოფელ წნორის წყალში მოაწყოს მანქანების შესაკეთებელი მექანიკური სახელოსნო, სათანადო სამჭედლოებით. სახელოსნოს ასაგები პროექტი უკვე გამომუშავებულია საქართველოს ს. მ. უ. ს. და საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებულია აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვაც 50.000 მანეთის რაოდენობით. ზემოხსენებულ სას.-სამ. მანქანების გარდა ცენტრალური სახელოსნო შეაკეთებს ავტომობილებსაც, რომლებიც მუშაობენ ახლად შეკეთებულ ლაგოდეხ-თბილისის გზატკეცილზე, ცენტრალური სახელოსნოს თავისი განყოფილებები ექნება სხვადასხვა რაიონებში, სადაც სავალი მუშაობის დროს იმუშავებენ სახელოსნო ხელოსნები.

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოში

მოხალისე კორესპონდენტები

საქ. სტატსამმართველოს დადგენილებით, მოხალისე კორესპონდენტთა რიცხვი გადიდებულ იქნება 1.000 კაცამდე. მათი კვალიფიკაციის ასაწევათ და მუშაობის გამოსაცოცხლებლად გამომუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები.

დებულება სტატისტიკის ადგილობრივ ორგანოების შესახებ

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ დაამტკიცა დებულება სტატისტიკის ადგილობრივ ორგანოების შესახებ. დებულება დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს სახკომსაბჭოს.

სოფლის მეურნეობის ბალანსი

სოფლის მეურნეობის 1925-26 და 1926-27 წლების ბალანსის შედგენა დამთავრდება მარტის შუა რიცხვებში.

სტატისტიკოსების განტვირთვა ზედმეტ მუშაობისაგან

სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ წინადადება მისცა სტატისტიკის ადგილობრივ განყოფილებებს, მიიღონ ზომები თანამშრომლების განსათავისუფლებლად, არა სტატისტიკური ხასიათის სამუშაოებისაგან, რათა არ შეაფერხონ მათი პირდაპირი მოვალეობის შესრულება.

ლევან იოსების ძე გოგნიაშვილი

19 იანვარს მიაბარეს მიწას ლევან გოგნიაშვილი. მიცვალებულს დიდი დვაწლი მიუძღვის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ლ. გოგნიაშვილმა დაამთავრა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა და, როგორც საუკეთესო მოწაფე, იქიდან ის გაიგზავნა ყირიმის სამეურნეო სასწავლებელში. იქ ცნობილ ნიკიტინის ბაღთან არსებული მევენახეობის და მეღვინეობის უმაღლესი კურსები დაამთავრა. შემდეგ 30 წლის განმავლობაში ემსახურებოდა სასოფლო მეურნეობის განვითარებას. გოგნიაშვილი დიდხანს იყო ინსტრუქტორ-მებაღედ დასავლეთ საქართველოში, რამდენიმე წლის განმავლობაში განაგებდა უფ. ქორისუბნის იმერიული ვაზის სანერგეს. შემდეგ ის გადმოიყვანეს მევენახეობის და მეღვინეობის ინსტრუქტორად აღმოსავლეთ საქართველოში უფ. მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტში. კახეთში დიდის გულმოდგინებით მუშაობდა გოგნიაშვილი კოოპერაციაში, დიდხანს იყო სამომხმარებლო კოოპერატივების გამგედ თელავში და შემდეგ თავმჯდომარეობდა კახელ მევენახეთა კოოპერატივ „კახეთს". გოგნიაშვილმა დაარსა აგრეთვე „წინანდალის" მევენახეთა და მეღვინეთა კოოპერატივი.

თავის დიდი ხნის მუშაობის განმავლობაში ლ. გოგნიაშვილი ყოველთვის გულწრფელი და გულმოდგინე მუშაკი იყო. მან იცოდა გლეხებისადმი მიდგომა და მდაბიო საუბარით ავრცელებდა ხალხში სოფლის მეურნეობის ცოდნას. მან თითქმის პირველმა გაავრცელა კახეთში დამყნილი ვენახი.

ბოლო წლებში ლ. გოგნიაშვილი მსახურობდა უმაღლესი სახალხო მეურნეობის საბჭოში და მისი ხელმძღვანელობით ეწყობოდა ხეხილის საწრობები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. მას აგრეთვე დავალებული ჰქონდა ხალხში გავრცელება მებაღეობა და ამ საგანზე აწყობდა პერიოდულ კურსებს. გასული წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში მან ჩვეულებრივი ენერგიით მოაწყო მეხილეობის კურსები სოფ. კასპსა და ტყვიავში, სადაც მუშაობის დროს გაცივდა, რასაც შედეგად სიკვდილი მოჰყვა.

ლევან გოგნიაშვილი ჯერ კიდევ ენერგიით სავსე იყო და ცდილობდა მეტ მუშაობას ხალხის სასარგებლოდ. საბჭოთა ხელისუფლების [illegible] ამხ. გოგნიაშვილისთვის ნათელი იყო და მით უფრო ფიქრობდა კიდევ მეტი ენერგიით გადაშვებულიყო ხალხში სოფლის მეურნეობის გასავრცელებლად. აღარ დასცალდა.

ლ. გოგნიაშვილის უდროოდ სიკვდილით თვალსაჩინო მუშაკი დაჰკარგა ჩვენს გლეხურ მეურნეობამ.

ქრონიკა

სახ. უნივერსიტეტის 10 წლის იუბილე

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში, დღეს, შუადღის 12 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის 10 წლის საიუბილეო კომიტეტის პირველი სხდომა.

ლ. ტოლსტოის დაბადებიდან 100 წ. თავის აღსანიშნავად

ლევ ტოლსტოის დაბადებიდან ასი წლის შესრულების თავის აღსანიშნავად მიმდინარე წლის სექტემბერში საქართველოში მოეწყობა იუბილე.

იუბილესთვის წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად განათლების კომისარიატთან დაარსდა საიუბილეო კომისია: კომისიაში შედიან: განათლების კომისარი — დავ. კანდელაკი; განათლების კომისარის მოადგილე — მარიამ ორახელაშვილი; თბილისის განათლების განყ. გამგე — კ. ქაცარავა; პოლიტგანათლების მთავარმართველობის გამგე — ვ. იმედაძე, მწერალთა კავშირიდან: ს. თოდრია, ს. აბაშელი, კოტეტიშვილი ვ. და ზ. ბუაჩიძე; სახელგამის გამგე — ბ. ბიბინეიშვილი და სახელგამის გამგის მოადგილე— ნ. მიწიშვილი; პროფკავშირებიდან — ფირალიშვილი და პოლოსოვი, აკოფ აკოფიანი; ერვანდ ასრიბეკოვი, პროფ. ჩუბინაშვილი; სახ. უნივერსიტეტის რექტორი — თ. ღლონტი; ამხ. გულოიანი; ვ. ბერიძე, ს. თოხაძე; კომპოზიტორი დ. არაყიშვილი; ლარისა ქუთათელაძე; ს. სუტირინი; ს. მამულია, და ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის რექტორი ფ. ზაიცევი.

რევედასის კვირეული

ამიერ-კავკ. ცაკმა ნება დართო რემედასის ცეკას გამოუშვას რემედასის კვირეულის განმავლობაში 50 კაპეიკიანი სპეციალური მარკები 50.000 ცალის რაოდენობით.

რემედასის კვირეული საქართველოში ჩატარებული იქნება 22—30 იანვრამდე.

60.000 ფუთი დაფნის ფოთოლი

ცეკავშირი სენაკის, ზუგდიდის და სამტრედიის რაიონში, მოკავშირე ძირითად ორგანიზაციების საშუალებით ამჟამად ამზადებს დაფნის ფოთოლს.

გადაწყვეტილია 60.000 ფუთი დაფნის ფოთოლის დამზადება.

დაფნა მზადდება საბჭოთა კავშირის შინა ბაზრების დასაკმაყოფილებლად.

უკვე დამზადებულია 40 ვაგონი დაფნის ფოთოლი.

ახალი წყალსადენი დიდუბეში

„ხლებოპროდუქტის" თბილისის განყოფილებამ ხელშეკრულება დასდო თბილისის წყალსადენის სამართველოსთან, „ხლებოპროდუქტის" საწყობებთან წყალსადენის გაყვანის შესახებ. წყალსადენის გაყვანა დაჯდება 10.000 მანეთი.

წყალსადენის სამმართველო შეუთანხმდა აგრეთვე დიდუბის ხის გადამმუშავებელ ქარხნის ამგებ კომიტეტს, აღნიშნულ ქარხანასთან წყალსადენის მილის გაყვანის შესახებ. ქარხნის ასაგებ სამუშაოების ადგილას წყალსადენმა დღე-ღამეში უნდა მიაწოდოს 150.000 ვედრო წყალი.

გადასახადი საქონლის გასინჯვაზე

ხორცის დამზადების და ხორცით ვაჭრობის ზედნადების ხარჯების შემცირების მიზნით, ა.-კ. ცაკმა და სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება, რომლის ძალით გადასახადი ოთხფეხი საქონლის და ნედლი პროდუქტების ვეტერინარულ გასინჯვაზე არ უნდა აღემატებოდეს საქონლის და პროდუქტების ნორმალური შეფასების ერთ მეოთხედ პროცენტს. ყოველ შემთხვევაში, გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს 30 კაპ. ერთ სულ მსხვილფეხა საქონელზე.

თბილისის მაზრის გლეხკომების ყრილობა

31 იანვარს თბილისში გაიხსნება თბილისის მაზრის გლეხკომების ყრილობა.

თბილისის აღმასკომში

◆ **სკოლა.** სოფ. ჯანდარის სკოლის საჭიროებისათვის თბილისის აღმასკომმა გადასდო 1.000 მანეთი.

◆ **მასებთან დაახლოების** მიზნით თემსაბჭოებსა და სასოფლო საბჭოებს წინადადება მიეცათ სისტემატიურად მოაწყონ ღია სხდომები გლეხების მონაწილეობით.

◆ **წყალსადენი.** ყარაიას თემში წყალსადენის გასაყვანად გადადებულია 2.500 მან.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა ქ. სასაკლაომდე გაიყვანოს ტრამვაის ახალი ხაზი.

მიწსახკომში

◆ **ღვინის დამზადება.** სახალხო მამულების ტრესტი წელს გასასაღებლად დაამზადებს—370.000 ვედრო ღვინოს.

◆ **სესხი.** მიწსახკომმა გადასწყვიტა მიმდინარე წელს ღარიბებს გლეხებს მისცეს სესხი 1.000 დესეტინა ვენახის გასაშენებლად.

◆ **მევენახეთა შეკავშირება.** მიწსახკომი შეუდგა მევენახე გლეხების კოოპერატიულ შეკავშირების კამპანიის ჩატარებას.

სხვადასხვა

◆ **გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა.** აფხაზეთში ამუშავებული იქნა გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა.

◆ **მატყლი.** წელს მთელ საქართველოში დამზადებული იქნება 50.000 ფუთი გაზაფხულის მატყლი.

◆ **„სოფლის კავშირი".** წელს გასასაღებლად დაამზადებს 80000 მანეთის ჯაგარს.

◆ **სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო** კოოპერაციის მუშაობის გასაძლიერებლად მთავრობამ გადასდო 30.000 მანეთი

◆ **საქართველოს პროფსაბჭოსთან** არსებული მუშათა პროფმოძრაობის ისტორიის შემსწავლელი ც. კომისია სთხოვს საქართვ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს თანამშრომელს 1920 წ. **სიმონ მიხეილის ძე შონიას** შემოიაროს პროფსაბჭოში (ოთახი № 12).

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში,** დღეს, 21 იანვარს, საღამოს 7 საათზე ი. ფერაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ლიტერატურული მიმდინარეობანი", ენათმეცნიერებიდან—პროფ. ა. შანიძე.

ლ. ავერბახის მოხსენება

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების საბიბლიოთეკო სექტორი ორშაბათს, იანვრის 23-ს, საღამოს 8 საათზე მუშათა სასახლის მცირე დარბაზში (რუსთაველის გამზირი, № 17) აწყობს კრიტიკოს ლეოპოლდ ავერბახის მოხსენებას შემდეგ თემაზე „თანამედროვე ლიტერატურა და ბიბლიოთეკის მუშაკის ამოცანები".

სავალდებულოა დასწრება საბიბლიოთეკო ბაზისების და საკლუბო ბიბლიოთეკების გამგეებისა, და მოძრავი ბიბლიოთეკების მუშაკებისა.

სასურველია დასწრება კავშირების ც. ვ. კულტგანყოფილებათა გამგეებისა და კლუბების მუშაკებისა.

ჩაუბარებელი დეპეშები

ბაქოდან — აბასკულის, ლენქორანიდან — ზაქსელბანკს; ნახიჩევანიდან — კოკიაშვილს; ტაგანროგიდან — ნიკოლაევს; კრასნოკოკშაისკიდან — ერანიას; მოსკოვიდან — გაბაევას; კარაბურუდან — ოზმანიანს; ბასარგოჩარიდან — მინასიანს; კამარლიუდან — ზაუტაშვილს; განჯიდან — კაბულს; ბაქოდან — ალიევს; შორაპნიდან — გუგიძეს; იმავე ძიროლიდან.

შემთხვევები

ორი კაცი ავტომობილის ქვეშ

გუშინ, ნაშუადღევის 5 ნახ. საათზე, კომინტერნის ქუჩაზე (№ 5 სახლის პირდაპირ), ჰაეროდრომის ნახევრად მსუბუქი ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი სერგო აგამიროვი დაეჯახა მონტიორებს: ნიკოლოზ ზაკუტოვს (28 წლისა) და მიხეილ პეტროვს (27 წლისა).

მოქ. პეტროვი და ზაკუტოვი მოჰყვნენ ავტომობილის ქვეშ და მძიმედ დაშავდნენ.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა მორიგე გამომძიებელი ლ. ვაჩნაძე და სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელი ტ. კოპალეიშვილი.

როგორც გამოირკვა, უბედური შემთხვევა მომხდარა შემდეგ პირობებში: პეტროვი და ზაკუტოვი სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიიდან (კომინტერნის ქ. 3) გადადიოდნენ ქუჩის მეორე მხარეზე. ქუჩის შუა ადგილას ავტომობილი დაეჯახა მათ.

მოქ. ზაკუტოვი მოჰყვა ავტომობილის უკანა ბორბლების ქვეშ, ხოლო პეტროვი ზურგით დაეჯახა ავტომობილის წინა ბორბალს.

ზაკუტოვი ნახევრად ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს ავტომობილიდან.

ზაკუტოვს დაჩეჩქვილი აქვს თავი, დაკაწრული პირისახე და ნაღრძობი ფეხები. მისი მდგომარეობა მძიმეა.

პეტროვს დაზიანებული აქვს ხერხემლის ძვალი და დაშავებული მთელი სხეული. მის სიცოცხლეს საფრთხე არ მოელის.

გამომძიებლის განკარგულებით, გამოწვეული იქნა ექიმი, რომელმაც შემოწმა შოფერი აგამიროვი. იგი ფხიზელი აღმოჩნდა.

მოწმების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ შოფერს ავტომობილი მიჰყავდა დიდი სისწრაფით.

შოფერი აგამიროვი დაპატიმრებულია.

გამოძიება გრძელდება.

ხანძარი მთავარ სახელოსნოებში

გუშინ დღის 2 საათსა და 50 წუთზე თბილისის მთავარ სახელოსნოების ამკრეფ საამქროში ელდენიდან, მისი შეერთების გამო, გაჩნდა ხანძარი.

ცეცხლი საშიშ ხასიათს ღებულობდა. თბილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის და სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა ენერგიული მუშაობით ცეცხლი ჩაქრობილ იქნა 10 წუთის განმავლობაში. ზარალი ირკვევა.

სავაჭროს გაქურდვა

გუშინწინ ღამით ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს მაღაზია (მუდმივი ჩიხი № 2); წაიღეს 256 მანეთის ნივთები.

ამ საქმის გამო სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სერგო ილიას ძე სალიაშვილი.

თავის მოწამვლა

გუშინ, დღისით ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა ილარიონ ნიკოლოზის ძე ისაევმა.

მოქალაქე ისაევი სიკვდილს გადაარჩინეს.

თავის მოწამვლის მიზეზი გამოურკვეველია.

სამი ბავშვის დაკარგვა

17 იანვარს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ნაიშევსკი, 12 წლისა (მცხვ. ადლერის შესახვევი ნომერი 4); 18 იანვარს უგზო-უკვლოდ დაიკარგა ალექსი მიხეილის ძე კოჟევნიკოვი, 12 წლისა (მცხოვ. ტარიელოვის შესახ ნომერი 11); 18 იანვარს დაიკარგა კონსტანტინე სერგოს ძე ზიხ, 13 წლისა (მცხოვ. ტარიელის შესახვ. ნომერი 5).

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი საოჯახო ნივთები პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი ნომერი 12.

ხელოვნება

ქუთაისის აკადემიურ დრამაში

ქუთაისის აკადემიურ დრამას წელს გამოცოცხლება ეტყობა. ადგილობრივი აღმასკომი და განათლების განყოფილება ყოველმხრივ ხელს უწყობენ თეატრის საქმიანობას მისი გაფართოებისა და განვითარების მიზნით.

მიმდინარე სეზონში დასის მთავარ რეჟისორათ და სამხატვრო ნაწილის გამგეთ მოწვეულია **მ. ქორელი.** მისი ინიციატივით გასულ ოქტომბერში ჩამოყალიბდა დასი, რომლის შემადგენლობაში არიან როგორც ახალგაზრდა, აგრეთვე ძველი მსახიობები; დასში შედიან: ქალები: რესპ. სახ. მსახიობი **ნინო ჩხეიძე, ან. ქიქოძე; ც. ამირაჯიბი; ნ. მაჭავარიანი; მ. ერგმელი და ნ. სირბილაძე.** ვაჟები: **მ. გელოვანი; ი. ზარდალიშვილი, შ. ინასარი, ლ. ყიასაშვილი, ბ. ხონელი; ვ. არაბიძე; ან. ლითანიშვილი; გრ. კოსტავა** და სხვ.

ქუთაისის აკადემიური დრამის სეზონი გაიხსნა გასულ ნოემბერში. რეჟისორ მ. ქორელის დადგმით წარმოდგენილი იქნა ჯეკ ლონდონის „მგლები". სეზონის გახსნიდან დღემდე ეს პიესა დაიდგა სულ 4 ჯერ. საზოგადოება დიდი ინტერესით ხვდებოდა ყოველ წარმოდგენას. რეჟ. მ. ქორელის დადგმებიდან განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა აგრეთვე **„მარკიტანკა-სიგარეტ"** (დღემდე დაიდგა 5 ჯერ.)

აღნიშნულ რეჟისორის გარდა, ახალი დადგმები მინდობილი ჰქონდა აგრეთვე მორიგ რეჟისორს— **ნინო გამრეკელი-თორელის.** მისი დადგმებიდან აღსანიშნავია **„ქალთა ბრძოლა"** და **„უცნობი ქალი ნორდ-ექსპრესიდან".**

სეზონის მეორე ნახევარში **მ. გელოვანმა** დადგა **„ლეილ-ლეილ".** ამ პიესას დიდი ინტერესით შეხვდა ქუთაისის საზოგადოება. ჯერ ჯერობით პიესა წავიდა ორჯერ.

აღნიშნულ ახალი დადგმების გარდა, ძველი რეპერტუარიდან ქუთაისის აკადემიური დრამის სცენაზე მიდის **„იმედის დაღუპვა", „ალლუმი"** და სხ.

ამჟამად დასი ამზადებს ახალ პრემიერა **„წმინდანი ქურდი".** პიესას დადგამს მ. ქორელი.

საერთოდ, ქუთაისის აკადემიური დრამა წელს იმდენად წარმატებით მუშაობს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას განზრახული აქვს მოამზადოს ნიადაგი მუდმივი დასის შესაქმნელად ქუთაისში. მუდმივი დასი უნდა ჩამოყალიბდეს 1928—29 წლის თეატრალური სეზონის დასაწყისში.

— **ზ. ბ.**

ჯვარის ისტორიული ძეგლი

მცხეთის პირდაპირ მდებარე ისტორიულ ძეგლს ჯვარის მონასტერის (აგებულია მე-6—მე7 საუკუნეში) დასავლეთ კედელს მოსკდა კლდის ნაკვეთი, რის გამო ძეგლის თვალსაჩინო ნაწილი ჩამონგრევით იმუქრება.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით, ხსენებულ ძეგლის დასათვალიერებლად ამ დღეებში თბილისიდან გაემგზავრა სპეციალური კომისია ინჟენერ **ნ. სევეროვისა, ვ. კეკუშინისა** და სიძველეთა დაცვის ინსპექტორ **სარ. კაკაბაძის** შემადგენლობით.

კომისიის გამოკვლევის თანახმად, ძეგლის გადარჩენისათვის საჭიროა ახლო ხანშივე მუშაობის დაწყება მის შესაკეთებლად. კლდის ჩამონგრევის გამო ძეგლის გამოფიტულ საძირკველის ადგილას ამოყვანილი უნდა იქნას კედელი დაახლოებით 200—250 კუბიკური მეტრის მოცულობის. კომისიამ გამოარკვია აგრეთვე თვით ძეგლის სახურავის კალთების შეკეთების საჭიროება.

საქ. განათ. სახალხო კომისარიატის ინიციატივით უკვე დაიწყო ძეგლის შეკეთებისათვის საჭირო მასალების—ქვისა და სილის მიზიდვა კედლის ამოსაყვანათ. ამასთან დაკავშირებით, განათლების სახალხო კომისარიატმა თხოვნით მიმართა თბილისის აღმასკომს, რათა ხსენებულ ძეგლის შეკეთებისათვის საჭირო ხარჯები მიიღოს თავის თავზე.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ზაგმუკ".** რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ზაგმუკ".

◆ **საბავშვო თეატრის საჭიროებისათვის** სომეხ ხელოვანთა სახლს „პაირტუნს" თბ. აღმასკომმა გადასცა 1.000 მანეთი.

◆ **პროფ. ე. ლანსერეს მოხსენება.** კვირას, 22 იანვარს, დღის 12 საათზე სამხატვრო აკადემიის კლუბის დარბაზში პროფ. ე. ლანსერე წაიკითხავს მოხსენებას: „შთაბეჭდილებები პარიზის მხატვრობაზე".

◆ **რესპუბლიკის სარეპერტუარო-სამხატვრო-საბჭოს** დადგენილებით, ყველა მუშათა კლუბების რეპერტუარიდან მხატვრული თვალსაზრისით მოხსნილია მ. გოგიაშვილის პიესა „ნაბიჯი წინ". (ვინ არიან?")

— **„პროლეტარული მწერლობა" № 11—12.** გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა" № 11—12. ჟურნალი შეიცავს 156 გვ. და ღირს 1 მან. 30 კაპ.

დღეს კინოებში

◆ **მინიონი**—„ილონა" ლია დე-პუტტის მონაწილეობით.

◆ **პალასში**—„მონტეკარლოს დასასრული".

◆ **არფასტოში**—„მთის კანონი".

◆ **აპოლოში**—„მთის კანონი".

◆ **სოლეიში**—„მთის კანონი".

◆ **დარბაზში**—„ვარიეტე".

სასამართლო

დაუდევრობა, რომელმაც 28.000 მანეთი დაუჯდა.

ანდრო ივანეს ძე კვიმსაძე უთუოდ „გაზეთში ჩასაგდები" კაცია.

მის სახელს არ დაივიწყებს ამიერ-კავკ. რკ. გზათა სამმართველო, რომელსაც ძალიან ძვირი დაუჯდა კვიმსაძის მემანქანეობა.

გასული წლის 22 ოქტომბერს მემანქანე კვიმსაძეს მოჰყავდა ხაშურიდან თბილისისაკენ საბარგო მატარებელი.

ღამის 9 საათი იქნებოდა, როცა მატარებელმა მიაღწია მცხეთის სადგურს. მატარებლისათვის განთავისუფლებული იყო მეოთხე ხაზი. კვიმსაძემ სისწრაფის შეუნელებლად შემოაგდო მატარებელი სადგურში და საცა მიეპრიანა, იქ მოუქროლა მუხრუჭს და დააყენა.

კვიმსაძემ არც კი შეხედა საკონტროლო სვეტს, რომელსაც, თანახმად არსებული ინსტრუქციისა, ორთქლმავალი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცილდეს. კვიმსაძემ საკონტროლო სვეტი 9—10 მეტრით უკან მოიტოვა.

ეს ის დროა, როცა ავჭალიდან გამოსულია მეორე მატარებელი და საცაა შემოიჭრება სადგურში.

კვიმსაძე ჩამოხტა ორთქლმავლიდან და სადგურში „თვალს წყალს ალევინებს". მთელი ნახევარი საათი სადგურში იყო კვიმსაძე. ერთი ხუთი წუთი რომ დაეხარჯა მატარებლის უკან დასახევინებლად, მეტიც საჭირო არ იყო, უბედურობა თავიდან აცილებული იქნებოდა.

ავჭალიდან მომავალი საბარგო მატარებელი მოადგა სადგურს. მისი მისაღები ხაზის ნაწილი უჭირავს კვიმსაძის მატარებლის ორთქლმავალს. ავჭალის მატარებელი დეჯახა მძაფრად კვიმსაძის მატარებლის ორთქლმავალს. დაზიანდა ორივე ორთქლმავალი, დაიმსხვრა 6 ცისტერნა, დაიღვარა მაზუთი და ნავთი, დაზიანდა 5 ვაგონი, გაფუჭდა გზა 50 მეტრის მანძილზე.

და ყოველივე ეს ამიერ-კავკ. რკინის გზათა სამმართველოს დაუჯდა 28.175 მანეთი ნაღდი ფული.

კვიმსაძეს, რომ ცოტაოდენი ყურადღება გამოეჩინა არც ამდენი ზარალი მოუვიდოდა რკ. გზას და კვიმსაძეც იქნებოდა თავის სახლში და არა გამასწორებელ სახლში.

საქმეს გაარჩევს თბილისის სამაზრო-საქალაქო სასამართლო.

სისხლიანი ქორწილი

ვინმე მითურელმა იქორწილა სოფელ კეკლიანში (თბილისის მაზრა). ქორწილი მეორე დღემდე გაგრძელდა. რამდენი „სული ცხვარი", ან „ნიშა ხარი" დაჰკლეს, არ ვიცით, ვიცით მხოლოდ ის, რომ თამადამ **ზაქარია ქარუმიძემ** ხანჯლით დაჰკლა მისივე „თანამეყანწე".

ქორწილის მეორე დღეს სტუმრებიც და მასპინძლებიც გადაიპატიჟა თავის სახლში ახალდაქორწინებულის მეზობელმა. ყველა რუმბივით იყო გაბერილი ღვინით.

მეზობლისას კიდევ დაუმატეს და თამადამ დაიწყო ჭირვეულობა.

— რას გააგრძელე ენა, სახლში აღარ მოდიხარ, გაგიტკბა ქეიფი სხვისას?—გადაუძახა თამადამ სიტყვა ვინმე ცხვირაშვილს, რომელიც მასპინძლის ბაბუას ხსოვნას გრძელ „რეჩს" უძღვნიდა.

ცხვირაშვილმა იწყინა მისი „რეჩის" გაბითურება და ქარუმიძეს კარგა მაგრად უთავაზა მუშტი.

თამადამ გააგდო ხელიდან ყანწი და იძრო ხანჯალი.

შეიქნა ჩოჩქოლი. ჩამოდგენ მოზაეები.

— გამიშვით. ხელი არავინ მახლოს, თუ თავი განწირული არ აქვს,—ღრიალებს ქარუმიძე.

გამშველებმა მაგრად ჩასჭიდეს ქარუმიძეს ხელი, მაგრამ ქარუმიძემ კბენით გაინთავისუფლა ხანჯლიანი ხელი და ერთ-ერთ მოზაეეს გვარათ ოჩიაურს ჩაჰკრა მუცელში ხანჯალი.

ოჩიაური იქვე დაეცა უსულოდ. ასე გათავდა ქორწილი.

ქარუმიძე დაპატიმრებულია. საქმე გადაეცა თბილისის სამაზრო-საქალაქო სასამართლოს.

გერ.

ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟი

ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟის გათამაშების პირველ დღეს ას-ას მანეთიანი მოგება ხვდა შემდეგ ობლიგაციებს:

სერიის №	ობლიგ. №	სერიის №	ობლიგ. №	სერიის №	ობლიგ. №	სერიის №	ობლიგ. №
019.321	1—50	059.963	1—50	084.068	1—50	098.205	1—50
030.611	1—50	068.865	1—50	085.903	1—50	140.445	1—50
032.058	1—50	074.949	1—50	086.754	1—50	150.324	1—50
032.723	1—50	081.459	1—50	097.923	1—50	152.602	1—50

ბიბლიოგრაფია

„РЕВОЛЮЦИЯ И КУЛЬТУРА"

ორკვირეული ჟურნალი. № 1 და 2. „პრავდა"-ს გამოცემა. ფასი 50 კაპ.

კულტურული აღმშენებლობა ძნელია იმის გარეშე, თუ არ არის გათვალისწინებული ის ამოცანები, ის მეთოდები და გზები, რომელთაც უნდა ისახავდეს ჩვენში, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში კულტურული რევოლუცია. ის ახალი კულტურა, რომელიც იქმნება ჩვენს თვალწინ და შეიქმნება კიდეც გარდამავალ პერიოდის განმავლობაში, არის პროლეტარული კულტურა—კულტურა წარსულ სოციალურ და ეკონომიურ წყობის მიერ დაჩაგრულ კლასისა.

რათა ეს ამოცანა განხორციელებულ იქნას, ამიტომ იმ ხელსაყრელ ობიექტიურ პირობების გარდა (პროლეტარული სახელმწიფო, წარმოების ძირითად საშუალებათა განსაზოგადოება, მიწის ნაციონალიზაცია, კოოპერაცია და სხვ.), საჭიროა, რათა ახალი საზოგადოებრივ წყობილების ცხოვრებაში მონაწილე თვითეულ წევრს შეგნებული ჰქონდეს გზები და მიზნები ახალი კულტურული შენებლობისა, ყოველი ცოტათ თუ ბევრად საგულისხმო მომენტი იმ რთული პროცესისა, რომელსაც კულტურული რევოლუცია ეწოდება.

ასე სვამს საკითხს ჟურნალი „კულტურა და რევოლუცია", რომლის გამოცემა ამ ორი თვის წინეთ დაიწყო გაზეთმა „პრავდამ". „კულტურული რევოლუცია—ჟურნალის რედაქციის თქმით—გულისხმობს მასების, საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროების უზარმაზარ დაპყრობას, დაჭიმულ შემოქმედებითი ძიებას, რომელიც ღრმა ხასიათს ატარებს, აზროვნების ძველი ფორმების და მეთოდების რევოლუციონურ გარდაქმნას ახალ მატერიალისტურ-დიალექტიურ საფუძველზე".

„ადამიანთა შერჩევა, მათი კულტურული „წარმოება", მათი განათლება, მათი მეცნიერული დამუშავება, მათი კომუნ. აღზრდა არის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც უნდა გადასჭრას ძლევამოსილმა პროლეტარიატის სახელმწიფომ". „ესენი, ეს ახალი ხალხი, უნდა შეიქმნან და ისინი იქნებიან შემქმნელნი, ეს უამრავი კულტურული პიონერები, მასების ეს უამრავი წინამძღოლნი ჩვენი ჟურნალის მცირე ამოცანაა—დაეხმაროს ამ ზრდას". „საჭიროა არა მარტო ობიექტიურ-მატერიალურ წინააღმდეგობის, არამედ იდეოლოგიურ რიგის წინააღმდეგობათა დაძლევაც. აქ კი საჭიროა **კლასიური პროლეტარული ბრძოლა,** მედგარი, სისტემატიური, მტკიცე. **ამ ბრძოლას, ბრძოლას პროლეტარულ მსოფლმხედველობისათვის, აწარმოებს ჩვენი ჟურნალი".** ასეთია ის ამოცანები, რომელთაც ისახავს ჟურნალი „რევოლუცია და კულტურა".

პირველი ნომერი იხსნება სარედაქციო წერილით, რომელსაც მსდევს ამხ. **დებორინის** წერილი „მარქსიზმი და კულტურა". ამ წერილში ავტორი იხილავს კულტურას, როგორც ადამიანის მიერ ბუნებაზე ბატონობას, როგორც ბუნების არა სტიქიურ, არამედ „შეგნებულ" „დამუშავებას". რომელთანაც დაკავშირებულია თვით ადამიანის დამუშავებაც, მისი ტვინის, გონებრივ და ზნეობრივ ძალების დამუშავება.

„ახალი კულტურა—ლაპარაკობს ავტორი— რომელსაც თავის საფუძვლად აქვს **ათეიზმი, მატერიალიზმი და კომუნიზმი,** შეიძლება აშენებულ იქნას მხოლოდ ძველი კულტურის,— [illegible] ზიულ წყობილების მიერ ნაანდერძევ კოდის მთელი ჯამის დაძლევის და გადამუშავების გზით". კულტურის ძირითად პრინციპების მარქსისტული ანალიზის შემდეგ ამხ. დებორინი ვრცლად ჩერდება კულტურულ რევოლუციის ამოცანაზე, როგორც ეს ესმოდა ამხ. ლენინს. ჟურნალის მეორე ნომერში იგივე ავტორი არკვევს დიალექტიურ მატერიალიზმის მტკიცე საფუძველზე დადგომას საბჭოთა კავშირში და იმ უდიდეს მუშაობას, რომელიც მხოლოდ ჩვენში სწარმოებს მარქსისტული მეთოდის გასაბატონებლად მეცნიერების ყოველ დარგში.

ამხ. ბუხარინი იძლევა ბიუროკრატიზმის სოციალურ ფესვების ანალიზს და ამ უდიდეს სოციალური სენის მთავარ მიზეზად ასახელებს კულტურულ ჩამორჩენილობას, მასების „მოუმწიფებლობას", როგორც შედეგს კაპიტალისტური რეჟიმისას. განსაკუთრებით საყურადღებოა ამხ. ბუხარინის წერილი ჟურნალის პირველ ნომერში „ძველ ტრადიციების შესახებ თანამედროვე კულტურულ მშენებლობაში". ამხ. ბუხარინი, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ძველი კულტურის ყველა დადებით მიღწევების გამოყენებას, მოითხოვს ამავე დროს ძველი კულტურის ფასეულობათა კრიტიკულად მიღებას. ამხ. ბუხარინი ბრძოლას უცხადებს ნეპმანურ— წვრილ-ბურჟუაზიულ მეშჩანურ სტიქიას, „ესენინშჩინას", ძველ ტრადიციებს, ძველ ჩვეულებებს, წესებს, და იმას, რომელსაც ამხ. ბუხარინის თქმით **ცეკის მანიფესტმა უწოდა მუშაობის მონური ტემპი.**

სხვა წერილებს შორის აღსანიშნავია ამხ. **ლუნაჩარსკის** წერილი „ინტელიგენცია და მისი როლი სოციალისტურ აღმშენებლობაში". ამხ. ლუნაჩარსკი იძლევა ჯერ ინტელიგენციის საერთო შეფასებას, ყოფს მთელ ინტელიგენციას ძველ და ახალ ინტელიგენციათ, ხოლო მეორე გვარი დაყოფით ხაზს უსვამს აგრეთვე ინტელიგენციაში მაღალ და დაბალ ფენებს. ინტელიგენციის დაბალ ფენებს ლუნაჩარსკი მიაკუთვნებს სოფლის და სკოლის მასწავლებლებს, აგრონომებს, წვრილ მოსამსახურეებს და სხვ., რომელთა სოციალური ფსიქოლოგია ძლიერ განსხვავდება მაღალ ჯგუფების ფსიქოლოგიისაგან და ორივეს საერთო დახასიათება მეტად ძნელია. ამხ. ლუნაჩარსკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარი ინტელიგენციის შექმნას, ხოლო მანამდე აუცილებლად სცნობს ძველი ინტელიგენციის მაქსიმალურ გამოყენებას არა მარტო იმისათვის, რომ ისინი წარმოადგენენ აუცილებელ კვალიფიციურ ძალას, არამედ იმიტომაც, რომ ახალმა ინტელიგენციამ უნდა ისწავლოს ბევრი რამ ძველისაგან.

დიდ ყურადღებას იპყრობს ცნობილ ინგლისელ ანტროპოლოგის **არტურ კისის** მოხსენება „ადამიანის წარმოშობის დარვინის თეორიის თანამედროვე მდგომარეობის" შესახებ. ეს მეცნიერული მოხსენება იმდენად ღირსშესანიშნავია, რომ მეტად სასარგებლო იქნებოდა მისი გაცნობა ქართველ მკითხველისათვისაც. ჟურნალში მოთავსებულია მრავალი საინტერესო ცნობები მეცნიერულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცხოვრებიდან ჩვენში და უცხოეთში და მთელ რიგ მეცნიერთა მიმოხილვანი.

ჟურნალი „რევოლუცია და კულტურა" ერთ-ერთი საყურადღებო ჟურნალია, რომელიც კი გამოდის საბ. კავშირში. მისი ფართედ გავრცელება ხელს შეუწყობს კულტურული რევოლუციის ძირითად პრობლემების გაცნობას სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმულ ფართე მასებისათვის.

დ. ბ—ვა.

რკინის გზებზე

საცდელი მატარებელი

გუშინ ბაქოდან თბილისისაკენ წამოვიდა საცდელი მატარებელი, რომელიც იწონის— 90 000 ფუთს. მატარებელი თბილისში იქნება ორი დღის შემდეგ.

თბილისიდან იგი წავა დასავლეთის უბანზე. ხაშურში მატარებელს შეხვდება გზათა კომისარიატის კომისია, კომისარიატის უფროს ინსპექტორის იაკუბოვის თავმჯდომარეობით, რომელიც მიიღებს მონაწილეობას მატარებლის საცდელ გაშვებაში უღელტეხილზე.

ახალი ცისტერნები

ნიკოლაევის ქარხანამ დაიწყო გზათა კომისარიატის მიერ ამიერ-კავკ. რკ. გზებისათვის დაკვეთილ ცისტერნების გამოშვება.

სულ ქარხნის მიერ დამზადებული იქნება 350 დიდი, ოთხ ღერძიანი ცისტერნა.

დამზადებული ცისტერნების ნაწილი უკვე იგზავნება ა.-კ. რკ. გზებზე.

ორთქლმავლების განათება ელექტრონით

ამჟამად თბილისის დეპოში ირიცხება ათი ორთქლმავალი განათებული ელექტრონით. ბათუმის დეპოში ელექტრონის განათებით მოწყობილია მხოლოდ ერთი ორთქლმავალი.

მიმდინარე წელს განზრახულია 18 ორთქლმავლის განათება ელექტრონით.

დანარჩენ ორთქლმავლებში ელექტრონით განათება შემოღებული იქნება 1928—29 და 1929—30 წლების განმავლობაში.

თათბირი აღწერის შესახებ

5 მარტს მოსკოვში გაიხსნება რკინის გზების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც დაამუშავებს მასალებს, რომლებიც შეკრებილ იქნა მოძრავ შემადგენლობის საკავშირო აღწერის დროს.

თათბირზე ამიერ-კავკ. რკ. გზებიდან იგზავნება ორი წარმომადგენელი.

ნარევი

სარკე — სიმაღლის მაჩვენებელი

ნიუ - იორკისა და ამერიკის სხვა დიდი ქალაქების ქუჩებზე ამ რამოდენიმე ხნის წინათ დადგეს ორიგინალური მოწყობილობა — სიმაღლის მაჩვენებელი. მოწყობილობა შესდგება სარკიდან, რომელზეც აღნიშნულია სხვადასხვა ზომა. საკმაო კაცი გაჩნდეს სარკის წინ, რომ გამოარკვიოს თავისი სიმაღლე. ახალი მოწყობილობა დიდის წარმატებით სარგებლობს. მოწყობილობის წინ სდგას სიმაღლის გაგების მსურველთა დიდი რიგები.

ფარდა წყალიდან

ერთი ღია თეატრი ფილადელფიაში (ამერიკა) თავის სცენაზე სარგებლობს წყლის ფარდით. სცენის წინა ნაწილის გასწვრივ ზევით გაყვანილია წყალსადენის მილი, რომელსაც მრავალი ნახვრეტები აქვს. როცა მოქმედების მიხედვით საჭიროა ფარდის დაშვება, მილში უშვებენ წყალს, რომელიც ეშვება დაბლა და ყოფს სცენას და დარბაზს. წყლის ფარდას ანათებენ ფერად პროექტორებით და ლამაზ ეფექტებს აღწევენ. როცა საჭიროა ფარდის აწევა, წყალს კეტავენ და ფარდაც „აწეულია".

რადიო-გადაცემა

შაბათი, 21 იანვარი

დღეს, 21 იანვარს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

მოხსენება: ლენინი წითელი არმიის შესახებ —რუსულ ენაზე.

მოხსენება: ლენინი და სოციალისტური აღმშენებლობა — ქართულ ენაზე.

მოხსენება: ლენინი და პარტია კოოპერაციის როლის შესახებ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში — ქართულ ენაზე.

მოხსენება: საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა და ლენინის პარტიის ამოცანები — თურქულ და სომხურ ენებზე.

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავ სამგლოვიარო სხდომის ტრანსლიაცია მოსკოვიდან.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 6—125
ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში
10 დეკემბერს 1927 წ.
საცალო ვაჭრობაში სილიკატის ნაკეთობაზე საზღვრითი ზედნართების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა.-წ. 25 ნოემბრის დადგენილებისა № 27, — ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნას ქ. თბილისში, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ საცალო ვაჭრობაში **სილიკატის ნაკეთობის თვითღირებულებაზე,** შემდეგი მაქსიმალური საზღვრითი ზედნართები:

ა) ქაშანურის ნაკეთობაზე (ფაიანსზე)	25 %.
ბ) მინა-ხარისხოვან ჭურჭლეულზე	30 %.
გ) სახატურის (ლამპის) შუშაზე	15 %.
დ) ფაიფურზე	35 %.
ე) ბროლის სილიკატეულზე	35 %.

შენიშვნა: „თვითღირებულება"-ში შედის შემდეგი ელემენტები:
1. ტრესტის საპრეისკურანტო ფასი.
2. ფრახტი.
3. ცენტრ. კოოპერაციისა და ა.-კ. კოოპ. კავშირის ზედნართები.
4. გზაში მტვრევით გამოწვეული ზარალი.
5. გარიგებათა დადების ხარჯები.

§ 2.

დაწესებულ იქნას სილიკატის ნაკეთობის თვითღირებულებაზე საქ. ს. ს. რ. დანარჩენ ადგილებში მყოფ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ, საცალო ვაჭრობაში შემდეგი მაქსიმალური საზღვრითი ზედნართები:

ა) ქაშანურის ნაკეთობაზე	30 %
ბ) მინა-ხარისხოვან ჭურჭლეულზე	35 %
გ) სახატურის (ლამპის) შუშაზე	20 %
დ) ფაიფურზე	40 %.
ე) ბროლის სილიკატეულზე	40 %.

შენიშვნა: საქ. ს. ს. რ. დანარჩენ ადგილებში მყოფ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის „თვითღირებულებაში" ნაგულისხმევია შემდეგი ელემენტები:
1. რესპუბლიკის კოოპ. კავშირისა და სახელმწიფო ვაჭრობის საფაქტურო ღირებულება — ფრანკო - საწყობი.
2. რკ. გზისა და სახამსხო ფრახტის ფაქტიური ღირებულება.
3. ძყიდველი ორგანიზაციის მიერ შარაგზით ტვირთ - ზიდვის ღირებულება — ფრანკო საწყობი.
4. გზაში მტვრევით გამოწვეული ზარალი.

§ 3.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომლებიც შედიან საქართვ. ს. ს. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა - ვაჭრობის კომისიას ევალებათ ფხიზლად ადევნონ თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 4.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ათაბეკოვი.

ვ-მომწესრიგებელი განყოფილების უფროსი ბერელაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 21 იანვარს დღის 1 საათზე ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტ-სექციის სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ: ბედია, ადამიანი, სოსიანი, ნ. მახარაძე, მაქსიმოვი, ბოლოტნიკოვი, ვინტინი, ტარასოვი, საგიტაციო ქვე-განყოფილების გამგე, სტურუა (ა. კ. საოლქო კომ. ინსტრ.) სანთალოვა, ლისოვსკი, აზარაშვილი, მხითაროვი, სნეგირევი. ლ. გევორკიანი, ეორუღლაძე, ცხიველაშვილი, ნუცუბიძე, ვენგერი, იანოვი, გულოიანი (ამ. კავ. კომ. უნივერს.), მუსალიანი, პოდოლსკი, ბაბაჯანოვი და პოლოსოვი (განათლ. მუშ. კავ.).

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიუროს სხდომა მოწვეულია დღეს, 21 იანვარს, დილის 11 საათზე.

ბიუროს წევრთა და კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტ-პროპ განყოფილებაში დღეს, 12 საათზე მოწვეულია **აგიტპროპ კოლეგიის სხდომა.**

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

თავზარდაცემული შვილები: მაშო, ვლადიმერ, პეტრე და ირაკლი შანიძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მოკეთეებსა და მეგობარ-ნაცნობებს, რომ უეცრად გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

ნინო შანიძე

გამოსვენება ბინიდან (მლეთის ქ. № 9), კვირას, 22 იანვარს, 12 საათზე და დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1151

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: დიმიტრი და გრიგოლ ლევანის-ძე ზალდასტანიშვილები და დები: ნინო ლევანის ასული ნასიძისა და მარიამ ლევანის ასული ნაცვლიშვილისა აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ინჟინერ-არქიტექტორის

ნიკოლოზ ლევანის-ძე ზალდასტანიშვილის

გარდაცვალების ორმოცი დღის აღსანიშნავათ გადახდილი იქნება პანაშვიდი კუკიის ეკლესიაში 22 იანვარს, 1 საათზე. 1152

ღრმად დამწუხრებულნი: მამიდა ეკატერინე იოსების ასული, დები: ნინო და ბარბარე, ძმა იოსები, რძალი ნინო შვილებით ელისაშვილები და მეუღლე გრიგოლ ვასილის-ძე მათიაშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, რომ

თამარ ილარიონის ასული ელისაშვილი-მათიაშვილის

ნახევარი წლის პანაშვიდი გადახდილი იქნება განსვენებულის სასაფლაოზე, კვირას, 22 იანვარს, დღის 1½ საათზე (პეტრე-პავლეს სასაფლაოზე). 1148

დამწუხრებული დედა ტერეზა, დები: მარო და თამარი; ძმები. ნიკოლოზი და თეოფილე; რძლები: რაისა და ქეთო, ძმისწულები: ნათელა, ეთერა, თამარი და გულიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 21 იანვარს, გურიაში სოფ. ზედობანში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტის

ვლადიმერ სიმონის-ძე პეჭალმაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო. 1159



ნ. ბუხარინი—საერთაშორისო მდგომარეობა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანები. (მე-XV პარტყრილობის მასალები), გვ. 190 ფასი 70 კაპ.

რეზოლიუციები — საკავშ. კომ. (ბ) მე-XV ყრილობისა. გვ. 120, ფასი 40 კაპ.

შ. მათიკაშვილი — „ქალაქის საბჭოების მუშაობა" გვ. 76, ფასი 40 კაპ.

ნ 429
2 5—14

სახელმწიფო ოპერა

დღეს, შაბათს, 21 იანვარს, ორიგინალური ქართული კომიკური ოპერა დ. ი. არაყიშვილის

სიცოცხლე სიხარულია

მონაწ.: დანიელიანი, მაყაშვილი, კავსაძე, შარაშიძე, დემიანენკო, შაპოშნიკოვი.
დირიჟ. სახ. მსახ. ი. პ. ფალიაშვილი.
II. ბალეტი—კოპელია დირიჟ. ი. მორდონი.
ნ. 504 1—1
კვირას, 22 იანვარს, არწივთა აჯანყება

აპოლო | სოლეი | არფასტო | დარბაზი

უკანასკნელი დღე

მთის კანონი

დადგმა რეჟისორ ბ. მიხინის ოპერატორი—ა. პოლიკევიჩი
სცენარი - ი. აბაის.

უკანასკ. თბილ. მოსკოვში გაგზავნის წინ

ვარიეტე

მთ. როლ. ში ლია-დე-პუტი. ემილ იანინგსი
მალე: გარი პილ სუ. უთაო მხედარი

[illegible] ამ დღეებში საზღვარგარეთის ახალი სურათები „ბედნიერი სიკვდილი" და „სასიკვდილო ნახტომი".

კინო **სოლეი**

ორშაბათიდან, 23 იანვრიდან

მონოპოლურად

1927 წ. გამოშვებული სენსაციური ფილმი

სასიკვდილო ნახტომი

მთავარ როლში:
ცნობილი ტრიუკისტი
ალფრედ ბოკოლინი

წარმტაცი სიუჟეტი!
თავსამტვრევი ტრიუკები!

ნ. 503

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ჭეჭიაშვილი

აცხადებს, რომ ის 26 იანვარს, დილის 10 საათზე, მოლითის სადგურზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ისიდორე დოლიძის ქონებას, სახელდობრ სამ ნახევარ რონოდა ესე იგი სამი ათას ხუთას ფუთს კირს, შეფასებულს ფუთი აბაზათ, დასაკმაყოფილებლათ ვიქტორ ჩხიკვიშვილის შრომის ხელფასისა, თანახმად ხარაგოულის შრომის სას. სესიის წ/წ. 26 დეკემბრის № 1361 აღმასრულებელი ფურცლისა ნ. 500

ექ. ს. ი. ვოლოხი

ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80. 25—1

ექიმი
ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი

ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 24 იანვარს 1928 წ. დღის 12 საათ. სახლში № 1 ევგენიევის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის არშალუის დიდოსიანცის მოძრავ ქონებას. 10 ძალიან მოტორს „ოტტო დეიტ"-ის ფირმისას № 27216 მარილის დასანაყს შეფასებულს 1200 მანეთად, „ზაკგოსტორგის" ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 1 ოქტომბერს 1925 წ. თარიღით, № 3484 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 502

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებ. ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 25 იანვარს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 9 ანანურის შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ნიკოლოზ გოგიშვილის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფი, სასადილო მაგიდა, კამოდი, ვენური სკამები და სხვა შეფასებულს 95 მანეთად, ქ. თბილისის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 7 მარტის 1927 წ. თარიღით. № 747 და სხვა გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1160

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ნაწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კოლონოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—1

ექიმი
პ. ი. მგალობლიშვილი

სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი

ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—4

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 25—1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ხარიყალის ქ. № 1.) 25—1

იონა გაბიჩვაძე

პლეხანოვის მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგი. დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5—8 ს.

კბილის ტექნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტექნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით. რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.

კბილის ტექნიკოსთა კურსების გამგე პროფ.
13—1 **გ. მ. მუსაძე.**

ექიმი
ი. დ. თოფურიძე

მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით
მიღება საღამოს 5—8 საათამდის.
ნ. 25—11

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა'ს" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევ (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—1

ექ. თოდაძე

დაბრუნდა საზღვარ გარედან დაგანახლა ავადმყოფების მიღება. სპეც. უროლოგია (თირკმელები, საშარდე ბუშტი, სასქესო ორგანოები და სხვა) ქირურგია. ცისტოსკოპია. დიატერმია (ახალი კაბინეტი). მიღება 5—7 საათამდე ბელგიის ქ. № 1. 13—1

ექიმი
არს. ს. პადაჭკორია

ღებულობს ავადმყოფებს დილაობით 9—12 საათამდე, საღამოთი 4—6 საათამდე. ლენინის ქ. № 35, ყოფ. ოლღას). 13—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღ. 7-8 საათ მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 ს. 25—1

კბილის ექიმი
დავით სავვატის ძე
რიქინაშვილი

კბილების და პირის სნეულებები, პლომბები და ყოველი გვარი ხელოვნური კბილები. ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის ქუჩების კუთხე.
25—1 1142

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 56154, ჩ. გ. 1150

დავკარგე პირადობის წიგნაკი ფორმა № 7 და სამგზავრო მოწმობა № 421 არტემ ბეგასძე ბალათერის სახელზე, ჩ. გ. 1149

დავკარგე ყოფ. ქართველ ქალთა [illegible] საზოგადოების თბ. ხუთკლასიანი პროფსკოლის დამთავრების მოწმობა მარიამ ნიკოლოზის ასული ჯანყარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1147

დავკარგე: მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი შალვა გიორგისძე შავლაყაძეს სახელზე. ჩ. გ.

დავკარგე: სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა ვასო ალექსისძე გუგუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1157

დავკარგე: პარტიული ბილეთი № 0849111 ვარლამ ძიძილის ძე საყარელიძის სახელზე, ჩ. გ. 1158

დავკარგე განათლების მუშაკის საწევრო წიგნაკი № 2726 ოლღა ჭეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1154

პოლიგრაფტრესტის მე 5-ე სტამბა, კამოს ქ. № 65